საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

# ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და საქალაქო მშენებლობის ზრდა XIX ს. თბილისში

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1984

9(C41)

63.3(2Г)

9(47.922)

3269

წინამდებარე კრებულში გაშუქებულია ქ. თბილისის ვაჭრობა-მრეწველობაში მომხდარი ცვლილებანი, დაკავშირებული ქალაქის ზრდა-განვითარების აჩქარებულ ტემპებთან - აგურ-კერამიკის, ხე-ტყის და სხვა სამშენებლო მასალის დიდი რაოდენობით მოხმარებასთან, რომლის ნაწილი შემოდიოდა ვაჭრობის გზით. აქვე ნაჩვენებია ღონის-ძიებანი (სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოყენების სახით), რაც ხელს უწყობდა საერთოდ საქართველოს სამრეწველო დაწინაურებას.

3 $\frac{10604}{M607(06)-84}$ 227-83 © გამომცემლობა "მეცნიერება", 1984

გ. ჭ ყ ო ნ ი ა

## ბაზრები და სავაჭრო დაწესებულებები თბილისში (XIX ს. ნახევარი)

ბატონყმობის გაუქმებამ ძლიერი ბიძგი მისცა ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ხელი შეუწყო კაპიტალიზმის, როგორც გაბატონებული ფორმაციის დამკვიდრებას[1]. საგლეხო რეფორმის გატარებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა წინააღმდეგობები საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, ხელი შეუწყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებას. ამ პერიოდიდან განსაკუთრებით გაძლიერდა კავშირი ბაზართან, გაფართოვდა სასაქონლო პროდუქციის წარმოება, საქართველო აქტიურად ჩაება მსოფლიო საქონელბრუნვაში, დაუკავშირდა რუსეთისა და მსოფლიოს ვაჭრობის ცენტრებს.

ამ პერიოდში განსაკუთრებით დაწინაურდა ქალაქი თბილისი, იგი მე-19 საუკუნის II ნახევარში ამიერკავკასიის არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ სავაჭრო-სამრეწველო და კომერციული ცენტრი და მზარდი კაპიტალისტური ტიპის ქალაქი გახდა.

სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებამ თბილისში სავაჭრო დაწესებულებების რიცხვისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდა გამოიწვია. ვაჭრობას მისდევდა თითქმის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი: ვაჭარი, მოქალაქე, ობივატელი, გლეხი, თავადაზნაურობა და სხვა. აქ თავს იყრიდნენ ვაჭრები ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან. თბილისში სავაჭრო დაწესებულებები ჰქონდათ: თელაველ, ბორჩალოელ, ქუთაისელ, გორელ, სიღნაღელ, სენაკელ, ახალციხელ, ნუხელ, რაჭველ, შუშელ, ერევნელ და სხვა ადგილებიდან მოსულ ვაჭრებსა და მოქალაქეებს.

იმყოფებოდა რა, ამიერკავკასიის ოთხი მთავარი სავაჭრო გზის გადაკვეთაზე (საქართველოს სამხედრო, იმერეთის, ერევნის, ბაქოს), თბილისი

---------------

1 ვ.ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 127.

თავს უყრიდა ამიერკავკასიის ვაჭრობის უმეტეს ნაწილს. თბილისი იყო საწყობი თითქმის მთელი ევროპული, რუსული და საუკეთესო სპარსული ნაწარმისა[2].

1892 წელს თბილისში იყო 174 დასახელების 3994 სავაჭრო-სამრეწვე-ლო დაწესებულება, რომელთა საერთო ბრუნვა 30,97 მილიონ მანეთს უდრიდა. აქედან თამბაქოს, ღვინისა და არყის, საღებავების, შალის, ხალიჩების, თევზის, მარილის, ფოტოგენის, შაქრის, ხორბლეულის, შეშის, კაკლის, და-უმუშავებელი ტყავის, თივის და რკინის საწყობების რიცხვი 198 უდრიდა, მათი წლიური ბრუნვა 4,23 მილიონ მანეთს შეადგენდა, ხორცისა და საბაყ-ლო დუქნების, ღვინის სარდაფების, სახელოსნოების, სასტუმროების, რეს-ტორნების საერთო რიცხვი 1644 აღწევდა, მათი წლიური ბრუნვა 14,17 მი-ლიონ მანეთს შეადგენდა, გასტრონომიული, თამბაქოს, საკანცელარიო, სა-გალანტერიო, ჭურჭლის, მინისა და სარკეების, ძეხვეულის, ხილის, ოქრო-სა და ვერცხლის ნივთების, მზა ტანსაცმლის, ოპტიკური, თეთრეულის, საკე-რავი მანქანების, სპარსული საქონლის, ავეჯის, ტყავის ნაწარმის, მანუ-ფაქტურული საქონლის, რკინისა და სხვა სახის ნაწარმთა მაღაზიების რი-ცხვი 2152 უდრიდა, მათი წლიური ბრუნვა 12,57 მილიონ მანეთს შეადგენდა[3].

1893 წელს თბილისში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების რიცხვმა 5115, ხოლო 1894 წელს 5639 მიაღწია[4], ე.ი. სულ რაღაც 2 წელიწადში 1892 წლიდან 1894 წლამდე მათი რიცხვი 41,2 %-ით გაიზარდა. საგულისხ-მოა ის ფაქტი, რომ ამავე პერიოდში ბათუმში იყო 90 სავაჭრო-სამრეწვე-ლო დაწესებულება[5], ახალქალაქში 58[6], ქუთაისში 1043[7], თუ 1892 წელს თბილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა საერთო ბრუნვა 30,97 მილიონ მანეთს უდრიდა, 1898 წელს 93,64 მილიონი მანეთი შეადგინა[8],

---

2 Н.А.Гагемейстер, Зак.очерки, Тиф., 1845, с.38.
3 სცსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 3332, გვ. 443-44.
4 იქვე, ფ. 254, ანაწ. 3, საქ. 3174, გვ. 36-71.
5 იქვე, საქ. 3980.
6 იქვე, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 3624, გვ. [illegible]19.
7 იქვე, ფ. 254, ანაწ. 3, საქ. 1508.
8 იქვე, საქ. 3558.

ე.ი. 6 წლის განმავლობაში 3-ჯერ გაიზარდა.

თბილისს, როგორც საქართველოს სავაჭრო ცენტრს, რუსეთის იმპერიის მოხელეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. აი რას წერდა 1881 წელს სახაზინო პალატის ერთ-ერთი მოხელე: წარმოადგენს რა ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრს, თბილისი თავისი სიმდიდრით, მოსახლეობის რაოდენობითა და სახსრების მოპოვებით, განეკუთვნება იმპერიის საუკეთესო ქალაქთა რიცხვს[9]. წარმოადგენდა რა ამიერკავკასიის ვაჭრობის თავმოყრის ადგილს, თბილისი ასრულებდა, როგორც შიდა, ასევე საგარეო ვაჭრობის სასაწყობო პუნქტის ფუნქციას[10]. თბილისის გუბერნატორები საქართველოში იარმარკებისა და ბაზრებში ვაჭრობის განუვითარებლობას მიაწერდნენ თბილისში ამ მხარის მთელი ვაჭრობის თავმოყრასა და შთანთქმას[11].

1870-80-იან წლებში თბილისის გუბერნიაში ვაჭრობის უფლებისათვის გაცემული დოკუმენტების ნახევარზე მეტი ქალაქ თბილისზე მოდიოდა. მაგ., 1872 წელს ვაჭრობის უფლებისათვის თბილისში გაცემულ იქნა 3902, გორში-355, თელავში - 150, დუშეთში - 141, სიღნაღში - 900, ახალციხესა და ახალქალაქში 700 დოკუმენტი[12]. 1879 წელს გაცემულ იქნა 16370 დოკუმენტი, აქედან მარტო თბილისზე მოდიოდა 8398[13].

1880-იანი წლებიდან ამიერკავკასიის სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ გაიზარდა ბათუმისა და ბაქოს სავაჭრო მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, თბილისმა კომერციული ცენტრის მნიშვნელობა მაინც არ დაკარგა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ 60-იანი წლებიდან კაპიტალისტური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების პირობებში თანდათანობით გაიზარდა კრედიტის როლი და მნიშვნელობა. საბანკო-საკრედიტო დაწესებულებები ხელს უწყობდნენ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას.

------------

9 ცსსსა, ფ. 7, ანაწ. 7, საქ. 176, გვ. 9.
10 იქვე, ფ. 5, ანაწ., 1, საქ. 6474, გვ. 27.
11 იქვე, საქ. 415, გვ. 14, საქ. 397, გვ. 6.
12 ცსსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 2931, გვ. 28.
13 იქვე, საქ. 6474.

ისინი საქართველოს მჭიდრო აკავშირებდნენ როგორც ამიერკავკასიის მხარეებს, ასევე რუსეთის იმპერიის და საზღვარგარეთის ბაზრებს. საბანკო-საკრედიტო დაწესებულებები უმეტესად თბილისში იყო თავმოყრილი.

კომერციული ბანკის დაარსებასთან დაკავშირებით კოლეჟსკი სოვეტნიკი ბაციევი აღნიშნავდა საბანკო-საკრედიტო დაწესებულებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის. სამრეწველო ძალების გამოფხიზლების პერიოდში საბანკო დაწესებულებები წარმოადგენენ აუცილებელ საშუამავლო დაწესებულებებს. ბანკი ეს არის კაპიტალის მოძრაობის მძლავრი და სწრაფი საშუალება. ბანკების განვითარების გარეშე ქვეყნის განვითარება იგივეა, რაც რკინიგზების ხაზის გარეშე, ურომლისოდაც ამა თუ იმ მხარის განვითარება ნელა წარიმართება, ვაჭრობა შებოჭილია, კაპიტალის მოძრაობა თავის მაცოცხლებელ ძალასა და ნაყოფიერებას კარგავს. მხარის სიმდიდრე გამოუყენებელია. საბანკო დაწესებულებათა საშუალებით ჩქარდება კაპიტალის ბრუნვა[14].

1879 წელს თბილისის გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ საკრედიტო დაწესებულებები თბილისს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ არა მარტო ვაჭრობის თვალსაზრისით, არამედ მათი მეშვეობით თბილისი მთელი მხარის ეკონომიკური მოღვაწეობის საკვანძო პუნქტს წარმოადგენს[15].

რეფორმამდელ საქართველოში არსებობდა ერთადერთი საკრედიტო დაწესებულება - საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი. პრიკაზის ძირითად მიზანს რუსეთის იმპერიაში ქველმოქმედებითი მოღვაწეობა წარმოადგენდა და მასთან ერთად მას შეეძლო ეწარმოებინა საკრედიტო ოპერაციები. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის შიდა გუბერნიების პრიკაზებისაგან განსხვავებით ამიერკავკასიის პრიკაზი ასრულებდა სახელმწიფო საადგილმამულო ბანკისა და შემნახველი სალაროების ფუნქციებსაც, მისი კრედიტი ფართო კომერციული თაოსნობისათვის მაინც მიუწვდომელი იყო[16].

---

14 სცსსა, ფ. 7, ანაწ. 1, საქ. 2629, გვ. 36-37.

15 სცსსა, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 6474, გვ. 27.

16 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქ. და ამიერკ. ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. II, თბ., 1956, გვ. 248.

რეფორმის შემდეგდროინდელ პერიოდში თბილისში წმინდა კაპიტალისტური ტიპის საბანკო და საკრედიტო დაწესებულებები გაიხსნა. სახელმწიფო ბანკის განყოფილება, თბილისის კომერციული ბანკი, ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოება, თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი, თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოება, გარდა ამისა თბილისში იყო სავაჭრო-საშუამავლო დაწესებულებები, საბანკო კანტორები, გამსესხებელი სალაროები, გაცვლის მაგიდები, საკომისიოები, საშუამავლო და საცნობარო კანტორები და სხვა[17].

თბილისში სახელმწიფო ბანკის განყოფილება გაიხსნა 1866 წელს. ბანკი აწარმოებდა თამასუქების დისკონტს და რედისკონტს, მსხვილი საკრედიტო ქაღალდების გადაცვლას წვრილზე, სესხის გაცემას, პროცენტიანი ქაღალდების დაგირავებას, ანაბრების მიღებას, ფულის გადარიცხვას სხვადასხვა ქალაქებში და სხვა[18].

1868-1877 წლების განმავლობაში თბილისის საბანკო ორგანიზაციებმა თავისი კაპიტალი 272000 მანეთიდან 673000 მანეთამდე გაზარდეს[19].

1871 წელს თბილისში დაარსდა აქციონერული საზოგადოება-თბილისის კომერციული ბანკი. მისი ძირითადი კაპიტალი განისაზღვრებოდა 500000 მან., რომელიც შედგებოდა თით 200 მანეთიანი 2500 აქციისაგან[20].

კომერციული ბანკი აწარმოებდა დისკონტს და რედისკონტს უცხოური და რუსული თამასუქების და სხვა სავაჭრო გარიგებებზე შედგენილი ფულადი დოკუმენტებისა, ახდენდა სახელმწიფო ქაღალდების, აქციების, ობლიგაციების, კუპონების, საერთოდ ყოველგვარი ფულადი დოკუმენტების მიხედვით ფულის მიღებას როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებში, ახდენდა ფულის

-----------

17 სცსსა, ფ. 254, ანაწ. 3, საქ. 3879.

18 К.К., 1882 г., с.198-201.

19 სცსსა, ფ. 57, საქ. 22, ფვ. 11.

20 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქ. და ამიერკ. ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. II, თბ. 1956 წ. გვ. 362, სცსსა, ფ. 391, ანაწ. 1, საქ. 1.

გადარიცხვას რუსეთისა და უცხოეთის ყველა ქალაქში[21]. ყოველი აქციონერი იღებდა მონაწილეობას ბანკის ქონებაში, აგრეთვე ბანკის მოგებასა და ზარალში აქციების რაოდენობის მიხედვით. კომერციული ბანკის კრედიტით განსაკუთრებით თბილისის ვაჭართა კლასი სარგებლობდა[22].

კომერციული ბანკის ბრუნვა იზრდებოდა და ფართო ხასიათს იღებდა. ბანკის საერთო ბრუნვამ 1885 წელს 155,41 მილიონ მანეთს, 1886 წელს 178,15 მილიონ, 1890 წელს 457,08, 1893 წელს 554,10 მილიონ მანეთს მიაღწია[23]. ე.ი. ბანკის საერთო ბრუნვა 1885 წლიდან 1893 წლამდე გაიზარდა 3,57-ჯერ ანუ 356,54 %-ით.

1873 წელს თბილისში დაარსდა ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოება. საზოგადოების წევრს უნდა შეეტანა საზოგადოების სალაროში დაშვებული კრედიტის 10 % ნაღდი ფული. ყველაზე მცირე კრედიტი განისაზღვრებოდა 300 მანეთით. საზოგადოება აწარმოებდა სავაჭრო თამასუქების დისკონტს (აღრიცხვა), რომლებიც უზრუნველყოფილნი იყვნენ: სახელმწიფოს პროცენტიანი ქაღალდებით, პაიებით, აქციებით; ობლიგაციებით, ძვირფასი მეტალებითა და ისეთი სახის საქონლით, რომელიც ადვილად არ ფუჭდებოდა. საზოგადოება აწარმოებდა მიმდინარე ანგარიშის გახსნას საზოგადოების წევრებისათვის, სესხის გაცემასა და კრედიტის გახსნას, საზოგადოების წევრებისაგან %-იანი ქაღალდების, ანაბრების მიღებას და სხვა[24]. 1879 წლისათვის საზოგადოებაში იყო 1177 წევრი[25].

1880 წელს ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოების საერთო ბრუნვა 2880174 მანეთს უდრიდა, წევრთა რაოდენობა კი 1217-მდე იყო გაზრდილი, ამათგან 932 პირი, რომელთა კრედიტი 4975290 მანეთს, ხოლო საბრუნავი კაპიტალი 552810 მანეთს უდრიდა, იყო ვაჭარი. საზოგადოების მოგება

---

21 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქ. და ამიერკ. ეკ. განვითარება XIX-XX ს. ტ. II, თბ., გვ. 363.

22 К.К., 1891, с.130.

23 სცსსა, ფ. ანწ. 1, საქ. 2286, გვ. 2-3, საქ. 2485, გვ. 378, ფ.254,ანწ.3, საქ.3174, გვ. 25, 1892, 17.

24 К.К., 1882 г., с.203-204.

25 К.К., 1880 г., с.208.

1880 წლის 152381 მანეთს შეადგენდა[26].

ურთიერთდამაკრედიტებელი საზოგადოება აფართოებდა თავის მოქმედებას, მატულობდა საზოგადოების წევრთა რიცხვი, საერთო ბრუნვა. 1886 წლის საზოგადოების საერთო ბრუნვამ 8,78 მილიონი, 1892 წელს 137,92 მილიონი, 1893 წელს 199,83 მილიონი, ხოლო 1894 წელს 305,68 მილიონი შეადგინა. საზოგადოების საერთო ბრუნვა 9 წლის განმავლობაში 296,80 მილიონი მანეთით – 34,82-ჯერ გაიზარდა[27].

1874 წელს თბილისში დაარსდა თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი, რომლის წევრებად ითვლებოდა არა მარტო თავადაზნაურობა, არამედ ის ნაწილი, რომელიც მონაწილეობდა ბანკის სადამფუძნებლო კაპიტალის შედგენაში[28].

1880-იანი წლებიდან თბილისის საადგილმამულო ბანკი სესხს აძლევდა როგორც თბილისის, ასევე ერევნის, ბაქოს, ელისავეტპოლის, განჯის გუბერნიებსაც[29]. 90-იანი წლებიდან ბანკის მოქმედება ვრცელდება რუსეთის მთელ ევროპულ ნაწილზე, პოლონეთის სამეფოსა და ბალტიისპირეთზე[30]. ბანკის მიერ მარტო 1891 წელს ქალაქ ბათუმში გაცემული იქნა 1,05 მილიონი მანეთის, 1894 წელს ბაქოში 650400 მანეთის სესხი[31].

თბილისის საადგილმამულო ბანკის ბრუნვა 1885 წელს 6,12 მილიონ მანეთს უდრიდა[32], 1899 წელს – 86,72 მილიონ მანეთს[33] ე.ი. 14 წლის განმავლობაში 1417 %-ით გაიზარდა.

---

26 К.К., 1882 г., с.228-229.

27 სცსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 3332, გვ. 245, საქ. 3575, გვ. 78, საქ. 3624, გვ. 219.

28 ნ. შ ვ ე ლ ი ძ ე, საქ. სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 49.

29 იქვე, გვ. 65,

30 К.К., 1891 г., с.125.

31 ნ. შ ვ ე ლ ი ძ ე, საქ. სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 49.

32 სცსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 781, გვ. 3, 1882

33 იქვე, საქ. 2986, გვ. 2-3.

*1880 წელს თბილისში დაარსდა საქალაქო საკრედიტო საზოგადოება. საზოგადოების მიზანი იყო გაეცა სესხი ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების დაგირავებით[34].*

*თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების საერთო ბრუნვა 1885 წელს 21,08 მილიონ მანეთს აღწევდა[35].*

*გარდა ამისა, 80-იან წლებში თბილისში მოქმედებდა 7 სავაჭრო სახლი, 5 სავექსილო ბიურო, რომელთა ბრუნვა 17 მილიონ მანეთს შეადგენდა[36].*

*წოვიანოვების სავაჭრო სახლი ასრულებდა საბანკო და სხვა სახის სავაჭრო ოპერაციებს. 1880 წელს სავაჭრო სახლის ძირითადი კაპიტალი 30000 მანეთს უდრიდა[37]. 1885 წელს მისმა სავაჭრო ბრუნვამ 40 მილიონ მანეთს მიაღწია, 1890-იან წლებში სავაჭრო სახლმა ქალაქ ბათუმში დააარსა კანტორა, რომელიც ნავთის ტრანსპორტირების საქმეს ემსახურებოდა.*

*ა. ფრიდონოვისა და კომპ. საბანკო კანტორა ასრულებდნენ საბანკო და სხვადასხვა სახის სავაჭრო ოპერაციებს. 1885 წელს ამ კომპანიის საერთო ბრუნვა 12733314[38] მანეთს უდრიდა, 1899 წელს 33033949 მანეთს მიაღწია[39]. ინდივიდუალური საბანკო კანტორები თბილისში ჰქონდათ ი. ჩითახოვს, გ. კასუმოვს, მუტადოვს და სხვა.*

*თბილისში დაარსებულმა საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი რაოდენობის კაპიტალი გასცეს. 1879 წელს თბილისში სახელმწიფო ბანკის განყოფილების, საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზის, ურთიერთდამაკრედიტებელი საზოგადოებისა და თბილისის სათავადაზნაურო სადგილმამულო ბანკის საერთო ბრუნვა 744 მილიონ, მათი სალაროების ბრუნვა 350 მილიონ მანეთს შეადგენდა. კერძო პირების მიერ პროცენტული ნამატისათვის შეტანილ იქნა 38 მილიონ მანეთზე მეტი თანხა.*

---

34 საქ. ისტ. ნარკვევები, თბ., 1970 წ. ტ. 5, გვ. 425.

35 სცსსა, ფ. 192, ანაწ. 6, საქ. 228.

36 იქვე, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 2286, გვ. 2-3.

37 იქვე, ფ. 254, ანაწ. 3, საქ. 3980.

38 სცსსა, ფ. 17, ანაწ., 1, № 2286.

39 იქვე, ფ. 254, ანაწ. 3, საქ. 3864.

მარტო ურთიერთდამკრედიტებელმა საზოგადოებამ და კომერციულმა ბანკმა გაანაღდა 15 მილიონ მანეთზე მეტი თამასუქი. ყველა საკრედიტო ორგანიზაციამ უძრავი და მოძრავი ქონებისა და პროცენტიანი ქაღალდების დაგირავებით გასცა 19 მილიონი მანეთი. სახელმწიფო ბანკის განყოფილებამ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადააგზავნა 25 მილიონ მანეთზე მეტი თანხა, ამასთან ერთად ბანკმა სხვადასხვა ქალაქებიდან თბილისში გადმორიცხვით გადაიხადა 3819956 მანეთი. ურთიერთდამკრედიტებელმა საზოგადოებამ და კომერციულმა ბანკმა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში და საზღვარგარეთ გადარიცხეს 11 მილიონი და გადაიხადეს 5 მილიონ მანეთზე მეტი თანხა. გვაძლევს რა, თბილისის საკრედიტო დაწესებულებების მონაცემებს, თბილისის გუბერნატორი 1879 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ თუ გავითვალისწინებთ იმ თანხას, რომელიც მოსახლეობაში ბრუნავს, დისკონტირებულ თამასუქებსა და განხორციელებულ გადარიცხვებს და მხედველობაში მივიღებთ ქალაქ თბილისში არსებულ კერძო საბანკო კანტორებს, გამსესხებელ სალაროებს, სავექსილო სალაროებს და სავაჭრო სახლებს, თბილისის სავაჭრო ბრუნვა შეგვიძლია 100 მილიონ მანეთით განვსაზღვროთ[40]

იმპერიაში საერთოდ ვაჭრობის დაცემის ფულის დაბალი კურსის, თბილისში ზოგიერთი ცენტრალური დაწესებულების გაუქმებისა და ბათუმისა და ბაქოს სავაჭრო მნიშვნელობის გაზრდის მიუხედავად არ შეჩერებულა თბილისის საბანკო ოპერაციები. ამის შესახებ თბილისის გუბერნატორი 1883 წელს აღნიშნავდა, რომ საკრედიტო და საბანკო დაწესებულებებს ამ შეზღუდულ პირობებშიც ჰქონდათ საშუალება ეწარმოებინათ ფართო საკრედიტო ოპერაციები. ამ წელს კომერციული ბანკის, ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოებისა და თბილისის სათავადაზნაურო სადგილმამულო ბანკის საერთო ბრუნვამ 100,92 მილიონი მანეთი შეადგინა. წოვიანოვების სახლის, ექვსი სავაჭრო სახლისა და 5 სავექსილო ბიუროს ბრუნვამ 17,52 მილიონი მანეთი, სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილების ოპერაციებმა კი 49,67 მილიონი მანეთი[41].

---

40 ცსსსა, ფ., 5, ანაწ. 1, საქ. 6474, ფფ. 28-29.

41 სცსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 1700, ფფ. 24-25.

ამგვარად, თუ რეფორმამდელ საქართველოში არსებობდა ერთადერთი ნაწილობრივ ქველმოქმედებითი და ნაწილობრივ საკრედიტო დაწესებულება საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი, რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში გაიხსნა რამდენიმე მსხვილი საბანკო-საკრედიტო დაწესებულება. წლითი წლობით იზრდებოდა ამ დაწესებულებათა წევრთა რაოდენობა, მათი კაპიტალი და ბრუნვა.

საქართველოში საბანკო და საკრედიტო დაწესებულებების წარმოქმნა და განვითარება გამოწვეული იყო ვაჭრობისა და კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებით. თავის მხრივ საბანკო-საკრედიტო დაწესებულებები აძლევდნენ რა დიდი რაოდენობით კრედიტებს მრეწველ და ვაჭარ კაპიტალისტებს, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაში. როგორც ვ.ი. ლენინი აღნიშნავდა, "ბანკების ძირითადი და თავდაპირველი ოპერაცია-ფულის გადახდის საქმეში შუამდგომლობაა. ამასთან დაკავშირებით უმოქმედო ფულად კაპიტალს ბანკები ქმნიან მოქმედად, ე.ი. მოგების მომცემად, აგროვებენ ყველა და ყოველგვარ ფულად შემოსავალს და აქცევენ მას კაპიტალისტთა კლასის განკარგულებაში"[42]. ისინი ხელს უწყობდნენ ბურჟუაზიის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებასა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას. საშუამავლო ოპერაციების წარმოებით, ფულის გადარიცხვით რუსეთის, ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქალაქებში, - საბანკო და საკრედიტო დაწესებულებები საქართველოს ვაჭართა კლასს აქტიურად აბამდნენ მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში.

სავაჭრო კაპიტალი განვითარების გარკვეულ საფეხურზე გადადის საბანკო კაპიტალში. ვაჭრობის განვითარებისა და ვაჭართა კლასის ფორმირების დროს, ხდება ვაჭართა გარკვეული ნაწილის გაკოტრება და დაცემა, ამავე დროს ვაჭართა გარკვეული ნაწილი, რომელთა ხელში თავს იყრის დიდძალი ფულადი კაპიტალი იწყებს საბანკო ოპერაციებში მონაწილეობის

---

42 ვ.ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 261 61.

მიღებას და სულ უფრო აქტიურად ჰკიდებს ხელს სამრეწველო წარმოებებს. როგორც მარქსი აღნიშნავს, - კაპიტალი თავისუფლდება ფულადი ფორმით განსაკუთრებით ვაჭრის ხელში, ეს თავისუფალი ფული კი გადაიქცევა გასასესხებელ ფულად კაპიტალად[43].

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან თბილისელი მსხვილი ვაჭარ-მოიჯარადრეთა გარკვეული ნაწილი აქტიურ მონაწილეობას იღებს საბანკო-საკრედიტო დაწესებულებების დაარსებასა და მათ საქმიანობაში.

1871 წელს თბილისში დაარსებული კომერციული ბანკის დამაარსებლები იყვნენ მსხვილი თბილისელი ვაჭრები და მოიჯარადრეები. მსხვილი თბილისელი ვაჭარი და მოიჯარადრე ე.ი. ამირაღოვი. 1854 წელს ის კავკასიის ცალკე კორპუსის საინტენდანტოს მიერ შედგენილ სიაში მოხსენიებულია ვაჭართა რიგში, რომლებიც ამარაგებდნენ კავკასიის ცალკე კორპუსს[44]. ხოლო 1864 წელს მას მინიჭებული აქვს მთამომავლობით საპატიო მოქალაქის წოდება. თბილისის კომერციული ბანკის ერთ-ერთი წარმომადგენელია ი. ზუბალაშვილი. ზუბალაშვილები ჯერ კიდევ მე-17-18 საუკუნეებში იყვნენ ცნობილი თბილისელი და გორელი ვაჭრები, რომლებიც ვაჭრობას ეწეოდნენ მთელ კავკასიაში, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საგარეო ვაჭრობაშიც. ი. ზუბალაშვილი იყო XII კლასის სოვდაგარი, სასმელითა და სურსათ-სანოვაგით ამარაგებდა კავკასიის ცალკე კორპუსს, ხოლო შემდეგ თვითონ მოჰკიდა ხელი არყის წარმოებას. 1843 წელს ი. ზუბაშვილს თბილისში ჰქონდა დიდი ქარვასლა, რომელშიც იყო 10 სავაჭრო მაღაზია, საწყობები, ღვინის სარდაფები და 71 სასტუმრო ოთახი[45].

თბილისის კომერციული ბანკის დამაარსებელთა შორის იყვნენ თბილისელი მსხვილი ვაჭარ-მოიჯარადრეები, წურინოვები, ფრიდონოვები, იზმიროვები, მირიმანოვები, ეჯუბოვი, ანანოვები და სხვა. მათ 1864 წელს

-------------

43 მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 58.

44 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქ. და ამიერკ. ეკ. განვით. XIX-XX სს. ტ. VI, თბ., 1979, გვ. 328.

45 იქვე, გვ. 353-354.

მიიღეს მდამომავლობით საპატიო მოქალაქეების წოდებები[46]. საქართველოში საგილდიო სისტემის შემოღების შემდეგ იყვნენ I ან II გილდიის ვაჭრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისში აქციონერული საზოგადოებების დაარსებაში, მათ ჰქონდათ თბილისში სავაჭრო დაწესებულებები[47].

კომერციული ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი იყო გაბრიელ თამამშევი, თბილისის მსხვილი ვაჭარი და მოიჯარადრე, 1864 წელს მან მიიღო მდამომავლობით საპატიო მოქალაქის წოდება[48]. 1846 წელს კავკასიის მეფისნაცვლის და თბილისის საპატიო მოქალაქის გაბრიელ თამამშევს შორის დადებულ იქნა კონტრაქტი, რომლის ძალითაც თამამშევს, ერევნის მოედანზე სახაზინო მიწაზე საკუთარი კაპიტალით უნდა აეგო ორსართულიანი შენობა, რომელშიც მოთავსებული იქნებოდა თეატრი, საწყობები და დუქნები[49]. თამამშევის მიერ აგებულ შენობის I სართულზე იყო 6 საცხოვრებელი ოთახი, 29 დუქანი და 11 სარდაფი. მეორე სართულზე 29 დუქანი, 16 სარდაფი – საწყობი და 2 ფულის გადასახურდავებელი დუქანი, მესამე სართულზე 19 მაღაზია, 80 შესანახი კარადა, 4 ფულის გადასახურდავებელი დუქანი. მეოთხე სართულზე იყო 21 მაღაზია ანტრესოლებით. მეორე და მესამე სართულის ცენტრში მოთავსებული იყო თეატრი[50].

თბილისელ ვაჭარ მოიჯარადრეთა გარკვეული ნაწილი ჩაერთო საბანკო-საკრედიტო საქმიანობაში და ხელი მოჰკიდა სამრეწველო წამოწყებებს. დ. როტინოვი იყო თბილისელი მოქალაქე, რომელიც მისდევდა ვაჭრობასა და მოიჯარადრეობას, მას 1864 წელს მიენიჭა მდამომავლობით საპატიო მოქალაქის წოდება[51]. მისი შვილი ი. როტინოვი იყო თბილისის მეორე გილდიის ვაჭარი[52], რომელიც კომერციული ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია. 80–90-იან წლებში მას ჰქონდა მანუფაქტურული საქონლის მა-

---

46 სცსსა, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 362, 396.
47 სცსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 781, გვ. 3, ფ.254, ანაწ.3,საქ.1504.
48 იქვე, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 362.
49 სცსსა,ფ.17,ანაწ.1,საქ.781,გვ.3,ფ.254,ანაწ.3,საქ.770,გვ.13.
50 თ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი თბილისის სურათები, გვ. 24.
51 სცსსა, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 336
52 იქვე, ფ. 193, ანაწ. 1, საქ. 194.

ღაზია თბილისში, რომლის საერთო წლიური ბრუნვა 157868 მანეთს უდრი-და[53]. ამასთან ერთად მან დაარსა სავაჭრო სახლი, რომელსაც ჰქონდა სა-ხერხი ქარხანა[54].

ა. ტაიროვი, თბილისელი ვაჭარი და მოიჯარადრე, საგილდიო სისტემის შემოღების შემდეგ ის თბილისის I გილდიის ვაჭარი იყო, რომელიც კომერ-ციული ბანკის დაარსებაში იღებდა მონაწილეობას, მისი შვილი კი ი. ტა-იროვი, იყო ალიხანოვის მიერ დაარსებული აქციონერული საზოგადოების წევრი[55], ის 1890-იან წლებში კონსტანტინე მიხეილის ძე ალიხანოვთან ერთად ხსნის ზეთსახდელ და საპნის ფაბრიკას. 1899 წელს ამ ფაბრიკის მიერ დამზადებულ და გაყიდულ იქნა 14764 მან. ზეთი და 37971 მანეთის საპონი[56].

1890-იან წლებში კომერციული ბანკის თავმჯდომარე იყო ა. მანთაშე-ვი. მანთაშევი 1866 წლის თბილისის კამერალურ აღწერაში მოხსენიებულია, როგორც ბითუმად მოვაჭრე თბილისელი მოქალაქე. მისი შვილი ალექსანდრე 1876 წელს II გილდიის[57], ხოლო 1883 წელს I გილდიის მსხვილი ვაჭარი იყო[58]. 1887 წელს მან ბაქოში დაარსა ნავთობის სამრეწველო და გადა-საზიდი ფაბრიკა[59]. 80-90-იან წლებში ის ნავთობის ერთ-ერთი მსხვილი მრეწველი იყო[60].

მიხეილ ალექსანდრეს ძე თამამშევი იყო თბილისის I გილდიის ვაჭა-რი[61], რომელიც 1880 წელს თბილისში დაარსებული საქალაქო საკრედიტო საზოგადოების ერთ-ერთ დამაარსებლად ითვლებოდა. მან გახსნა თუჯსასხ-

-----------

53 სცსსა, ფ. 254, აღწ. 3, საქ. 3864.
54 იქვე, ფ. 254, აღწ. 3, საქ. 3867.
55 სცსსა, ფ. 254, აღწ. 3. საქ. 3289.
56 სცსსა, ფ. 254, აღწ. 3, საქ. 3866.
57 იქვე, აღწ. 2, საქ. 396.
58 ვ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ა/კ ეკონომიკური განვითა-რება XIX-XX სს. ტ. VI, თბ., 1979, გვ. 325.
59 К.К.,1892, с.114.
60 სცსსა, ფ. 198, აღწ. 1, საქ. 57.
61 იქვე, საქ. 194.

მელი და სამეინკლო-მექანიკური ქარხანა, რომელმაც 1886 წ. დაამზადა 17000 მან. პროდუქცია[62].

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ თბილისელი ვაჭრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საბანკო-საკრედიტო დაწესებულებების დაარსებასა და მათ ოპერაციებში, ამ ვაჭართა გარკვეულმა ნაწილმა კი ხელი მიჰყო სამრეწველო წამოწყებებს.

ცნობილი სავაჭრო სახლის მფლობელები ძმები წოვიანოვები იყვნენ შთამომავლები უბრალო თბილისელი ხელოსნისა, რომელიც კერავდა აზიურ ფეხსაცმელს. მიკირტუმ წოვიანოვი 1866 წლის კამერალური აღწერის მიხედვით თბილისელ მოქალაქეთა წოდებას განეკუთვნებოდა[63], ხოლო მისი შვილები ეგორ, ისაკ და ალექსანდრე ვაჭრობას ეწეოდნენ. მათ საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ ევროპული საქონელი და თბილისში[64] ასაღებდნენ.

საქართველოში გილდიური წყობილების შემოღების შემდეგ წოვიანოვები გადადიან ვაჭართა კლასში. 1879 წელს ისინი მე-2 გილდიის, ხოლო 1880 წლიდან პირველი გილდიის ვაჭრები არიან და მოხსენიებული არიან როგორც პირველი გილდიის მკვიდრი თბილისელი ვაჭრები[65]. ძმები წოვიანოვები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თბილისში დაარსებული საბანკო-საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობაში. წოვიანოვები – სავაჭრო სახლის მფლობელები იყვნენ თბილისის კომერციული ბანკის დამაარსებლები, თბილისის ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოების დეპუტატთა საბჭოს წევრები[66]. არეხანოვის მიერ დაარსებული აქციონერული საზოგადოების წევრები[67]..

თბილისში ინდივიდუალური საბანკო კანტორის მფლობელი ი. ჩითახოვი

---

62 ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, თბილისის მრეწველობა XIX ს. II ნახევარში, თბ., 1961, გვ. 50.

63 ცსსა, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 396.

64 იქვე, ფ. 378, ანაწ. 1. საქ. 11687.

65 იქვე, ფ. 198, ანაწ. 1, საქ. 194.

66 იქვე, ფ. 391, ანაწ. 1, საქ. 34.

67 იქვე, ფ. 254. ანაწ. 3, საქ. 3289.

იყო პირველი გილდიის თბილისელი ვაჭარი[68]. 1892 წელს საბანკო კანტორის მფლობელმა თბილისში გახსნა ბამბის სართავი ფაბრიკა, რომლის საერთო ბრუნვა 350000 მანეთს შეადგენდა. ქარხნის ნაწარმი სადებო-და მთელ ამიერკავკასიაში, ნაწილი გადიოდა რუსეთის შიდა გუბერნიებში[69].

"პიტოევისა და კომპ." სავაჭრო სახლის მფლობელი თბილისელი ვაჭარი ი. პიტოევი, 1854 წელს კავკასიის არმიის ცალკე კორპუსის საინტენდანტოს მიერ 1854 წელს შედგენილ სიაში მოხსენიებულია ისეთ ვაჭართა რიგში, რომელიც სურსათ-სანოვაგით ამარაგებდა კავკასიის ცალკე კორპუსს[70]. 1864 წელს მას მიღებული აქვს შთამომავლობით საპატიო მოქალაქის ტიტული[71]. 1860-იანი წლებიდან ის არის თბილისის I გილდიის ვაჭარი[72], რომელიც თბილისში ხსნის სავაჭრო სახლს ე.ი. პიტოევი და კომპ. სავაჭრო სახლის ძირითადი კაპიტალი 120000 მანეთს უდრიდა. ამხანაგობის მიზანი იყო ეწარმოებინა სამრეწველო-სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო და სხვადასხვაგვარი სავაჭრო ოპერაციები, მაგ., სახელმწიფო და კერძო იჯარა, მიწოდება, სადაზღვევო, საბანკო და სხვა სახის ოპერაციები[73]. სავაჭრო სახლს ჰქონდა საკუთარი თევზის სარეწები ჯევათის მაზრაში და აწარმოებდა თევზის ნაწარმის ბითუმად გაყიდვას[74]. ამავე დროს პიტოევები იყვნენ თბილისის საკრედიტო დაწესებულებების აქციონერები და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მათ საქმიანობაში[75].

ამგვარად, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მსხვილი ვაჭარ-მოიჯარდრეთა გარკვეული ნაწილი აქტიურ მონაწილეობას იღებს საბანკო-საკრედიტო დაწესებულებების დაარსებასა და მათ საქმიანობაში. ზოგი-

---

68 სცსსა, ფ. 198, ანაწ. 1, საქ. 194.
69 იქვე, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 3332, გვ. 415.
70 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქ. და ამიერკ. ეკონომიკური განვითარება, თბ., 1979, ტ. VI, გვ. 328.
71 სცსსა, ფ. 254, ანაწ. 2, საქ. 362.
72 იქვე, ფ. 198, ანაწ. 1, საქ. 194.
73 სცსსა, ფ. 192, ანაწ. 6, საქ. 228, გვ. 13.
74 იქვე, ფ. 254, ანაწ. 3, საქ. 3867.
75 იქვე, ფ. 391, ანაწ. 1, საქ. 34.

ერთი მათგანი ერთვება რა საბანკო და საკრედიტო საქმიანობაში, ხელს ჰკიდებს სამრეწველო წამოწყებებს, ხდება სავაჭრო კაპიტალის გადაქცევა საბანკო და შემდეგ სამრეწველო კაპიტალად.

ფეოდალური წყობილების წიაღში დაწყებული სასაქონლო ურთიერთობის, სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება, გლეხთა დიფერენციაცია, სამრეწველო პროდუქტებზე გლეხობის მოთხოვნილების ზრდა საქართველოში საშინაო ბაზრის გაფართოებას იწვევს. რკინიგზების გაყვანა, სამთამადნო მრეწველობის აღმავლობა, სასაქონლო მეურნეობაზე დამყარებული დარგობრივი სპეციალიზაცია, სახელმწიფო და კერძო საკრედიტო ორგანიზაციების დაარსება საქართველოს მსოფლიო ბაზრებთან აკავშირებს.

ამიერკავკასიის ქალაქებს შორის განსაკუთრებით ქ. თბილისი დაწინაურდა. იგი საქართველოს და ამიერკავკასიის არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ სავაჭრო-სამრეწველო და კომერციული ცენტრი და მზარდი კაპიტალისტური ტიპის ქალაქი გახდა. თბილისში გაიზარდა სავაჭრო დაწესებულებების რიცხვი და საბრუნავი კაპიტალი.

საგლეხო რეფორმის შემდეგ ვაჭრობა-მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფმა კაპიტალისტურმა ევოლუციამ ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების შექმნა განაპირობა, განსხვავებით მე-19 საუკუნის I ნახევარში მოქმედი საკრედიტო დაწესებულებებისა, რომელიც საქველმოქმედო და საკრედიტო ფუნქციებს აერთიანებდა და შეღავათიანი კრედიტით ძირითადად თავადაზნაურობას ემსახურებოდა, მე-19 საუკუნის II ნახევარში წმინდა კაპიტალისტური ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების რაოდენობრივი ზრდა და მათი საბრუნავი კაპიტალისა და ოპერაციების გაფართოება მოხდა. ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების შექმნაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ თბილისელი ვაჭრები. თანდათან აღნიშნული ტიპის დაწესებულებებში სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენელთა ზრდა შეიმჩნევა. მე-19 საუკუნის ბოლოს იწყება სავაჭრო კაპიტალის საბანკო

და სამრეწველო კაპიტალთან შერწყმის რთული პროცესი. მართალია, აღნიშნულ პერიოდში ეს პროცესი ფართო ხასიათს არ ატარებს, მაგრამ აშკარად ჩანს მისი ზრდის ტენდენცია.

ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები ხელს უწყობენ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას, ისინი თბილისს საქართველოს და ამიერკავკასიის ყველა კუთხესთან, რუსეთის იმპერიის ცენტრალურ და განაპირა მხარეებთან და საზღვარგარეთის ბაზრებთან აკავშირებენ.

Г.Т.Чкония

## БАНКИ И КРЕДИТНЫЕ УЧРЕЖДЕНИЯ В ТБИЛИСИ
## (вторая половина XIX в.)

### Р е з ю м е

Расширение внутреннего рынка Грузии в I половине XIX века было вызвано ростом товарного оборота, торгового земледелия, дифференциацией крестьян и повышением их потребности на промышленные товары. Прокладка железных дорог, развитие горнорудной промышленности, отраслевая специализация, основанная на товарном производстве, создание государственных и частных кредитных организаций связало Грузию с мировым рынком.

Из всех городов Закавказья особенно выделялся Тбилиси, который являлся не только административным, но и торгово-промышленным и коммерческим центром Грузии и Закавказья и который превращалоя в растущий город капиталистического типа. Растет в Тбилиси торговый капитал и число торговых заведений.

Капиталистическая эволюция торгово-промышленного производства и сельского хозяйства, что произошло после крестьянской реформы, определила создание банковоких и кредитных учреждений. В отличие от

I половины XIX столетия, когда действовало одно кредитное учреждение, которое объединяло благотворительные и кредитные функции и льготным кредитом обслуживало в основном дворян, во второй половине XIX века произошел численный рост чисто капиталистических банков и кредитных учреждений с расширением их оборотного капитала и разновидностей операций. В основании банков и кредитных учреждений активное участие принимали тбилисские купцы. Наблюдается рост представителей промышленного капитала в указанных учреждениях.

В конце XIX века начинается сложный процесс слияния торгового капитала с банковским и промышленным капиталом. Несмотря на то, что этот процесс не носит широкий характер, все же наблюдается тенденция его роста.

Банки и кредитные организации способствовали развитию промышленности и торговли. Они связали Тбилиси как со всеми уголками Грузии и Закавказья, с цетральной и периферийной Россией, так и с заграничным рынком.

ლ. ბეგია

## ვერის უბნის აგურის ქარხნები XIX ს. თბილისში

XIX საუკუნეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალაქ თბილისის არქიტექტურის ძირითადი სახის ჩამოყალიბებასა და მისი არნახული ტემპით ზრდაში. ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი ეზოებიანი პატარა ორსართულიანი სახლების გვერდით გაჩნდა ევროპულ ყაიდაზე ნაშენი ახალი უბნები მრავალსართულიანი სახლებითა და ფართო ქუჩებით. აღმავლობის გზას დაადგა ხელოსნობა და შინამრეწველობა, გაცხოველდა ვაჭრობა, გაიხსნა ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

თბილისის ასეთი აღზევება დაკავშირებული იყო იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძვრებთან, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა. მეფის რუსეთი დაინტერესებული იყო საქართველო რუსეთის სამრეწველო რაიონების ნედლეულისა და ფაბრიკულ-ქარხნული ნაწარმის პროდუქციის ბაზად ექცია. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკის ცალმხრივი განვითარება იყო ნავარაუდევი. საქართველოში მეურნეობის ისეთი დარგები უნდა განვითარებულიყო, რომლებიც რუსეთის მრეწველობას სამხრეთის კლიმატისათვის დამახასიათებელი იაფი ნედლეულით მოამარაგებდა. რუსეთის მთავრობის რეაქციული მიზნების მიუხედავად საქართველოს ეკონომიკა წინ წავიდა. შინაური ფეოდალური და საგარეო ომებით დაღლილი საქართველო მშვიდობიანი განვითარების გზას დაადგა. სწრაფად დაწინაურდა ვაჭრობა, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, დაირღვა საუკუნეების მანძილზე არსებული ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობა, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა კაპიტალიზმის განვითარების ტემპების დაჩქარებისათვის. ყოველივე ამას სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებთან ერთად, ქალაქის სწრაფი ზრდა-განვითარება მოჰყვა. ამ მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქალაქი თბილისი, რომელიც ამიერკავკასიის როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, ისევე სავაჭრო-სამრეწველო და კულტურული ცენტრი გახდა.

თბილისში რუსეთის ხელისუფლების ხელმძღვანელი აპარატის დამკვიდრებამ, მთელი კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის ორგანოების მოწყობის საკითხი წამოაყენა. ქალაქში მრავალი სახელმწიფო მმართველობისა და სამხედრო უწყებისათვის განკუთვნილი სახლი აშენდა, კერძოდ, XIX საუკუნის დასაწყისში დამთავრდა მთავარმართებლის სასახლე, სამხედრო ოლქის შტაბის შენობა, რამდენიმე ყაზარმა და სხვა. რუსეთიდან თბილისში მრავლად იწყეს ჩამოსვლა სახელმწიფო აპარატის მუშაკებმა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, ბედის მაძიებლებმა, ქალაქში სამუშაოს საშოვნელად წამოსულმა ყმობიდან განთავისუფლებულმა გლეხებმა, რამაც თბილისის მოსახლეობის ზრდა გამოიწვია. მოსახლეობის ზრდის პარალელურად ქალაქში საბინაო მშენებლობის გაფართოება დაიწყო. სტატისტიკური მონაცემებით 1803 წელს თბილისში 20000 კაცი ცხოვრობდა, 1864 წელს მოსახლეობის რიცხვი 60085 კაცამდე გაიზარდა. არსებული სახლების რაოდენობა 1803 წელს თბილისში 3000 იყო; 1863 წელს მათი რიცხვი 8974-მდე გაიზარდა[1]. შენობათა რიცხვის საერთო ზრდასთან ერთად სწრაფად იმატა სამსართულიანი სახლების რაოდენობამ. მშენებლობის საქმეს ხელი მოჰკიდეს თავისუფალი კაპიტალის მქონე პირებმა. ისინი ევროპული ტიპის მრავალსართულიან სახლებს სასტუმროების და საცხოვრებელი ბინების სახით აშენებდნენ, რომელთა გაქირავებით დიდ ფულად მოგებას იღებდნენ.

ქალაქში სამშენებლო საქმის გამოცოცხლებამ სამშენებლო მასალაზე, განსაკუთრებით კი აგურზე, როგორც მშენებლობისათვის საჭირო ძირითად მასალაზე მოთხოვნილების ზრდა გამოიწვია. ამიტომ ფართოდ გაშლილ ახალ მშენებლობას, ცხადია თან სდევდა აგურის საწარმოთა რიცხობრივი ზრდა თბილისში.

არსებული ცნობებით დასტურდება, რომ მეაგურეობა თბილისში თითქ-

---

1 ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, კერამიკული წარმოება საქართველოში, 1958, თბილისი, გვ. 55.

მის მთელი XIX საუკუნის მანძილზე წარმოების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა. იგი არათანამიმდევრულად, დაბრკოლებებით ვითარდებოდა. მეურნეობის ამ დარგს წარმოების თავისი საკუთარი სპეციფიკა გააჩნდა. ამიტომაც მისი განვითარება შინაგანი წინააღმდეგობების ფონზე მიმდინარეობდა. ბევრი ახალი წარმოება, რომელიც მიზნად ისახავდა აგურის წარმოების მანქანურ წესზე გადასვლას, მარცხით მთავრდებოდა. წარმოების ამ დარგმა მხოლოდ 80-იანი წლების შემდეგ მიიღო მანქანური წარმოების ხასიათი.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს აგურის საწარმოების ზრდა, მისი განვითარების გზები და ტემპები XIX საუკუნეში, მეცნიერულ ლიტერატურაში აგურის წარმოების განვითარებაში ორ პერიოდს გამოჰყოფენ. პირველი საგლეხო რეფორმის წინადროინდელ ხანას მიეკუთვნება, როდესაც იგი ჯერ კიდევ ხელოსნურ ან მანუფაქტურულ წარმოების სახით იყო წარმოდგენილი; მეორე – რეფორმის შემდგომი – მანქანურ წარმოებაზე გადასვლის პერიოდი.

თბილისს აგურის წარმოების დიდი ტრადიციები გააჩნდა. საუკუნეების მანძილზე აქ არსებული აგურის ქარხნები მთლიანად აკმაყოფილებდნენ ქალაქს მშენებლობისათვის საჭირო აგურის რაოდენობით. მაგრამ XIX საუკუნეში თბილისში შექმნილი ვითარების საპასუხოდ, ქალაქის გარეუბნებში იქმნება აგურის წარმოების ახალი ცენტრები. ერთ-ერთი ასეთი ცენტრი ვერის უბანი გახდა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში აგურის საწარმოთა მოსაწყობად ვერაზე გამოყოფილ იქნა დიდი ტერიტორია ბოჭკოვის ქუჩიდან ვარაზის ხევამდე, სადაც მოკლე ხანში რამდენიმე აგურის ქარხანა წარმოიშვა. ამ დროიდან მოყოლებული მთელი საუკუნის მანძილზე ვერა აგურის წარმოების ცენტრად იქცა. ამისათვის ვერის უბანს საუკეთესო ხელშემწყობი პირობები ჰქონდა. იგი მდიდარი იყო თიხის ნიადაგით, მდინარე მტკვრისა და მდინარე ვერეს სახით გააჩნდა წარმოებისათვის საჭირო წყლის რესურსები ამ უბანში, ახლანდელ აბრეშუმის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარეობდა

სატიო, სადაც ხე-ტყის მასალა ბორჯომიდან მდინარეზე დაცურებით ჩამოდიოდა და ვერის უბნის საწარმოებს საწვავი შეშით ამარაგებდა. ვერა ახლოს იყო ქალაქის იმ ნაწილიდან, რომლის განაშენიანებაც მიმდინარეობდა (ახლანდელი რუსთაველის გამზირი).

ვერა XIX საუკუნის დასაწყისში შემოუერთდა თბილისს. მასში შედიოდა სოფელი ვარდისუბანი, ანუ ტერიტორია ახლანდელი ფილარმონიიდან ვარაზის ხევამდე. აქ ქართველი თავადაზნაურების (გაბაშვილები, ყორღანაშვილები, ორბელიანები) და ქალაქის მელიქის კუთვნილ მიწაზე იწყება აგურის ქარხნების მშენებლობა. აგურის ყველა საწარმოს ოფიციალურ სტატისტიკაში ქარხანას უწოდებენ, სინამდვილეში ისინი წარმოადგენენ სახელოსნოებს, სადაც აგურის დამზადება პრიმიტიული წესით ხდებოდა. აღნიშნული ქარხანა მარტივად იყო მოწყობილი. თიხის მოპოვება ქარხნისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ხდებოდა, წყალს ეზოში გაჭრილ ჭიდან იღებდნენ. თიხის მოზელა და დაყალიბება ხელით ხდებოდა ღია ცის ქვეშ. აგურის გამოწვა ნაგებ საველე ქურაში წარმოებდა, რომელიც შეშით ხურდებოდა. აგურის ქარხნის მოწყობა არ მოითხოვდა დიდ ხარჯებს, ამიტომ მისი გახსნა თავისუფლად შეეძლო მეაგურე ხელოსანს. მეაგურეებად თბილისში ძირითადად სპარსელები, ნაწილობრივ სომხები იყვნენ.

მეაგურე ხელოსანი, აგურის ქარხნის პატრონი,ქარხნის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. აქვე, მის სახლში ცხოვრობდნენ მუშებიც. აგურის წარმოება მუშებისაგან არავითარ კვალიფიციურ ცოდნას არ მოითხოვდა, ამიტომ ამ საქმეში დაკავებული იყვნენ დაბალი კვალიფიკაციის მუშები, ძირითადად სპარსელები ან სოფლიდან სეზონურად ფულის საშოვნელად ჩამოსული გლეხები. მიუხედავად შრომატევადი სამუშაოსი, საქმის სიმარტივის გამო, ისინი დაბალ გასამრჯელოს იღებდნენ, 1000 აგურის დამზადებაში 3 მანეთს უხდიდნენ. ქარხანა წლის გარკვეულ თვეებში მაისიდან ოქტომბრამდე მუშაობდა, დანარჩენ დროს კი უმოქმედოდ იყო.

აი, ასეთი პრიმიტიული ქარხნებით მოიფინა 20-იანი წლებიდან ვერის

უბანი, რომელიც საუკუნის ბოლომდე თბილისში აგურის წარმოების ცენტრად იქცა. პირდაპირი ცნობები XIX საუკუნის პირველ ნახევარში აგურის ქარხნების მიერ დამზადებული პროდუქციის შესახებ არ არსებობს. განსაკუთრებით მწირია ცნობები ვერის უბანში აგურის წარმოების შესახებ; მაგრამ, თუ ვივარაუდებთ, რომ 50-იან წლებამდე აგურის წარმოების დიდი უმრავლესობა ვერაზე იყო თავმოყრილი, ცხადი გახდება, რომ ქალაქში აგურის წარმოების სურათს სწორედ ვერის უბანი ქმნიდა[2]. სტატისტიკური ცნობებით 1826 წელს თბილისში 31 აგურის ქარხანაა აღრიცხული, 1830 წელს -28, 33[3], 1835 წელს - 30. მათ მიერ წლიურად წარმოებული პროდუქციის ოდენობა 6 მილიონ მანეთს შეადგენდა[4].

30-იან წლებში ვერის უბანში შეინიშნება აგურის საწარმოს გამსხვილების ცდა. აზნაურ გაბაევის მიწაზე არსებულმა ქარხნის მფლობელმა ოსიპოვმა საწარმო გააფართოვა. მან ქარხანაში დაამონტაჟა როგორც აგურის გამოსაწვავი, ისე სამეურნეო ღუმელი. აღნიშნული რეკონსტრუქციისათვის მან დახარჯა 880 მანეთი ვერცხლით[5]. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან – აღამაჰმადხანის მიერ დანგრეული ქალაქის უბნების აღდგენის შემდეგ – აგურზე მოთხოვნილება შემცირდა. ახალი სახლების მშენებლობას მაღალი საბინაო ბეგარის გამო მოსახლეობა უხალისოდ მიჰყვა. თუ 1831 წელს სახლების ასაშენებლად 68 ნებართვა იქნა გაცემული, 1833 წელს – მხოლოდ 13. მშენებლობის დამუხრუჭებას აგურის წარმოების მკვეთრი შემცირება მოჰყვა. მაგალითად, 1838 წელს თბილისში სულ 19 აგურის ქარხანა იყო. 40-იანი წლებიდან საბინაო ბეგარა საბინაო გადასახადით შეიცვალა. ამის შემდეგ მალე სამშენებლო საქმიანობა ქალაქის მეურნეობის ერთადერთი წამყვანი დარგი გახდა, რამაც აგურის საწარმოების ხელახა-

---

2 მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, თბილისის სამრეწველო განვითარება XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, 1968, გვ. 162.

3 სცსსა, ფ. 16, საქმე 4019, ფურც. 60.

4 ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58.

5 მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 162.

ლი ზრდა განაპირობა.

1846 წელს თბილისში 41 აგურის ქარხანა იყო 8,2 მილიონი მანეთის წარმოებული პროდუქციით[6], 1847 წელს კი – 44, 58 მოქმედი ღუმელით და წლიწადში 98906 მანეთის ღირებულების (5558 ათასი ცალი აგური) წარმოებით[7]. 50-იან წლებში ვერაზე აგურის წარმოებაში პირველად თავადაზნაურების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. 1851 წელს ნატალია ამაშიძემ აქ აგურის ქარხნის მოწყობის ნებართვა ითხოვა[8]. 1853 წელს კი აზნაურმა გაზაევმა თავის მამულში მოაწყო აგურის საწარმო, ამავე დროს ააგო საცხოვრებელი სახლი, სადაც მუშათა საცხოვრებელი ოთახებიც იყო ნავარაუდევი[9].

60-იან წლებში თბილისში აგურის წარმოებაში თვალსაჩინო წამოწყებები მოხდა ჩუღურეთსა და კუკიაზე, კერძოდ, 1858 წელს მეფის ნაცვლის წაქეზებით არქიტექტორმა რაისიმ თბილისში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე დიდი სამშენებლო მასალის საწარმო მოაწყო[10]. 1860 წელს მთავრობის წახალისებით ტანერის კომპანიამ სამშენებლო მასალების, მათ შორის აგურის დიდი მანქანური საწარმოს მოწყობა დაიწყო მტკვრის მარცხენა სანაპიროზე[11]. ამის გამო ძნელია იმის დადგენა, ამ პერიოდში თბილისის აგურის წარმოებაში რა წილი უდევს ვერის უბანს.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კერამიკულ წარმოებაში ტექნიკური სიახლენი დაინერგა. შემოღებულ იქნა თიხის საზელი და დამყალიბებელი მანქანები, გოფმანის სისტემის მუდმივად მოქმედი გამოსაწვავი ღუმელი. ამ სიახლემ კერამიკულ წარმოებაში გადატრიალება მოახდინა. მაგრამ აგურის წარმოებას იგი გაცილებით გვიან შეეხო. აგურის ქარხნის მეპატრო-

------------

6 სცსსა, ფ. 4, აღწ. 6, საქმე 129, ფურც. 16-17.
7 სცსსა, ფ. 26, აღწ. 2, საქმე 617, ფურც. 36-37.
8 მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 169.
9 მ. ს ა მ ს ო ნ ი ძ ე, იქვე.
10 სცსსა, ფ. 10, საქმე 164, ფურც. 15-16.
11 სცსსა, ფ. 10, საქმე 164, ფურც. 88-91.

ნებს არ ჰქონდათ სათანადო თანხები ახალი მანქანების საზღვარგარეთი-დან შემოსატანად. გოფმანის ღუმელის აგებაც ძვირი ჯდებოდა, ამიტომ აგურის ქარხნები კვლავ პრიმიტიული წესით ამზადებდნენ აგურს. აგურზე მოთხოვნილება კი თბილისში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. საგლეხო რე-ფორმის შემდეგ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საქალაქო მშენებლობის ზრდა-განვითარებისა, წვრილი აგურის სახარშოები თავს ვე-ღარ ართმევდნენ მსხვილ დაკვეთებს. ქალაქის მოთხოვნილების დასაკმაყო-ფილებლად სწრაფად გაიზარდა აგურის ქარხნების რაოდენობა. 1863 წელს თბილისში 60 აგურის ქარხანა იყო, 1866 წელს – 80; აქედან ვერაზე მდებარეობდა 45 აგურის ქარხანა[12]. ისინი ძირითადად განლაგებული იყ-ვნენ ოლღას ქუჩაზე (ახლანდელი ლენინის ქუჩაზე), აგურის ქუჩაზე (ახ-ლანდელი ბაქრაძის ქუჩა) და ვერის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

1886 წელს თბილისის გუბერნატორის საკანცელარიო წიგნში მოხსენე-ბულ მსხვილ 27 სააგურე ქარხნიდან 24 ვერაზე მდებარეობდა[13]. ეს ქარ-ხნები თითქმის არ განსხვავდებიან XIX საუკუნის დასაწყისში მოქმედი აგურის ქარხნებისაგან, ძირითადი სამუშაოები კვლავ ხელით წარმოებდა, აგურის გამოსაწვავად კვლავ საველე ღუმელს იყენებდნენ, რომელიც შე-შით ხურდებოდა. ქარხანაში კვლავ 3 მუშახელი იყო დაკავებული და სამუ-შაო დღე 14 საათიანი ხანგრძლივობისა იყო. ყორღანაშვილის მამულში ასე-თი აგურის ქარხანა ჰქონდა გაშენებული სპარსულ გამეც ჰუსეინ აღ ჰუ-სეინ-ოღლის[14], იგი წლიურად 440 მანეთის ღირებულების 180 ათას ცალ ადგილობრივი ფორმის აგურს ამზადებდა. ქარხანაში მუშაობა მაისიდან ნოემბრამდე წარმოებდა. 1000 ცალი აგურის დამზადებაში მუშა 3 მანეთს იღებდა. ამ ქარხანაში დამზადებული აგური თბილისში იყიდებოდა.

ვერაზე, აგურის ქუჩაზე, მოქალაქე მრიენის მიწაზე, აგურის ქარ-

-----------

12 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობა-სა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში. თბილისი, 1959, გვ. 200.

13 ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 80.

14 სცსსა, ფ. 204, აღწერა 1, საქმე 654, ფურც. 139-167.

ხანა ჰქონდა მოწყობილი ადლენ გეიდარ კერზად ასპერ-ოღლის 1920 მანე-თის ღირებულებით, 240 ათასი ცალი პროდუქციით[15]. აგურის ქუჩაზე ყორ-ღანოვის მიწაზე, სპარსელ ადელ ალი კული ასკარ-ოღლის აგურის ქარხანა მდებარეობდა. იგი წლიურად 300 ათას ცალ აგურს აწარმოებდა 2400 მა-ნეთის ღირებულებით[16]. გაბაევის ქუჩაზე გაბაევის მამულში ხალიმ მირზა-ოღლის აგურის ქარხანა მოქმედებდა, ქარხნის წლიური პროდუქცია 1980 მანეთის ღირებულებით 135 ათას ცალ აგურს შეადგენდა[17]. ამავე სიმძლა-ვრის იყო ჰუსეინ აბუშაბობ-ოღლის აგურის ქარხანა ოღლას ქუჩაზე, ტაი-როვის მიწაზე და აღა გოგი-ოღლის ქარხანა წყნეთის ქუჩაზე[18]. ვერაზე სპარსელების გვერდზე აგურის ქარხნის მფლობელად სომხებიც გვევლინე-ბოდნენ; კერძოდ: გეორგ ტატულოვი, არუთინ აბრამოვი, ტერ გეურქოვი და სხვანი.

ვერაზე აგურის წარმოებამ დიდი გავლენა მოახდინა ამ უბნის ტოპონი-მზე. დიდხანს მოიჯარადრე მემამულეების: ყორღანაშვილის, გაბაევის, ტატულოვის სახელი ერქვა იმ ქუჩებს, სადაც აგურის ქარხნები იყო გა-შენებული.

ჩვენ ხელთ არსებული მასალიდან ჩანს, რომ XIX საუკუნის მეორე ნა-ხევრის აგურის ქარხნები ძირითადად ერთნაირი ტიპისანი იყვნენ, პროდუ-ქციასაც დაახლოებით ერთნაირი ოდენობისას უშვებდნენ. აქედან გამომდი-ნარე, თუ გვეცოდინება აგურის ქარხნების რაოდენობა და ქარხნის მიერ წლის განმავლობაში გამოშვებული პროდუქციის საშუალო ოდენობა (დაახ-ლოებით 2000 ცალი აგური თითო ქარხანაზე), მაშინ შევძლებთ ქალაქში წარმოებული აგურის რაოდენობის დადგენასაც.

---------------

15 სცსსა, ფ. 204, აღწერა 1, საქმე 654, ფურც. 139-167.
16 იქვე.
17 იქვე.
18 იქვე.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1860 წელს | თბილისში | 60 | აგურის | ქარხანა | 12 მლნ | ცალ | აგურს | ამზადებდა |
| 1865 წელს | " | 93 | " | " | 18 " | " | " | " |
| 1876 წელს | " | 66 | " | " | 13,2 " | " | " | " |
| 1886 წელს | " | 80 | " | " | 16 " | " | " | " |
| 1896 წელს | " | 93 | " | " | 18 " | " | " | " |

ამრიგად, ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თვით 80-იანი წლებისათვის აგურის წარმოების კვლავ მცირემძლავრიანი პრიმიტიული აგურის ქარხნები იყო, მაგრამ უკვე არსებობდა ტენდენცია უფრო მსხვილი საწარმოების მოწყობისა. ამ საქმეს ხელს ჰკიდებდნენ თავისუფალი კაპიტალის მქონე პირნი:

1876 წელს ინჟინერ-ტექნოლოგმა ყანდაუროვმა ვერაზე მოაწყო კერამიკული კომბინატი, სადაც სხვა კერამიკულ ნაწარმთან ერთად აგურიც მზადდებოდა. ყანდაუროვმა საზღვარგარეთიდან შეიძინა საჭირო მანქანები, სადაც თიხის მოზელა-დაყალიბება მანქანური წესით წარმოებდა, მაგრამ გამოსაწვავი ღუმელი ისევ ძველი ტიპის საველე დარჩა, რომელიც შეშით ხურდებოდა. ყანდაუროვის ქარხანამ ვერ გაართვა თავი იმ სიძნელეებს, რომელიც მანქანურ წარმოებას მოჰყვა. მუშებმა დაბალი კვალიფიკაციის გამო ვერ აითვისეს მანქანები; გარდა ამისა, ძველი ტიპის საწვავი ქურა საქმეს ვერ აუდიოდა, საწვავიც დიდ ხარჯებს მოითხოვდა, ამიტომ ქარხანამ დიდი ზარალი ნახა და 1881 წელს დაიხურა[19].

ვერაზე.განხორციელდა მეორე ცდაც აგურის ქარხნის მანქანურ წარმოებაზე გადაყვანისა. აქ, 1882 წელს ოლღას ქუჩაზე მდივნის მიწაზე არტილერიის პოლკოვნიკმა თავადმა გიორგი სპირიდონის ძე ხიმშიაშვილმა მოაწყო ახალი ტექნიკით შეიარაღებული აგურის მსხვილი ქარხანა, რომელსაც მოიჯარადრე ანდრეი ფილიპოსოვის საშუალებით მართავდა[20]. ხიმშია-

-------------

19 ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 73.
20 სცსსა, ფონდი 204, აღწ. 1, საქმე 654, ფურც. 139.

შეიღმა ქარხანაში თიხის მოსაზელი და დასაყალიბებელი მანქანები გამოიყენა და გოფმანის გამოსაწვავი ღუმელი ააგო. მის ქარხანაში 20 მუშა მუშაობდა და დღეში 3,4 მანეთს იღებდა. სათბობ მასალად ხიმშიაშვილი ძირითადად შეშას იყენებდა, რაც ძალიან ძვირი ჯდებოდა. მაზუთისა და ნავთის გამოყენების ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ხიმშიაშვილის მიერ გამომუშავებულ რუსულ აგურს, რომელიც დიდი ზომისა იყო, ქალაქში უხალისოდ ყიდულობდნენ, რადგან ჯერ ერთი, ასეთი აგურის ხმარებას კალატოზები მიუჩვეველნი იყვნენ, მეორეც, რუსული აგური ძვირი ჯდებოდა. თუ ადგილობრივი 1000 ცალი აგური 8-10 მანეთი ღირდა, ხიმშიაშვილის აგურის ღირებულება 14-16 მანეთს შეადგენდა. ფასზე დიდ გავლენას ახდენდა ის გარემოება, რომ შორი მანძილიდან მოტანილი შეშა, რომელსაც ქარხანა საწვავად იყენებდა, მწარმოებელს ძალიან ძვირი უჯდებოდა; მით უმეტეს, რომ ქარხანაში გოფმანის ღუმელს პერიოდულად ამუშავებდნენ და დიდძალი სათბობი იხარჯებოდა.

ხიმშიაშვილის წამოწყება მარცხით დამთავრდა, მაგრამ ეს იყო პირველი ცდა გოფმანის ღუმელში მაზუთისა და ნავთის გამოყენებისა, რომელიც შემდგომში ფართოდ დაინერგა აგურის წარმოებაში.

ამ დროისათვის კი ქალაქი ვერის მიმართულებით ვითარდებოდა. ვერა ქალაქის ცენტრის გოლოვინის პროსპექტის მიმდებარე უბანი იყო. მისი ერთ-ერთი მთავარი ქუჩა - ოლღას ქუჩა - გოლოვინის ქუჩის გაგრძელებას წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაში რა თქმა უნდა, ვერის უბნის აგურის ქარხნების ქალაქგარეთ გატანის საკითხი დაისვა. გაზეთ Листок "Кавказских объявлений" 1880 წლის 13 ივლისის ნომერში მოთავსებულ წერილში, სადაც საუბარია ქალაქ თბილისის კეთილმოწყობაზე, ავტორი დიდ გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო უბანი ვერა, აქ არსებული აგურის ქარხნების მეპატრონეების მიერ ისეა გადათხრილი, რომ მისი განაშენიანება შეუძლებელია. "გაყარეთ სპარსელები", წერს ავტორი, "და სულ ერთ წელიწადში აქ საუკეთესო სახლები აშენდება დიდძალი მცხოვრებლებით".

. მიუხედავად ასეთი საზოგადოებრივი აზრისა, ვერის უბანში ახალი აგურის ქარხნები იხსნება, თუმცა წარმოების ცენტრმა უკვე ვარაზის ხევისაკენ გადაინაცვლა.

1880 წელს ერაკ-ტერ სტეპანოვი ითხოვდა აგურის ქარხნის გახსნის ნებართვას ვარაზის ხევში კუთვნილ მიწაზე. მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ამავე წელს ახალი აგურის ქარხნის გახსნის ნებართვა ითხოვა ვარაზის ხევის თავზე სტეფანე სარქისოვმა, რომლის თხოვნაც დაკმაყოფილებულ იქნა.

აქედან ჩანს, რომ აგურის ქარხნებმა ვერაზე საუკუნის ბოლომდე იარსება. 90-იანი წლებიდან თბილისის აგურის ქარხნები მანქანურ წარმოებაზე გადავიდნენ. წარმოებაში ინერგება მუდმივად მოქმედი გოფმანის ღუმელი, სადაც საწვავ მასალად ჯერ მაზუთს და შემდეგ ნახშირს იყენებდნენ. ამ ტექნიკურმა სიახლემ დიდად გაზარდა გამოშვებული პროდუქციის ოდენობა და უზრუნველყო აგურის მაღალი ხარისხი. აგურის ქარხნების წარმოების კაპიტალისტურ რელსზე გადასვლას მოჰყვა ქალაქში მათი რაოდენობის მკვეთრი შემცირება. თუ 1901 წელს თბილისში იყო 91 აგურის საწარმო 18 მილიონი ცალი აგურის პროდუქციის, 1913 წელს 9 ასეთი საწარმო მოქმედებდა 17 მილიონი ცალი აგურის პროდუქციით[21]. საუკუნის ბოლოს ვერაზე შემორჩენილი აგურის ქარხნები ვაკეში გადაიტანეს.

---

21 ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 80.

Л. Гегия

# КИРПИЧНЫЕ ЗАВОДЫ ВЕРИЙСКОГО РАЙОНА г.ТБИЛИСИ В XIX в.

## Резюме

В труде Л.Гегия "Кирпичные заводы Верийского района г.Тбилиси в XIX в.", рассмотрены история и причины возникновения и развития кирпичных заводов в Верийском районе г.Тбилиси, показаны этапы постепенной реорганизации простых капиталистических предприятий в крупные заводы капиталистического типа, уровень и характер развития производства. В труде обосновано значение Верийского района г.Тбилиси как центра кирпичного производства г.Тбилиси, и установлен ареал реализации продукции, изучены тяжелые экономические условия рабочих кирпичных предприятий и низкий уровень заработной платы.

## მ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი

# 1873 წლის საქციზო კანონმდებლობა

სასმელების წარმოება-გასაღებაზე საქართველოში არსებულ საგადასახადო სისტემის სპეციალურ შესწავლას, მისი ბუნებისა და ხასიათის გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების აღნიშნული დარგის უფრო სრულყოფილად და ნათლად წარმოდგენისათვის. სასმელების დაბეგვრის წესმა არსებითად განსაზღვრა მე-19 ს. საქართველოში სპირტიანი სასმელების წარმოება-გასაღების მდგომარეობა და მისი განვითარების დონე. გასაგებია, ამ გარემოებამ განაპირობა 1873 წლის საქციზო კანონმდებლობის ღრმა, საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლის აუცილებლობაც[1].

მე-19 ს. 70-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში სასმელების წარმოება-გასაღებაზე შემოღებულმა ახალმა საქციზო სისტემამ ძირეული გარდატეხა მოახდინა არყისა და სპირტის წარმოებაზე. "ხსენებულ კანონს და შემდეგ მის საფუძველზე გამოცემულ სხვა დებულებებსა და წესებს, მიუთითებს პ. გუგუშვილი, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აქ მრეწველობის (სახელდობრ კი ნავთობის, თამბაქოს, სპირტის, არყის, კონიაკის, ჩაისა და საერთოდ არაპირდაპირი დაბეგვრის სფეროში მოქცეული დარგების) განვითარებისათვის, რადგანაც ცარიზმის მეტროპოლიის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს სწორედ საქციზო სისტემა შეადგენდა"[2]. საქციზო დაბეგვრა და თვით ამ გამოსაღების აკრეფის ბიუროკრატიული წესი

---

1 1873 წლის საქციზო კანონმდებლობით დაიბეგრა ნავთობის, ჩაის, მარილის, თამბაქოს, ასანთის, სპირტისა და არყის წარმოება-გასაღება. ჩვენი ნაშრომის მიზანს შეადგენს აღნიშნული კანონმდებლობის არსის, ხასიათისა და გავლენის ჩვენება საქართველოს სპირტისა და არყის წარმოებაზე.

2 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ა/კ ეკონომიკური განვითარება მე-19, ტ. V, თბ., 1962, გვ. 420.

მეტად აბრკოლებდა საერთოდ სპირტეულის გამოხდის განვითარებას[3].

---

3 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოში და ამიერკავკასიაში. თბ., 1941, გვ. 131.

სასმელების (სპირტისა და არყის) დაბეგვრა რუსეთის იმპერიაში მე-16 ს. II ნახევრიდან დაიწყო. იგი სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. რუსეთში შენაცვლებით სასმელების დაბეგვრის 2 სახე არსებობდა: სახაზინო და სასმელებით ვაჭრობის გამოსყიდვაზე დამყარებული წესი. იყო შემთხვევები, რომ სასმელების დაბეგვრის ეს ორივე წესი იმპერიის სხვადასხვა მხარეში ერთდროულად მოქმედებდა. მე-18 ს. ბოლომდე სპირტის გასაღება სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა. 1725 წ. რუსეთის იმპერიაში იჯარაზე ანუ გამოსყიდვაზე დამყარებული არყით ვაჭრობის მონოპოლია დამკვიდრდა. 1819 წ. მთავრობამ სცადა არყით ვაჭრობის მონოპოლია სახაზინო სამმართველოს დაექვემდებარებინა, მაგრამ მის ორგანიზაციას თავი ვერ გაართვა და 1826 წ. კვლავ არყით ვაჭრობის იჯარა-გამოსყიდვის წესი შემოიღეს. 1847 წლიდან გატარებული ზოგიერთი ცვლილებით ველიკორუსულ, ციმბირის, სტავროპოლის გუბერნიებში იჯარით გაიცემოდა სასმელებით ვაჭრობის უფლება მოიჯარადრეებზე, რომელთაც შეეძლოთ თავისი შეხედულებისამებრ გაეხსნათ სასმელებით მოვაჭრე დაწესებულებები. პრივილეგირებულ გუბერნიებში სპირტის წარმოება კერძო პირების ხელში იყო, რომელთაგანაც სახელმწიფო იღებდა ე.წ. საქციზო გამოსაღებს; ბალტიისპირა გუბერნიებში გადასახადი იკრიფებოდა გამოხდილი პროდუქციის რაოდენობის მიხედვით – 60 კაპ. 1 ვედრო სპირტზე. ქალაქები სასმელებით ვაჭრობაზე საპატენტო გადასახადს იხდიდნენ. სხვადასხვა მხარეში გადასახადის აკრეფის განსხვავებული მდგომარეობა დიდ შესაბამისობას და უხერხულობას ქმნიდა. სასმელების დაბეგვრის აღნიშნული წესი მე-19 ს. 60-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების დროს, 1861 წლის 4 ივლისის დადგენილებით, 1863 წლის 1 იანვრიდან სასმელების დაბეგვრის ერთიანმა სააქციზო სისტემამ შეცვალა და იგი რუსეთის იმპერიის ყველა მხარეში გავრცელდა. ახალმა სააქციზო სისტემამ კერძო მოიჯარადრე-მემსყიდველის ნაცვლად, არყის წარმოება-გასაღება სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარა. სასმელებიდან მიღებული სახელმწიფო შემოსავალი წარმოებული სასმლის ოდენობის მიხედვით სააქციზო და საპატენტო გადასახადით განისაზღვრა. პურის სპირტის მწარმოებელ ქარხნებზე 1 გრ. სპირტის წარმოებაზე 6 კაპ. (1 ვედრო 6 მან.) დაწესდა, ყურძნისა და ხილის სპირტის მწარმოებელ ქარხნებზე კი გამოსახდელი ქვაბების მო-

60-იანი წლების დასაწყისში (იმპერიის სხვა მხარეების მსგავსად) ამიერკავკასიაში ახალი სააქციზო სისტემის გატარება რუსეთის მთავრობამ ნაადრევად მიიჩნია, რადგან მისი ეფექტიანობა დადგენილი არ იყო. რუსეთში ახალი კანონმდებლობის გატარებით მთავრობამ ნიადაგი მოსინჯა. აღნიშნულმა ღონისძიებებმა რუსეთის იმპერიაში სახელმწიფოს დადებითი შედეგი მისცა და მისი შემოსავალი გაზარდა. ყირიმის ომით გამოწვეული ჭრილობების მოშუშების, სააქციზო სისტემის იმპერიაში გამოცდისა და განმტკიცების შემდეგ მთავრობამ რუსეთში არსებული სააქციზო კანონმდებლობის ამიერკავკასიაში გატარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო. მეფისნაცვალმა მთავარსამმართველოს დეპარტამენტის წინაშე იმპერიაში 1863 წლიდან გატარებული სააქციზო სისტემის ამიერკავკასიაში შემოღების საკითხი დააყენა. სპეციალურ კომისიას დაევალა შეესწავლა რა დონით შეიძლებოდა შენარჩუნებულიყო ძველი წესები* ამიერკავკასიაში და როდემდე, იყო თუ არა შესაძლებელი იმპე-

ცულობისა და მისი ყოველდღიური მოქმედების შესაბამისად, 1 დღეღამეში 1 ვედრო მოცულობის ქვაბზე 11 კაპიკი. სააქციზო გადასახადისაგან გათავისუფლდნენ ყირიმის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ვენახის მეპატრონენი. ისინი სააქციზო გადასახადის ნაცვლად საპატენტო გადასახადით დაიბეგრნენ წელიწადში 1 მანეთით 1 ვედრო გამოსახდელ ქვაბზე. სააქციზო გადასახადისაგან გათავისუფლდა აგრეთვე ზეთსახდელი ქარხნები, განათება-გათბობისათვის საჭირო სპირტი, ქიშმიშის ღვინო, რომელსაც ებრაელები რელიგიური წეს-ჩვეულებების ჩასატარებლად იყენებდნენ, ყურძნის ღვინო, ძმარი, ბურახი, აგრეთვე სოფლებში ოჯახური მოხმარებისათვის დამზადებული ლუდი, თაფლის არაყი და საზღვარგარეთ გასატანი ღვინო და სპირტი.

ფეოდალურ საქართველოში არყის გამოხდაზე არავითარი გადასახადი არ არსებობდა. საქართველოს სამეფო კარი მხოლოდ გასაყიდ არაყს ბეგრავდა, რაც ხშირად ნატურით აიღებოდა, ლაშქრისათვის განკუთვნილი არყის ოდენობა წინასწარ იყო განსაზღვრული. სოფელი მას თავისი არყიდან იხდიდა.

საქართველოში დამკვიდრებულმა რუსულმა მმართველობამ არყის წარმოება-გასაღებაზე იმპერიაში არსებული საგადასახადო სისტემა შემოიტანა.

მე-19 ს. დასაწყისში რუსულმა მმართველობამ საქართველოს სამეფო კარის მიერ სასაქონლო არაყზე დაწესებული ხარჯი (5 კაპ. 1 თუნგ

რიაში გატარებული საქციზო კანონმდებლობის ამიერკავკასიაში გატარება, ან დაბრკოლებების თავიდან აცილების შემთხვევაში რა ხასიათის ცვლილებე-

--------------

არაყზე) უცვლელი დატოვა. რუსეთის მთავრობის მიერ ამ მხრივ ჩატარებული (პირველი ღონისძიება იმაში გამოიხატა, რომ სახელმწიფომ 1806-1807 წწ. თბილისის არყით მოვაჭრე დუქნები წელიწადში 30 მან. (ვერცხლით) დაბეგრა.

საქართველოში რუსეთის ჯარის დამკვიდრებამ არაყზე მოთხოვნილება და არყის სასაქონლო წარმოების ზრდა გამოიწვია, ამან კი სახელმწიფო შემოსავლის გადასინჯვის საკითხი დააყენა. სანამ რუსული მმართველობა შესაფერის კანონმდებლობას გამოიმუშავებდა, არყით ვაჭრობის მონოპოლიის მოიჯარადრე-შემსყიდველებზე გაცემა 1809-1810 წწ. დაიწყო, მაგრამ იგი სისტემატურ ხასიათს არ ატარებდა, რადგან არყით ვაჭრობა ჯერ კიდევ სათანადო შემოსავალს არ იძლეოდა. თანდათან იჯარით გაიცემოდა ქალაქებში სასმელით ვაჭრობის უფლება, მაგრამ საიჯარო გადასახადის ერთი წესი ან ზომა არ იყო განსაზღვრული. გადასახადს ყველა კუთხეში ერთმანეთისაგან განსხვავებული წესის მიხედვით იხდიდნენ, ზოგ ადგილას იბეგრებოდა მარტო სასაქონლო არაყი, ზოგში ღვინის ნაწილი და არაყი და ა.შ. საიჯარო სისტემა არყის წარმოებას, სასმელების თავისუფალ ვაჭრობას აფერხებდა და მას განადგურებას უქადდა, ეს კი მთავრობისათვის არახელსაყრელი იყო, ამიტომ ადგილობრივი წარმოების შეფერხების ან დაცემის თავიდან აცილების და სახელმწიფო შემოსავლის ზრდის მიზნით, 1834 წლის დადგენილებით, 1826 წლიდან ამიერკავკასიაში არყის წარმოება-გასაღება სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა, ამიერკავკასიაში ერთიანი საქციზო სისტემა დამკვიდრდა. გაიზარდა ქალაქებში გასაყიდად შესული სასმელის საქციზო გადასახადი (1 ვედრო არაყზე, ნაცვლად 15 კაპიკისა, 30 კაპიკი დაწესდა. გარდა ამისა, თბილისთან ერთად, სხვა ქალაქებში არსებული ღვინო-არყით მოვაჭრე დაწესებულებებიც დაიბეგრა).

არყის სასაქონლო წარმოების და მიმოქცევის ზრდამ მთავრობას საფუძველი მისცა 40-ანი წლების ბოლოს ქალაქებში სასაქონლო არაყზე არსებული გადასახადი უფრო მეტად გაეზარდა. საბაჟო გადასახადი დაწესდა აგრეთვე რუსეთიდან შემოტანილ სასმელზეც.

30-იანი წლებიდან სასმელებით ვაჭრობაში შემოღებულმა ცვლილებებმა ერთგვარად შეზღუდეს მოიჯარადრე-შემსყიდველთა თვითნებობა. მაგრამ იმის გამო, რომ მთავრობამ ამ ეტაპზე საქციზო სისტემის ორგანიზაციას თავი ვერ გაართვა და მასში არსებული ხარვეზები ვერ აღმოფხვრა, 1850 წლიდან საქციზო გადასახადის იჯარით გაცემა დაიწყო,რამაც კვლავ ხელ-ფეხი გაუხსნა მოიჯარადრე შემსყიდველებს.50-60-იან წლებში სპირტის მოიჯარად-

ბის შეტანა იქნებოდა სასურველი[4]. წინასწარჩატარებული სპეციალური სამუშაოების მიზანი იყო-დაედგინა გაუძლებდა თუ არა ამიერკავკასიის მწარმოებელი და მომხმარებელი საქციზო გადასახადის სიმძიმეს და შეძლებდა თუ არა სახელმწიფო ნავარაუდევი შემოსავლის მიღებას.

მეფისნაცვლის ინიციატივით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ ამიერკავკასიაში სასმელების დაბეგვრის პროექტი შეიმუშავა. იგი განსახილველად და დასკვნისათვის მხარის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებს გადაეცა. მათ შეისწავლეს საკითხი და 1869 წ. მეფისნაცვლის კანცელარიაში წერილობითი მოხსენებები წარადგინეს. მომხსენებელთა ერთი ნაწილი ამიერკავკასიაში საქციზო სისტემის გავრცელებით მებაღე-მევენახეობის დაცემას ვარაუდობდა, მეორე – პურის სპირტის წარმოების განადგურებას, ზოგი თვლიდა, რომ საქციზო სისტემა წამგებიანი იქნებოდა ხაზინისათვის, რადგან ამიერკავკასიაში არსებული წვრილი მევენახე მწარმოებლების სიმრავლე საქციზო ზედამხედველთა ისეთი დიდი რიცხვის გამოყოფას გამოიწვევდა, რომ მთავრობისათვის შეუძლებელი იქნებოდა მათთვის ანაზღაურების გაცემა და ა.შ.[5].

მიღებული წერილობითი მოხსენებების გადასინჯვის შემდეგ, მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს დეპარტამენტმა 1869 წ. 15 დეკემბერს სათანადო დასკვნა შეადგინა, სადაც დასაბუთებული იყო ამიერკავკასიისათვის საქციზო სისტემის შემ ღების დადებითი მნიშვნელობა და ვარგისიანობა[6].

1871 წლის დასაწყისში (მარტი, აპრილი) ჩატარდა მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარსამმართველოს დეპარტამენტის საბჭოს სხდომები, სადაც

---

რე-შემსყიდველები დიდი კაპიტალის მქონე მსხვილ მოიჯარადრეებად იქცნენ. ისინი ავიწროებდნენ და აკაბალებდნენ არყის მწარმოებლებსა და ვაჭრებს და აფერხებდნენ ქვეყნის მწარმოებლური ძალების წინსვლას. დღის წესრიგში არსებული საგადასახადო სისტემის შეცვლის საკითხი დადგა.

4 სცსა, ფ. 7, ანწ. 6, საქ. 489, ფურც. 68,85.

5 იქვე, ფურც. 5-36, 85-87; " " 1879, გვ. 58.

6 იქვე, ფურც. 28-36.

ამიერკავკასიაში საქციზო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. საბჭოს სხდომებს ესწრებოდა 13 წარმომადგენელი, აქედან შვიდი იყო საბჭოს ძირითადი შემადგენლობიდან (თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი, თავადი დ. ჯორჯაძე, ე.პ. სტაროსკი, მ.ი. მურავიოვი, ნ.ი. ბარანოვსკი, მ.კ. ლომიძე, ა.პ. შულმინსკი) ექვსი კი სპეციალური მოწვევით (ორლოვსკი, ა.პ. სვისტუნოვი, ფ.ე. ბურცოვი, დ.ნ. შმაკოვი, თავადი ლ.ი. მელიქოვი და პ.პ. პავლოვი)[7]. დეპარტამენტის აზრით, ახალი საქციზო კანონმდებლობის ამიერკავკასიაში გატარებით მოისპობოდა მსხვილი მოიჯარადრე-მონოპოლისტების ბატონობა, წვრილ მწარმოებელს მეურნეობის გაუმჯობესებისა და წარმოების ზრდის სტიმული მიეცემოდა, რაც მარცვლეული კულტურებისაგან პურის სპირტის წარმოებას გაზრდიდა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მარცვლეული კულტურების ფართობების ზრდას გამოიწვევდა, რაც თავისთავად მოსახლეობის გამდიდრებას, მისი კეთილდღეობის ამაღლებას შეუწყობდა ხელს. დეპარტამენტი ლამაზ ფერებში ხატავდა რა საქციზო სისტემის დადებით მნიშვნელობას, მიუთითებდა, რომ ახალი კანონმდებლობის გატარებით დაზარალდებოდნენ მხოლოდ მსხვილი მოიჯარადრე-მონოპოლისტები, რომ როგორც მარცვლეულისაგან, ისე ღვინოების ნარჩენებისაგან ამიერკავკასიის არყის მწარმოებლები და მომხმარებლები სწორად დაყენებული საგადასახადო სისტემის გატარებით მაღალ განვითარებას მიაღწევდნენ[8].

დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილმა დასკვნამ რიგი საკითხის გარშემო კამათი გამოიწვია. 1871 წ. 22 აპრილს საქციზო სისტემის ავ-კარგიანობის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები წამოაყენა თბილისის გუბერნატორმა ორლოვსკიმ. იგი არ დაეთანხმა დეპარტამენტის მოსაზრებას მსხვილი მოიჯარადრე-მონოპოლისტების გავლენის შემცირების, მხარეში მარცვლეულისაგან პურის სპირტის წარმოების გაფართოების მარცვლეული კულტუ-

------------

7 სცსა, ფ. 13, ანაწ. 24, ს. 127. ფურც. 2.
8 სცსა, ფ. 7, ანაწ., 8, ს. 489, ფურც. 71-73.

რების ნათესი ფართობების ზრდისა და მწარმოებლისა და მომხმარებლებზე სააქციზო სისტემის დადებითი შედეგების შესახებ. მისი აზრით, სააქციზო სისტემის შემოღებით მსხვილი მოიჯარადრე-მონოპოლისტების გავლენა არა თუ მოისპობოდა, არამედ უფრო მეტად გაიზრდებოდა, პურის სპირტის წარმოებაზე შეწერილი გადასახადი 6 კაპ. 1 გრ. სპირტზე უფრო მეტად გააუარესებდა ადგილობრივი მწარმოებლებისა და მომხმარებლების მდგომარეობას, რადგან სააქციზო სისტემის შემოღებამდე პურის სპირტის წარმოება გადასახადით არ იბეგრებოდა, გადასახადს იხდიდნენ ამიერკავკასიაში რუსეთიდან გასაღებად შემოსულ პურის სპირტზე (1 მან. 1 ვედრო პურის სპირტზე). ახალი სააქციზო კანონმდებლობით პურის სპირტის წარმოება უნდა დაბეგრილიყო ვედროზე 6 მანეთით (1 გრ. სპირტზე 6 კაპ.). პურის სპირტით ვაჭრობა იმის გამო, რომ წარმოებაზე გადასახადი 6-ჯერ გაიზრდებოდა, უფრო მეტად მდიდარი მონოპოლისტებისათვის გახდებოდა მისაწვდომი. ამიტომ, ორლოვსკის აზრით, მონოპოლია კი არ მოისპობოდა, არამედ უფრო გაიზრდებოდა, რაც შეეხება ადგილობრივ პურის სპირტის წარმოებას, თბილისის გუბერნატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააქციზო სისტემა არა თუ განვითარებს მარცვლეული კულტურებისაგან პურის სპირტის წარმოებას, არამედ მოსპობს მას. ამის დასამტკიცებლად, მას თბილისის მოქალაქეების - ა. ტაიროვის, კუთხუროვის და ფირაქოვის მიერ ვლადიკავკაზში დაარსებული პურის ქარხნის მაგალითი მოაქვს. მარცვლეულის და მუშახელის სიიაფის, ქარხნის ამწყობი და მისი წარმოებითი პროცესების მომწესრიგებელი სპეციალისტების სიმრავლის გამო, თბილისელი მოქალაქეებისათვის უფრო მომგებიანი იყო საქართველოს და ამიერკავკასიის გარეთ გაეხსნათ პურის სპირტის მწარმოებელი ქარხანა და რუსეთიდან ამიერკავკასიაში სპირტის შემოტანაზე გადასახადი ეხადათ, ვიდრე საქართველოში. ახალი სააქციზო სისტემის დროს - მიუთითებს თბილისის გუბერნატორი, როცა პურის სპირტის წარმოებაზე გადასახადი დაწესდება და მისი ოდენობა იმპერიის ქარხნების ზომასთან გათანაბრდება, რა თქმა უნდა, ამიერკავკასიაში უფრო გაძვირდება პურის სპირტის წარმოება, რაც

წარმოების განადგურებას გამოიწვევს. აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, ორლოვსკი მთავრობას შემდეგ მოსაზრებას სთავაზობს: 1 გრ პურის სპირტის წარმოებაზე ამიერკავკასიაში უნდა შემოიღონ 3 ან 3 1/2 კაპიკი გადასახადი, ამიერკავკასიაში შემოტანილი პურის სპირტი კი უნდა დაიბეგროს 6 კაპიკით (1 გრადუსზე), ამით წარმოება შეძლებს დანახარჯის ანაზღაურებას. თუ ამიერკავკასიაში სააქციზო სისტემა აღნიშნული ზომით გატარდება, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის და გააუმჯობესებს მარცვლეული კულტურების ფართობს, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით კი მესაქონლეობის განვითარებას.

იმპერიის შიდა გუბერნიიდან ამიერკავკასიაში ყოველწლიურად 1555 ათასი ვედრო პურის სპირტი შემოდის, - მიუთითებს ორლოვსკი, - მაგრამ თუ მივაღწევთ იმას, რომ ეს სპირტი ადგილზე ვაწარმოოთ, მაშინ ადგილობრივ მოსახლეობას პურის სპირტის წარმოებაზე 310 000 ფუთი (300 000 მან.) მარცვლეული დასჭირდება. პურის სპირტის ქარხნებში მარცვლეულის დაბანდების შესაძლებლობა დადებითად იმოქმედებს მიწათმოქმედებაზე, ხორბლის მწარმოებლები თავიანთ შრომის ნაყოფს გასაღებად შორს აღარ წაიღებენ, არამედ იქვე ექნებათ საკუთარი ბაზარი პურის სპირტის მწარმოებელი ქარხნის სახით. ქარხნის ნარჩენი პროდუქტების ბაზაზე ათასობით პირუტყვი გამოიკვებება, რაც მოსახლეობას არანაკლებ შემოსავალს მისცემს. პურის სპირტის ქარხნების გამრავლება გამოიწვევს სპილენძის აპარატების, მექანიკური ქარხნებისა და მანქანა-იარაღების საჭიროებას, ყველაფერი ეს კი მხარის კეთილდღეობის ამაღლებაზე იმოქმედებს.

რაც შეეხება სააქციზო სისტემის გავლენას მეღვინეობაზე და მისგან სპირტისა და არყის წარმოებას, ორლოვსკი თვლის, რომ ღვინის მსგავსად, ხილისა და ყურძნის არყის წარმოება არ უნდა დაიბეგროს სააქციზო გადასახადით, რადგან ეს ზომა საჭიროა არა მარტო წარმოების აღნიშნული დარგის წახალისებისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ სააქციზო უწყება გათავისუფლდეს იმ მოვალეობისაგან, რომ უამრავი ზედამხედველი დააბან-

დის წერილი მებაღე-მევენახეობის შემოწმებაზე.

მოხსენების დასკვნით ნაწილში თბილისის გუბერნატორი მიუთითებს, რომ მის მიერ წამოყენებული შეღავათების ცხოვრებაში გატარებას შემდეგი შედეგი მოყვება: 1. მნიშვნელოვნად გაიზრდება ამიერკავკასიიდან მიღებული სახელმწიფო შემოსავალი, 2. გაფართოვდება და გაუმჯობესდება სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოება, 3. გაუმჯობესდება მესაქონლეობა, 4. განვითარდება მექანიკური ქარხნების წარმოება, 5. შეწყდება რუსეთის შიდა გუბერნიებიდან სპირტის შემოტანა. მაგრამ თუ ამიერკავკასიისათვის აღნიშნული შეღავათები არ იქნება დაშვებული, მაშინ მთავრობა მიიღებს მხოლოდ გაზრდილ სახელმწიფო შემოსავალს, ადგილობრივ განადგურდება მარცვლეულისაგან პურის სპირტის წარმოება, ეს იმოქმედებს ხალხის გაღატაკებაზე, რადგან გლეხს ოჯახისათვის სახმარი სპირტის წარმოების შესაძლებლობაც კი აღარ ექნება, იძულებული იქნება სხვისი წარმოების პროდუქტი შეიძინოს. შეღავათების შემოღებას ორლოვსკი თხოულობს როგორც დროებით ზომას მანამდე, სანამ მხარეში განვითარდება პურის სპირტის ისეთი დონით წარმოება, რომ შეწყდება რუსეთიდან პურის სპირტის შემოტანა[9]..

სააქციზო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით გამართულ სხდომებზე 13 პირიდან ცხრამ ამიერკავკასიაში სააქციზო სისტემის შემოღება დადებითად მიიჩნია, ხოლო სამმა – თბილისის და ბაქოს გუბერნატორებმა და საკარანტინო საბჭოს უფროსმა, უარყოფითი შეფასება მისცა. განსაკუთრებით დიდი კამათი გამოიწვია პურის სპირტზე დაწესებულმა გადასახადის დონემ. დეპარტამენტის საბჭოს წევრი ლომიძე ამტკიცებდა, რომ გადასახადი უნდა დაწესებულიყო რუსეთის გუბერნიებისაგან 1 გრ სპირტზე 1 კაპიკის განსხვავებით, ე.ი. 1 გრ სპირტის გამოხდაზე 5 კაპიკი, ნაცვლად 6 კაპიკისა. ამ წინადადებამ მიიღო 5 ხმა (შუბლინსკი, ლომიძე, მურავიოვი, სტარიცკი, ბარანოვსკი. ამათ მიემხრა ბარონი ნი-

------------

9 სცა, ფ. 7, ანაწ. 6, ს. 489, ფურც. 12-25.

კოლოზი), წინააღმდეგი იყო 6 კაცი (შმაკოვი, ჯორჯაძე, ბულაჩოვი, პავლოვი, ბაგრატიონ მუხრანსკი, ლ. მელიქოვი)[10]. ამ უკანასკნელთა მოსაზრებით, ამიერკავკასიაში წარმოებულ 1 გრ პურის სპირტზე რუსეთის იმპერიისაგან 2 კაპიკით განსხვავებული გადასახადი უნდა დაწესებულიყო, ე.ი. 4 კაპიკი, თბილისის გუბერნატორი კი აყენებდა განსხვავებულ მოსაზრებას 3 კაპიკი 1 გრადუს პურის სპირტის წარმოებაზე, რუსეთიდან შემოტანილ სპირტზე კი - 6 კაპიკი[11]. სხდომებზე მსჯელობა გაიმართა ამიერკავკასიის მევენახე წვრილ მწარმოებლებზე ყირიმის ნახევარკუნძულზე არსებული წესების გავრცელების, სავაჭრო განრიგებში აუცილებელი მონაწილეობის გარეშე სპირტით ვაჭრობისა და წარმოების ნებართვის ამიერკავკასიაზე გავრცელების, აგრეთვე რუსეთთან შედარებით მცირე ზომის ქარხნების დაშვების და სხვა საკითხებზე, კერძოდ, ადგილობრივ წარმოებაზე მეტი შეღავათების დაწესება და საპატენტო გადასახადის შემცირება მოითხოვეს ერევნის გუბერნატორმა, დაღესტნის მხარის უფროსმა, ამიერკავკასიის სახაზინო პალატის უფროსმა და დერბენტის ქალაქის თავმა. ჭილაევმა შეღავათების ძველი ზომით დატოვება მოითხოვა; ამიერკავკასიის სახაზინო პალატის უფროსმა - მევენახე გამომხდელებზე ყირიმის ნახევარკუნძულზე გავრცელებული უფლებების გავრცელება, გამოსახდელი ქვაბების მოცულობის შეუზღუდველობა და პურის სპირტის წარმოების უფლების ყველასათვის მინიჭება მოითხოვა, გენ. ლეიტენანტი კოლუბაკინი აყენებდა მხოლოდ რუსეთიდან შემოტანილი სასმელის დაბეგვრის საკითხს და ა.შ.[12].

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, 1871 წლის 22 აპრილის სხდომის ოქმში აღინიშნა, რომ მეფის ნაცვლის კანცელარიის საბჭო ეთანხმება დეპარტამენტის დასკვნას ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიაში გა-

-----------

10 სცსა, ფ. 7, ანაწ. 6, ს. 489; ფურც. 54.

11 იქვე.

12 იქვე, ფურც. 84-86.

ვრცელებული სააქციზო სისტემის შემოღების შესახებ იმ განსხვავებით, რომ იმპერიიდან შემოტანილ და წარმოებულ 1 გრ პურის სპირტზე დაწესე-ბულიყო ნაცვლად იმპერიაში გავრცელებული 6 კაპიკისა, 5 კაპიკი გადა-სახადი[13].

. დეპარტამენტის წარმომადგენლები კარგად ხედავდნენ, რომ სააქციზო სისტემის შემოღებით ამიერკავკასიაში პურის სპირტის წარმოება სავალა-ლო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, მაგრამ რუსეთის მწარმოებლების მიმართ მთავრობის პროტექციონისტული პოლიტიკის გამო დეპარტამენტის დასკვნაში უაღრესად დადებითად იყო წარმოდგენილი ამიერკავკასიაში პურის სპირტის წარმოების მდგომარეობა. დეპარტამენტის საბჭოს წევრის-ლომიძის მოხსე-ნებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ რუსეთის ზოგიერთ გუბერნიაში ხორ-ბლის წარმოება იყო ერთადერთი, რასაც მოსახლეობა მისდევდა ჩვენთან კი შეიძლებოდა უფრო ფასიანი პროდუქტების მოყვანა, ამიტომ იგი არ თვლიდა აუცილებელ საჭიროებად ამიერკავკასიაში პურის სპირტის წარმოებისათვის, (რუსეთის მწარმოებლების საზიანოდ), შეღავათიანი მდგომარეობის შექმნას. მისი აზრით, ყოველგვარი წამახალისებელი ზომები იქნებოდა მხოლოდ ხელო-ვნური, რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მოზღვავებულ სპირტს ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას, ამასთან მიუთითებდა, რომ არ შეიძლებოდა გზა გადაეღო-ბათ რუსეთიდან შემოსული სპირტისათვის, რომლის ვაჭრობაც ყველგან თა-ვისუფლად იყო დაშვებული[14].

საბჭოს სხდომაზე მიღებულ 1871 წლის 30 მაისის დადგენილების თა-ნახმად, ამიერკავკასიაში სააქციზო სისტემის გავრცელების პროექტი და-სამტკიცებლად იმპერატორს გაეგზავნა. პროექტის დასკვნით ნაწილში აღ-ნიშნული იყო, რომ იმპერიაში გავრცელებული სააქციზო სისტემის ამიერ-კავკასიაში შემოღება არავითარ სიძნელეებს და დაბრკოლებებს არ შეხვ-

-------------

13 სცსა, ფ. 7, ანაწ., 6, ს. 489, ფურც. 54.
14 იქვე, ფურც. 96-98.

დებდა. იგი სასარგებლო იქნებოდა მხარისათვის და სასმელებიდან მი-ღებულ სახელმწიფო შემოსავლის გაზრდას გამოიწვევდა. ამიერკავკასიაში სასმელების დაბეგვრაზე დღემდე არსებული წესები სახელმწიფოს არ აძ-ლევდა სათანადო შემოსავალს, ამავე დროს, ხელს არ უწყობდა ადგილობ-რივი მრეწველობის განვითარებას იმპერიაში. არსებული წესების შემოღე-ბა კი გააუმჯობესებდა ღვინო-არყისა და სპირტის წარმოებას, რაც თა-ვისთავად გაზრდიდა სახელმწიფო შემოსავალს (ნავარაუდევი იყო ამიერკავ-კასიაში სასმელებიდან საშუალოდ ყოველწლიურად აკრეფილი 430 000 მანე-თის ნაცვლად 1 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავლის მიღება[15].

საქციზო სისტემის გავრცელება ამიერკავკასიაში, ნაწილობრივი შე-ღავათების დაშვებით, რომებით უნდა გატარებულიყო 3 წლის განმავლობა-ში. ამიერკავკასიაში საქციზო სისტემის გამოცდის და მასზე დაკვირვე-ბის შემდეგ, ზოგიერთი შეღავათის გადასინჯვის და იმპერიის საქციზო კანონმდებლობასთან მისი გათანაბრების საკითხი დაისმებოდა[16].

1873 წლის 27 მარტს გამოქვეყნდა ამიერკავკასიის საქციზო წესდება, რომელიც ძალაში 1873 წლის 1 ივლისიდან შევიდა[17].

-------------

15 1873 წლამდე (ახალი საქციზო კანონმდებლობის შემოღებამდე) ამიერ-კავკასიაში სასმელების წარმოება (ღვინო, არაყი, სპირტი) არავითა-რი გადასახადით არ იყო დაბეგრილი. სასმელებიდან სახელმწიფო შე-მოსავალს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში რუსეთის შიდა გუბერნიები-დან შესული სპირტიდან აკრეფილი გადასახადი (1 მან., 1 ვედრო სპი-რტზე), ქალაქებიდან მიღებული საიჯარო გადასახადი და სასმელებით მოვაჭრე სხვადასხვა ტიპის დაწესებულებიდან და ქარხნებიდან სას-მელით ვაჭრობისათვის აკრეფილი საპატენტო გადასახადი. სცსა. ფ. 7, ანაწ. 6, საქმე 489, ფურც. 89, იქვე, ფ. 13, ანაწ. 24, ს. 130, ფურც. 22; იქვე, ფონდი 7, ანაწ. 7, ს. 397, ფურც. 107-108; იქ-ვე, ფ. 7, ანაწ. 7, ს. 397, ფურ.

16 იქვე,

17 იქვე, ფ. 371, საქ. 5, ფურც. 4.

1873 წლის ახალი საქციზო კანონმდებლობით, გადასახადით დაიბეგრა როგორც არყისა და სპირტის წარმოება, ისე სასმელებით ვაჭრობაც: 1. ადგილობრივ გამოხდილი და შემოტანილი 1 გრ პურის სპირტზე საქციზო გადასახადი, ნაცვლად იმპერიაში დაწესებული 6 კაპიკისა, 5 კაპიკით განისაზღვრა, 2. პურის სპირტის მწარმოებელი ქარხნებისათვის, ნაცვლად რუსეთისათვის დაშვებული 135 ვედრის ტევადობის ქვაბისა, ამიერკავკასიისათვის 90 ვედრის ტევადობის ქვაბის მქონე ქარხნები იქნა დაშვებული. 3. ყურძნისა და ხილის არყის გამომხდელი ქარხნები (არა ვენახის მფლობელები) ქარხნის ყოველდღიური მოქმედების დროს გამოსახდელი ქვაბის მოცულობის შესაბამისად, 1 ვედროზე 11 კაპიკით დაიბეგრა. 4. მებაღე-მევენახეების მიერ გამოხდილი ყურძნისა და ხილის არაყი, საქციზო გადასახადის ნაცვლად, საპატენტო გადასახადს (ყირიმის ნ.კ.-ის მსგავსად) გადაიხდიდნენ (წელიწადში 1 მანეთი 1 ვედრო მოცულობის გამოსახდელ ქვაბზე), 6. ნაცვლად რუსეთში მოქმედი 3 წონისა (პოლონეთის სამეფოსათვის დაშვებული შეღავათის მსგავსად), ყოველი ფუთი მარცვლეულის გამოხდისათვის, გამოხდის საშუალო წონა დაწესდა, ქარხნის მეპატრონის სასარგებლოდ კი წონის ზევით გამოხდილი სპირტი საქციზო გადასახადისაგან გათავისუფლდა, 6. სავაჭრო დაწესებულებებისა და ქარხნების გახსნის უფლება ამიერკავკასიაში სავაჭრო განრიგებში გაერთიანებისა და სპეციალური სავაჭრო დოკუმენტების გარეშე მისცეს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად წოდებისა და ფენისა, 7. სასმელების გაყიდვაზე საპატენტო გადასახადის ნებართვისათვის გარდა 1 წლისა, წინასწარი თანხის გადახდა ნახევარი წლითაც დაუშვეს. 8. საპატენტო გადასახადს ქარხანას ან სასმელებით მოვაჭრე დაწესებულებას განრიგის მიხედვით შეაწერდნენ. I განრიგს მიაკუთვნეს ქ. თბილისი, II განრიგს - საგუბერნიო და საოლქო ქალაქები, მესამეს - სამაზრო ქალაქები, პორტები და პოლკის სამხედრო შტაბები, მეოთხეს - ყველა დანარჩენნი. პირველ განრიგში მემავალი სამრეწველო ქარხნები, საბითუმო საწყობები, სამიკიტნოები, სავაჭრო დაწესებულებები წელიწადში საპატენტო გადასახადის სახით 80

მანეთს გადაიხდიდნენ, II განრიგისა – 50 მანეთს, III განრიგისა – 30 მანეთს, IV განრიგისა – 15 მანეთს, ხოლო წვრილ-წვრილად მოვაჭრე დაწესებულებები – განრიგის მიხედვით, წელიწადში 10-დან 50 მანეთამდე. 9. ამიერკავკასიაში სასმელების გაყიდვა სპირტიანი სასმელებისათვის საჭირო აუცილებელი სიმაგრის გათვალისწინების გარეშე დაუშვეს. 10. შეღავათიანი წესები დაწესდა აგრეთვე საბითუმო საწყობებისა და სასმელებით მოვაჭრე დაწესებულებების გახსნაზე. 11. ამიერკავკასიაში არსებული განსაკუთრებული პირობების გამო დაწესდა სააქციზო სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა, 12. ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველო დაექვემდებარა ფინანსთა სამინისტროს, ამიერკავკასიაში კი მეფის ნაცვლის კანცელარიის მთავარ სამმართველოს დეპარტამენტს[18].

ახალი წესებით, არყის გამოხდის შესახებ მწარმოებელს სააქციზო უწყებაში წინასწარ განაცხადი უნდა წარედგინა და გამოხდისათვის სპეციალური ნებართვა აეღო, ქარხნის მოქმედების უმცირესი ვადა 7 დღე ითვლებოდა. პირველი გამოხდა დღისით უნდა ეწარმოებინათ, რომ ზედამხედველის კონტროლის ქვეშ ჩატარებულიყო. ყოველი მწარმოებელი წინასწარ იხდიდა მისთვის განკუთვნილ სააქციზო თანხას. წარმოებაში დაშვებული იყო ღვინის ჭაჭის, მაჭრის, წყალნარევი ჭაჭის, დროჟის და ხილის გამოყენება.

სასმელების წარმოების აღრიცხვისა და შემოსავლის გამგეობისათვის შეიქმნა ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველო, მმართველობანი ამიერკავკასიის გუბერნიებში და დაღესტნის მხარეში. ადგილებზე შექმნილი სამმართველოები ოკრუგების მიხედვით ასე განაწილდა: I ოკრუგში შევიდა თბილისის გუბერნია, მეორეში – ქუთაისის, მესამეში – ბაქოს, მეოთხეში – ერევნის, მეხუთეში – ელისავეტპოლის გუბერნია და ზაქათალის მხარე, მეექვსეში – დაღესტნის მხარე.

პირველი ოკრუგი (თბილისის გუბერნია) თავის მხრივ უბნებად დაიყო.

-----------

18 სცსა, ფ. 13, ანაწ. 24, ს. 130, ფურც. 1-22; იქვე, ანაწ. 23, ს. 131, ფურც. 9; იქვე, ფ. 371, ს. 4, ფურც. 7. იქვე, ფ. 7, ანაწ. 7. ს. 489, ფურც. 92.

1873 წლის წესდებით I უბანში შევიდა ქ. თბილისი, თბილისის მაზრა თრიალეთის და ღორის საპრისტავოები, მეორე უბანში - თელავის სიღნაღის მაზრები, თიანეთის ოკრუგი და შირაქის საპრისტავო, მესამე უბანში - დუშეთის მაზრა, მეოთხეში - გორისა და ახალციხის მაზრები და ახალქალაქის საპრისტავო.

მეორე ოკრუგში (ქუთაისის გუბერნია) პირველი უბანი აერთიანებდა ქ. ქუთაისს, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებს, მეორე უბანი -ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებს, მესამე უბანი რაჭა-ლეჩხუმს და სვანეთს, მეოთხე - სოხუმის ოკრუგს[19].

1873 წლის წესდებით დამტკიცდა საქციზო სამმართველოს და ოლქებში შექმნილი სამმართველოების შტატი. ამიერკავკასიის საქციზო სამმართველოს შტატი - 21 990 მან-ის ოდენობით განისაზღვრა, ოლქების საქციზო სამმართველოებისათვის კი - 57 850 მანეთით, რაც სულ 79 840 მანეთს შეადგენდა. ეს თანხა ადგილობრივ, ამიერკავკასიის შემოსავლიდან უნდა გამოყოფილიყო[20], საქციზო ოკრუგებად 1873 წლის დანაწილებამ 1874 წ., 1876 წ., 1887 წ., 1913 წლებში რიგი ცვლილებები განიცადა[21].

1873 წლის წესდება წლების განმავლობაში - 1876, 1874, 1884, 1889 წწ. ა.შ. მნიშვნელოვნად შეიცვალა.

---------------

19 სცსა, ფ. 7, ანაწ. 6, ს. 83, ფურც. 7-10.

20 იქვე, ანაწ. 7, ს. 397, ფურც. 89-90.

21 1876 წ. თბილისის გუბერნიის, ანუ I ოლქის შემადგენლობიდან გამოყვეს თიანეთის, თელავის, სიღნაღის მაზრები და VI ოლქში (დაღესტნის მხარე) გააერთიანეს. საქციზო ოლქების გეოგრაფიული პრინციპით დაყოფამ გამოიწვია ის, რომ არქივის წარმოების მხრივ მეტად მნიშვნელოვანი რაიონის - კახეთის - (თიანეთის, სიღნაღის, თელავის მაზრები) ამსახველმა მასალებმა თავი ვერ მოიყარა პირველ ოლქში (თბილისი); რის გამოც საქართველოს ცენტრალურ-ისტორიული არქივის ფონდებმა VI ოკრუგის მასალები ვერ შემოგვინახა. იგივე შეიძლება ითქვას ქუთაისის გუბერნიის ამსახველი მასალების შესახებ. ამ საქციზო ოკრუგების (II და XI ოკრუგი მასალების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია დაცული ამიერკავკასიის საქციზო სამმართველოს ფონდში (ფ. 370). აღნიშნული გარემოება მუშაობისათვის დიდ დაბრკოლებას ქმნის.

1876 წ. ამიერკავკასიის საქციზო სისტემაში შემდეგი ხასიათის ცვლილება მოხდა: წარმოებულ 1 ვრ პურის სპირტზე საქციზო გადასახადი 5-დან 7 კაპიკამდე გაიზარდა. გაუქმდა მევენახეებისთვის დაშვებული შეღავათები. ახალი წესებით ისინი საპატენტო გადასახადთან ერთად საქციზო გადასახადსაც გადაიხდიდნენ, ე.ი. მევენახე არყის მწარმოებლები ჩვეულებრივ წესებს დაექვემდებარნენ. გამოსახდელი კუბის მოცულობა მსხვილი მწარმოებლისათვის 30-დან 50 ვედრომდე გაიზარდა, ვენახის მფლობელისათვის კი კუბის მოცულობის ნორმა განუსაზღვრელი დარჩა ის მევენახეები, რომელნიც საკუთარი ბაღის ან ვენახის მასალას გამოხდიდნენ, ნება დაერთოთ 7 დღეზე ნაკლები დროით აეღოთ არყის გამოხდის ნებართვა[22].

მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებით ყველაზე მეტად არყის წვრილი მწარმოებელი, განსაკუთრებით პურის სპირტის წარმოება დაზარალდა[23].

-------------

22 სცა, ფ. 371, ს. 4, ფურც. 4-7.

23 მარცვლეული კულტურებიდან არყის გამოხდა საქართველოში უძველესი დროიდან იყო ცნობილი, ჩვენში ამ საქმეს ძირითადად ქართველი მთის მცხოვრებნი მისდევდნენ. მთაში ვაზი არ ხარობდა, ამიტომ მათი მთავარი სასმელი "ქერ-ფეტვისაგან გამოხდილი ბოზა" იყო, არსებობს მოსაზრება, რომ მარცვლეული კულტურებისაგან არყის წარმოება ჩვენში უფრო უხნესია, ვიდრე მეღვინეობის ნარჩენებისა და ხილისაგან, პურის არყის წარმოებას, გარდა მთის მცხოვრებლებისა, ბარის ქართველებიც მისდევდნენ, მაგრამ მათი ძირითადი სასმელი ღვინო იყო. არაყს ბარის ქართველებიც გამოიყენებდნენ მაგრამ ისე მცირედ, რომ ქართული წყაროები მას ნაკლებად მოიხსენიებენ.

პურის არყის წარმოება საქართველოში მცირე მასშტაბებით ხდებოდა, მას ფეოდალურ საქართველოში სასაქონლო ხასიათი არ ჰქონდა. მართალია, რუსული მმართველობის დამყარების დროიდან მოთხოვნილება პურის არაყზე გაიზარდა, მაგრამ აღნიშნული წარმოება საქართველოში მაინც ოჯახური წარმოების დონეს არ გასცილებია. ყოველი მწარმოებელი იმდენ არაყს ამზადებდა, რამდენიც მისი ოჯახის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

ქვეყნის საერთო ეკონომიკურმა აღმავლობამ, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილების დაკავშირებამ,არყის სასაქონლო წარმოების ზრდამ,მე-19 ს.

1873 წ. საქციზო სისტემის გავრცელებამ პურისაგან და მარცვლეული კულტურებისაგან არყის წარმოება როგორც საქართველოში, ისე ამიერკავკასიაში, მთლიანად დასცა. მიუხედავად ოფიციალური წარმომადგენლების არაერთგზის გაფრთხილებისა, მთავრობამ ხილისა და ყურძნისაგან არყის წარმოებასთან შედარებით, პურის სპირტის წარმოება საკმაოდ შეზღუდა. მართალია, რუსეთის იმპერიისაგან განსხვავებით, ამიერკავკასიაში 1 კაპიკით ნაკლები საქციზო გადასახადი შემოიღო (5 კაპ. 1 გრ. პურის სპირტზე, ნაცვლად 6 კაპიკისა), რითაც მთავრობა ვარაუდობდა, რომ პურის სპირტის წარმოებას შეღავათი უნდა მისცემოდა, მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო. 1876 წ. 26 მაისიდან პურის სპირტის წარმოება რუსეთში არსებულ საქციზო გადასახადს გაუთანაბრდა, 1888 წ. 9 1/4 კაპ., 1892 წ. - 10 კაპ., ხოლო 1900 წ. 1 გრ სპირტზე 11 კაპიკს მიაღწია[24]. მთავრობა ხელს უწყობდა და შეღავათებს აძლევდა ყურძნისა და ხილის წარმოებას, მასზე დაწესებული საქციზო გადასახადი ყოველთვის საგრძნობლად მცირე იყო პურის სპირტის გადასახადთან შედარებით. 1 გრ ყურძნისა და ხილის სპირტის გამოხდაზე თუ 1/2-დან 2 კაპიკამდე საქციზო გადასახადი მოდიოდა, პურის სპირტზე - 7 კაპ.[25].

ვნახოთ, რა მდგომარეობაში იყო საქციზო სისტემის შემოღების შემდეგ პურის სპირტის მწარმოებელი ქარხნები. 1870 წ. ამიერკავკასიაში

---

1 ნახევარში მთავრობის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ, პურის არყის მრავალი მწარმოებელი წარმოიშვა. 60-70-იანი წლებისათვის საქართველოს ყველა კუთხეში ხდიდნენ პურის არაყს, განსაკუთრებით კი მთაში. 60-იანი წლების ბოლოს გორის მაზრაში 130 პურის არყის "ქარხანა" აღრიცხული, დუშეთის მაზრაში - 383, ახალციხეში - 3, თბილისში - 2, სიღნაღის მაზრაში - 72 (გ. ყ ი ყ ი ნ ა ძ ე, ვენახლამეულის კულტურის ისტორია, თბ., 1903, გვ. 68. სცსა, ფ. 7, აღწ. 7, ს. 377, ფურც. 84-85).

24 Краткий очерк 50-летия акцизной системы и взимания налога с крепких напитков. 1863-1913, СПб, 1913, с.40.

25 სცსა, ფ. 7, აღწ. 6, საქ. 1, ფურც. 65.

23 ასეთი ქარხანა იყო. 1874 წ. – 7, 1875 წ. – 1[26]. 1879 წლამდე დროის სხვადასხვა მონაკვეთში ამიერკავკასიაში მოქმედებდა ან თითქმის სულ არ მოქმედებდა 13 პურის სპირტის მწარმოებელი ქარხანა, აქედან 6 იყო თბილისის გუბერნიაში, 3 – ქუთაისის, 3 – ბაქოს, 1 – ერევნის გუბერნიაში.

სააქციზო სისტემის შემოღებამდე ბორჩალოს მაზრაში, ფელდმარშალ ბარიატინსკის მამულში მოქმედებდა პურის სპირტის მწარმოებელი ქარხანა, იგი არენდით ჰქონდა აღებული თავად გარბოვცკის. სააქციზო სისტემის შემოღების მეორე წელსავე ქარხანამ არსებობა შეწყვიტა.

ახალქალაქში ასეთივე ტიპის ქარხნები ჰქონდათ იასენს, შტრაუბეს, მიკირტიჩევს, რომელთაც სააქციზო სისტემის შემოღების შემდეგ მალე შეწყვიტეს არსებობა. წარმოებულ სპირტზე შეწერილი საქციზო გადასახადის დაფარვის მიზნით, ქარხანა აუქციონზე იქნა გაყიდული.

დუშეთის მაზრაში ბაგრატიონ მუხრანელის მამულში სოფ. მუხრანში არსებულმა ქარხანამ 1874 წ. შეწყვიტა არსებობა.

უფრო მეტი ხანი იარსებეს გორის მაზრაში სოფ. ქარელის პურის სპირტის ალენიჩის ქარხანამ (1878 წ-მდე), პოტკოვისა ქ. გორში – 1879 წლამდე, ბარონ ბახისა – 1887 წლამდე. არსებობს მოსაზრება, რომ ბარიატინსკისა და პოტკოვის ქარხნები იმის გამო, რომ ვერ ანაზღაურებდა გაწეულ ხარჯებს, შეგნებულად დაწვეს, რათა მფლობელს ის თანხა მაინც აენაზღაურებინა, რაც დაზღვევით იყო გათვალისწინებული[27].

ქუთაისის გუბერნიაში 1877 წლამდე არსებობდა კონდაკის, ვაჭარ ადანაის, დავით სიდავას ქარხნები[28].

პურის სპირტის წარმოების სავალალო მდგომარეობა არაერთგზის გამხდა-

----------

26 იქვე, ფ. 370, ს. 25, ფურც. 117, С.Т.Гулишамбаров, დასახელებული ნაშრომი, ტ. 1888, გვ. 42.

27 სცსა, ფ. 370, ს. 25, ფურც. 117, С.Т.Гулишамбаров, დასახელებული ნაშრომი, გვ. 42, Т., 1888.

28 სცსა, ფ. 370, ს. 25, ფურც. 44; ს. 69, ფურც. 133, ს. 86, ფურც. 58, – 59, იქვე, ფ. 7, ანაწ. 6, ს. 156, ფურც. 6.

რა მსჯელობის საგანი. 1879 წ. ამიერკავკასიაში სააქციზო სამმართველოს უფროსი მეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოში წარმოდგენილ მოხსენებაში წერდა: სააქციზო სისტემის 6 წლის არსებობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ამიერკავკასიაში მარცვლეული კულტურისაგან არყის წარმოებამ შეიძლება იარსებოს მხოლოდ დიდი შეღავათებისა და სააქციზო უწყების საერთო წესების შეცვლის შედეგად. შეღავათების სრულიად უმნიშვნელო შეცვლა, რომელიც სააქციზო გადასახადის გაზრდას გამოიწვევს, ხორბლეულისაგან არყისა და სპირტის წარმოების სრული განადგურების საწინდარი იქნება[29].

თუ ასეთ მდგომარეობამდე მივიდა პურის სპირტის მსხვილი წარმოება, მით უმეტეს, უფრო დიდი ზარალი განიცადა პურის სპირტის წვრილ-გლეხურმა წარმოებამ. გადასახადის სიმძიმისა და უამრავი ფორმალობის ჩატარების სიძნელეების გამო მთის მოსახლეობამ მთლიანად ანება თავი ოჯახური საჭიროებისათვის არყის წარმოებას. ამას მოწმობს ის უამრავი ჩივილი და განცხადება, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იღებდა მეფის ნაცვლის კანცელარია. მთავრობა დარწმუნდა იმაში, რომ მთის მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობით არყის გამოხდაზე დაწესებული სააქციზო გადასახადი უფრო მავნე იყო მთავრობის შემოსავლისათვის, ვიდრე მისი სააქციზო გადასახადისაგან განთავისუფლება და ყირიმის ნახევარკუნძულზე არსებული წესების შემოღება (1 მანეთი 1 ვედრო გამოხდილ არაყზე). ამიტომ 80-90-იან წლებში საარქივო მასალებში ჩანს მიმოწერა პეტერბურგის გაუწერელ ხარჯთა დეპარტამენტში აჭარის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, საერთოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანი მოსახლეობის სააქციზო გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ.

რა იყო საქართველოში და ამიერკავკასიაში პურის სპირტის წარმოების განადგურების მიზეზი? ზოგიერთი ავტორი ამას ხორბლეულის, საერთოდ მარცვლეული კულტურების სიძვირეს მიაწერს. ავტორთა მეორე ნაწილი

---

29 სცსა, ფ. 370, ანაწ. 6, ს. 455.

თვლის, რომ ადგილობრივი ნედლი მასალის-ხე-ტყის, მუშახელის სიძვირე და ნაკლებობა წარმოების გაძვირებას იწვევდა, რაც არახელსაყრელს ხდიდა პურის სპირტის წარმოებას. ავტორთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პურის სპირტის წარმოების მოსპობა სააქციზო სისტემის შემოღებამ გამოიწვია. რომელია ამათში სწორი? მართალია, საქართველო პურეულით მდიდარ და ამ მხრივ მეტად შემოსავლიან მხარეს არ წარმოადგენდა, მაგრამ საქართველოში მოწეული პური ადგილობრივ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. მე-19 ს. II ნახ. სასაქონლო ურთიერთობების განვითარებამ და რკინიგზების გაყვანამ 70-იანი წლებიდან საქართველოში ხორბლეული კულტურების ნათესი ფართობი და მისი ექსპორტი გაზარდა. პ. გუგუშვილის გამოანგარიშებით, ხორბლეულის და ფქვილის ექსპორტი განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან 1886 წლამდე იზრდებოდა[30]. მაშასადამე, თუ ამ პერიოდში საქართველოში მარცვლეულის იმდენი მოსავალი მოდიოდა, რომ მისი საექსპორტოდ გატანა ხდებოდა, ამას, ბუნებრივია, არყის წარმოების განვითარებაზეც გარკვეული გავლენა უნდა ჰქონოდა, ე.ი. ფაქტორი, რომ საქართველოში ხორბლეულის სიმცირის გამო პურის სპირტის წარმოება არ ხდებოდა, ნაკლებად სარწმუნოა.

ჩვენი აზრით, პურის სპირტის წარმოების დაცემის მიზეზი იყო არა რომელიმე ცალკე აღებული ფაქტორი, არამედ მთლიანად ქვეყნად შექმნილი ვითარება, ყველაზე მთავარი და ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მეფის მთავრობა ამიერკავკასიაში პურის სპირტის წარმოების განვითარებით ნაკლებად იყო დაინტერესებული, რადგან რუსეთში დიდძალი იაფი მარცვლეულის გავრცელების გამო რუსეთის იმპერიაში პურისაგან არყის წარმოება საკმაოდ განვითარებული იყო, რომლისაც გასაღების ბაზარი ესაჭიროებოდა. ამისათვის კი ამიერკავკასია შესანიშნავი ასპარეზი იყო. ამიტომ იყო,

---

30 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოში და ამიერკავკასიაში, დასახელებული ნაშრომი, გვ.139.

რომ ცარიზმი პურის სპირტის ადგილობრივ წარმოებას ხელს არ უწყობდა. იგი, მეტროპოლიის ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდა ამიერკავკასია რუსეთის გუბერნიიდან შემოსული პურის სპირტის გასაღებლად ექცია.

მეფის მთავრობა ცდილობდა შეემცირებინა ადგილობრივი მწარმოებლების კონკურენცია მეტროპოლიის საქონლის წინაშე. სამხრეთ რუსეთში გამოხდილი სპირტი, მიუხედავად გზის ხარჯებისა და დანაკარგებისა, უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე ადგილობრივი. ამიტომ ადგილობრივი სპირტის მსხვილი მწარმოებლები უფრო ხელსაყრელად მიიჩნევდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში ან რუსეთში შეექმნათ პურის სპირტის ქარხნები, და არა საქართველოში (დ. სარაჯიშვილი, ტაიროვი, სიტოვი და სხვ.).

პურის სპირტის წარმოებას საქართველოში დიდ კონკურენციას უწევდა აგრეთვე დიდი შეღავათებით გამოხდილი ყურძნის სპირტი; ამას ემატებოდა ხე-ტყის, სათბობის ნაკლებობა, მუშახელის სიძვირე, სააქციზო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებული ათასგვარი ფორმალობების შესრულება და ხარჯები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ერთად აღებული იწვევდა ჩვენში პურის სპირტის წარმოების განვითარების შესუსტებას.

ყველაფერ ამას მთავრობა ხედავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არავითარ ზომებს არ იღებდა აღნიშნული წარმოების მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. პირიქით, კიდევ მეტიც, მთავრობა კიდევ უფრო მეტად ზრდიდა სააქციზო გადასახადს. ცარიზმის ეს ნაბიჯები რუსი მწარმოებლების მიმართ პროტექციონისტური პოლიტიკის შედეგი იყო.

1873 წლის სააქციზო კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარებამ მყარი ნიადაგი შეუქმნა არყის მსხვილ სამრეწველო ქარხნებს. მწარმოებლები შეეცადნენ გამოეყენებინათ მთავრობის მიერ ბოძებული შეღავათები და ნორმის ზევით მეტი რაოდენობის პროდუქტის წარმოებით და ნაკლები დანაკარგებით, მეტი მოგება მიეღოთ. ისინი დიდი რაოდენობით ნედლ მასალას შეღავათიან ფასებში იძენდნენ გლეხებისაგან, არყის გამოხდას და განმენდას აწარმოებდნენ და მას თავიანთი გამდიდრების წყაროდ აქცევდნენ.

რაც შეეხება არყის წვრილ-გლეხურ წარმოებას 1873-1876 წწ. შემოღებულმა ახალმა სააქციზო სისტემამ არყის ოჯახურ წარმოებაზე უდიდესი გავლენა იქონია. არყის თავისუფალ გამოხდას შეჩვეული მწარმოებლებისათვის სააქციზო თანხის წინასწარ გადახდა და მთელი რიგი ფორმალობის შესრულება მეტად უჩვეულო რამ იყო. გლეხი ვალდებული იყო თავისი სოფლიდან საკმაოდ მოშორებით მდებარე სააქციზო უწყებაში წინასწარ წერილობითი განაცხადი წარედგინა - არყის გამოხდის, მისი ოდენობის, გამოსახდელი დროის ხანგრძლივობის შესახებ და გადაეხადა სააქციზო გადასახადი. გაუნათლებელი, რუსული ენის უცოდინარი გლეხისათვის ეს მეტად მძიმე საქმე იყო, მით უმეტეს, რომ ყველა ეს ფორმალობა მას მოზღვავებული სოფლის სამუშაოების დროს უნდა შეესრულებინა, რათა თავისი ვენახიდან მორჩენილი მეტად უმნიშვნელო რაოდენობის ნედლი მასალა გამოეხადა. ამის შესახებ ჩვენ პრესაში, ლიტერატურაში და ცენტრალურ ისტორიულ არქივში უამრავი მასალა არსებობს. მოვიტანოთ მათ შორის ყველაზე მეტად დამახასიათებელი რამდენიმე მათგანი: "წინათ მეღვინე-გლეხი არაფერს არ კარგავდა - მეღვინეობის ნარჩენები, ჭაჭა, დაუმწიფებელი ყურძენი, მთხლე, დამჟავებული ღვინო და სხვა უქმად არ რჩებოდა"[31], "სააქციზო სისტემის შემოღებამდე, - გვაუწყებს სხვა წყარო, მეღვინეობასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოს დამთავრების შემდეგ საკუთარი მეურნეობიდან მორჩენილი მასალიდან იწყებდა გლეხი არყის გამოხდას. თუ მას არყის გამოსახდელი ქვაბი არ გააჩნდა, მეზობლისაგან თხოულობდა. ამრიგად, წარმოებიდან მიღებული მთელი მოგება მას რჩებოდა"[32]. "არც ისე დიდი ხანია, მიუთითებს ერთ-ერთი თანამედროვე, რაც ყველგან ჰყვაოდა არყის წარმოება, ბევრ ვენახის მფლობელს ჰქონდა საკუთარი

-----------

31 Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, т.IУ, часть П.

32 იქვე ССВВК, Н УП,Тифл.1896, გვ. 112.

გამოსახდელი ქვაბი და არაყი მნიშვნელოვანი რაოდენობით საღდებოდა სოფელში"[33].

„დრო იყო და არა შორი დრო, გვაუწყებს „ივერიის" ერთ-ერთი კორესპონდენტი, – როცა თითქმის მთელი გლეხკაცობა დიდის გამორჩომით ვენახისა და ღვინის კეთებაზე იყვნენ მიქცეულნი და ამასთან ჭაჭის არაყსა ხდიდნენ და ამისათვის ბევრს გლეხთა ვენახის პატრონთა თავისი საკუთარი სახდელი ქვაბი ჰქონდათ. ხდა არყისა უფრო სამინაო მრეწველობა იყო და საკმაოდ მხარს აძლევდა სასოფლო მეურნეობას, ჭაჭა-თხლესაც თავისი სარგებლობა მოჰქონდა და ამით გლეხკაცობა ხელს ინაცვლებდა. ამ ბედნიერ დროს კავკასიელები იხსენებენ ახლა, როგორც „ოქროს დროსა". ამ „ოქროს დრომ" მოაღწია 1876 წლამდე და მას შემდეგ კი საქმეთა მდგომარეობამ სასწრაფოდ ფერი იცვალა და დღეს წარმოადგენს სურათს მთლად დამხობისა"[34].

დუშეთის მაზრის 6 სოფლის – კაიშაურის, მლეთის, ჭართალის, ნადიბაანთკარის, დიდებიანთკარის, ვაშარაანთკარის მცხოვრებთა თხოვნაში აღნიშნულია, რომ ისინი არიან კავკასიის მთიანი მხარის მკვიდრნი, სადაც არ ხარობს არა მარტო ვაზი, არამედ სხვა ხეებიც კი, რომელნიც დაბლობში უხვად იზრდება, ამასთან ძველი წეს-ჩვეულების მიხედვით, არაყი მათი აუცილებელი მოხმარების საგანია დღესასწაულების, ქორწინების, დაკრძალვის და სხვა შემთხვევებში. ვენახის მფლობელს შეუძლია არ გამოხადოს არაყი, აიცდინოს მასზე შეწერილი გადასახადი, რადგან არყის ნაცვლად ღვინოს იხმარს, მთიელებს კი არა აქვთ არც ღვინო და არც ვენახი, 5–6 თვეს ისინი მოწყვეტილნი არიან ქალაქებს, ჩაკეტილი მთაში, ითმენენ პროდუქტების სიმცირეს, იძულებულნი არიან გამოხადონ არაყი, რომელიც ქრისტიანული ადათ-წესების დამაკმაყოფილებელი, მათი ფიზიკური ძალის აღმდგენელი ერთადერთი საშუალებაა, საქციზო გადასახადი მათ

---

33 იქვე, ნაკვ. III, გვ. 106.
34 ივერია, 1887, № 18, გვ. 1.

აუტანელ მდგომარეობაში აგდებთ. ისინი ითხოვენ სააქციზო გადასახადი-
საგან გათავისუფლებას[35].

ასეთივე ჩივილი ისმის კობის საზოგადოების დარიალის ხეობის მცხოვრებთა განცხადებაში: ისინი მიუთითებენ, რომ მათ მხარეში არა თუ ყურძენი, არამედ ხორბლის მოსავალიც კი არ მოდის, ისინი ვლადიკავკაზში ყიდულობენ საჭმელად საჭირო რაოდენობის ხორბალს, სიმინდს, შვრიას, რისთვისაც ოჯახის საჭიროებისათვის ხდიან ერთ ან 1 1/2 ვედრო 12-18 გრადუსიან არაყს. სააქციზო სისტემის შემოღების შემდეგ არაყს ვეღარ ხდიან, კობისა და ყაზბეგის დუქნებში არაყს სიძვირის გამო ვერ ყიდულობენ. ისინი ოჯახისათვის სახმარი არყის აქციზისაგან განთავისუფლებას ითხოვენ[36].

თბილისის, გორის, დუშეთის მაზრების, დამპალოს, წილკნის, მჭადიჯვრის, ქსოვრელის, მარტყოფის, ნორიოს, ოკელის და სხვა სოფლების გლეხთა განცხადებებში გულისწყრომას გამოსთქვამენ ახალი სააქციზო სისტემის შემოღების გამო, არასწორად მიაჩნიათ იგი, რადგან ნაწილობრივ 1873 წ. უფრო მეტად კი 1876 წლიდან აქციზის მომატების გამო მათ არა აქვთ საშუალება დაფარონ გაზრდილი სააქციზო თანხა, იძულებულნი არიან მთლიანად გადაყარონ ჭაჭა; მათ მოაკლდათ ოჯახისათვის აუცილებელი საჭირო სასმელი, მაგრამ იმის გამო, რომ მის გარეშე მაინც არსებობა არ შეუძლიათ, მას მაღალ ფასებში ვაჭრებისაგან ყიდულობენ. ითხოვენ, გადასახადი მხოლოდ გასაყიდად გატანილ არაყზე დააწესონ, ან შეამცირონ გადასახადი[37]. უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსახლეობა გამოსავალს არყის ფარულად გამოხდაში ეძებდა. "ამგვარმა შეუსაბამო და შეუფერებელმა მოქმედებამ მრავალგვარი უსამართლობა დაჰბადა, მრავალი ვნება მოუტანა ჩვენს ხალხს,-წერს გაზეთი "დროება",ვინც კი პირნათლად მოინდომა კანონის შესრულება, ის თითქოს სამუდამოდ გამოესალმა თავისაგან გამოხ-

---

35 სცსა, ფ. 7, ანაწ. 6, საქ. 428, ფურც. 4-12.
35 სცსა, ფ. 7, ანაწ. 6, საქ. 502, ფურც. 3-4.
37 სცსა, ფ. 7, ანაწ. 6, საქ. 198, ფურც. 1,2,3-4.

დილ, ამ ხშირად ფრიად საჭირო სასმელს; ... ბევრმა აბუჩად აიგდო ეს განკარგულება და ქხრის არაყს ყოველთვის, როცა კი დარწმუნებულია, რომ ამ სასმელის სუნი აქციზის მოხელემდე ვერ მიაღწევს და სუნით არ მიაგნებინებს"... ეს მდგომარეობა ხალხის გარყვნას იწვევსო და მოსახლეობას "ორში ერთი რჩება: ან უნდა გადაჭაკდეს და მჟამისისხლად იყიდოს ვაჭრებისაგან სასმელი, ან ყოველ წუთსა ცდილობს კონიაკის წარმომადგენელი გააცუროს როგორმე და საარყე ქვაბს ხორცის მოსახარში ქვაბი დაარქვას. სრულებით ხელის აღებას კი ვერავინ ახერხებს, მეტადრე მთაში, სადაც არაყი აუცილებელის საჭიროებას შეადგენს"[38].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში (საქციზო სისტემის შემოღების შემდეგ წვრილ-გლეხური წარმოების სურათის ნათლად წარმოდგენა და მისი გაანალიზება არ იქნება სრული, თუ მხოლოდ ზემოთ მოყვანილ გლეხთა ჩივილებს დავეყრდნობით. ამიტომ ამიერკავკასიაში ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობის გასათვალისწინებლად, საარქივო ფონდებიდან მოვიყვანოთ შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემები: მთავრობის ოფიციალური კომისიის გამოანგარიშებით, 70-იან წლებში ამიერკავკასიაში იყო 190 პურის სპირტის, 625 ყურძნისა და ხილის არყის მწარმოებელი საწარმოო 4 ლიქიორისა და სხვადასხვა ტიპის არყის ქარხანა. ამ ქარხნებში ყოველწლიურად 70 685 ვედრო სპირტიანი სასმელი მზადდებოდა[38]. აქედან მარტო ტფილისის გუბერნიაში აღრიცხული იყო 528 არყის საწარმო, რომელიც 28 473 ვედრო პროდუქციას ამზადებდა[39].

1873 წლის საქციზო კანონმდებლობის გავრცელების შემდეგ 1875 წელს ამიერკავკასიაში მოქმედებდა 774, 1876 წ. - 1159, 1877-წ. - 2841, 1900 წ. - ყურძნის არყის 2607 საწარმო. აქედან ტფილისის გუბერნიაში იყო 1876 წ. - 721, 1876 წ. - 450, 1887 წ. - 756, 1895 წ. - 713, 1898 წ. - 475, 1899 შ. - 583, 1900 წ. - 558 ქარხანა. ქუთაი-

---

38 "დროება", 1883, № 194, გვ. 1.

39 სცსა, ფ. 7. ანაწ. 6, ს. 480, ფურც. 77.

სის გუბერნიაში - 1874 წ. იყო - 90, 1876 წ. - 161, 1881-წ.-149, 1886 წ.-232, 1887 წ.-255, 1900 წ.-397, 1902 წ.-425 საწარმო.

ამიერკავკასიაში დამზადებული ყურძნის სპირტისა და არყის რაოდენობა 1875 წელს უდრიდა 10 875.672 გრ.1878 წ.-12 609,807 გრ 1886 წ.-11 415 760 გრ, 1887 წ.-17 284 720 გრ, 1889 წ. - 8 579 739 გრ, 1898 წ. - 25 036 860 გრ, 1899 წ. - 29 054 761 გრ, 1901 წ. - 17 630 773 გრ, 1902 წ. - 17 431 149 გრ.

ქარხნების რიცხვისა და სპირტის წარმოების ოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა 1 ქარხანაზე წარმოებული პროდუქციის ოდენობაც: 1888/1889 წწ. ქუთაისის გუბერნიის ყურძნის არყის წვრილ სარეწებში 1 საწარმო საშუალოდ 12 ვედრო 40 გრადუსიან არაყს ამზადებდა. წლების მიხედვით მისი ოდენობა იზრდებოდა 31, 61, 78, 96, 172, 208 ვედრომდე. 1898/99 წწ. - 257 და 1900/1901 წწ. - 355 ვედროს მიაღწია[40].

თბილისის გუბერნიაში 1 ქარხანაზე წარმოებული პროდუქციის საშუალო რაოდენობა 1888/89 წწ. 100 ვედროს უდრიდა, შემდეგ წლების მიხედვით 104, 107, 135, 163 ვედრომდე გაიზარდა, 1895 - 1898 წწ. მოუსავლიანობის გამო იგი ნაწილობრივ დაეცა, 1898/1900 წწ-ში კვლავ იზრდებოდა 254, 234 ვედრომდე[41]. მთლიანად ამიერკავკასიაში კი 1 საწარმოზე საშუალოდ 1880-1889 წწ. - 138, შემდეგ წლებში - 192, 220, 197, 264 ვედრო არაყი მოდიოდა, 1899-1900 წლებში კი 318 ვედროს მიაღწია.

აღნიშნული მონაცემები ნათლად მეტყველებენ ამიერკავკასიაში ყურძნის არყის წვრილი წარმოების სასაქონლო ხასიათზე. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ნახტომი ქუთაისის გუბერნიის არყის წარმოებამ გააკეთა: 1800-1889 წწ. 1 ქარხანაზე საშუალოდ წარმოებული 12 ვედროდან,1900 წ.

---

40 იხ. შესაბამისი წლების სააქციზო უწყების ანგარიშები.

41 იქვე.

– 355 ვედრო პროდუქცია მიიღო, ე.ი. წარმოება 29-ჯერ გაიზარდა[42].

ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოებულ პროდუქციაში სასაქონლო პროდუქციის წილი იზრდება, რომ ოჯახური წარმოების დონიდან ამიერკავკასიის არყის წვრილი წარმოება აშკარად გამოხატულ კაპიტალისტურ ხასიათს იღებდა.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოჯახური, თვითკმარი წარმოების დონიდან ყურძნის არყის წვრილი წარმოება კაპიტალისტურ-სასაქონლო ხასიათს იღებს. მართალია, მე-19 ს. 70-იან წლებში გავრცელებული სააქციზო სისტემის შედეგად ძლიერ მარცხდება ოჯახური წარმოების დონეზე მდგარი არყის წვრილი მწარმოებელი, მაგრამ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების და სააქციზო სისტემის ცხოვრებაში გატარებით სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი არყის წარმოება იმარჯვებს.

რაც შეეხება სახელმწიფო შემოსავალს, სააქციზო სისტემის გატარებით მეფის რუსეთის მთავრობამ ამიერკავკასიის მწარმოებლების, ვაჭრებისა და მომხმარებლებისაგან მაქსიმალური მოგება ამოქაჩა. მიუხედავად სააქციზო სისტემის გავრცელების სიძნელეებისა, 1875 წ. სახელმწიფომ სასმელებიდან სააქციზო შემოსავლის სახით 491 211 მანეთი მიიღო (ნაცვლად 70-იან წლებში მიღებული 430 000 მანეთისა). 1877 წ. ეს ოდენობა 994 354 მანეთამდე გაიზარდა, 1878 წ. – 1 450 232 მანეთამდე, 1887 წ. – 1 868 126 მანეთამდე, 1888 წ. – 1 908 690 მან. 1892 წ. – 1 940 428 მანეთამდე. სააქციზო შემოსავლის ზრდამ მთავრობის წარმომადგენლების ვარაუდის ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა[43].

-------------

42 ე.წ. "ქარხნების", წარმოებული პროდუქციისა და სააქციზო გადასახადის ოდენობის ამსახველი მონაცემები შეჯერებულია სააქციზო უწყების ოფიციალური ანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ყოველწლიური ანგარიშების სახით იბეჭდებოდა როგორც ცალკე კრებულებად, ისე (ნაწილობრივ) კავკასიის კალენდარში.

43 დროება, 1883, № 264, გვ. 1-2.

ჩვენ ხელთ არსებულ მასალებზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ საქართველოს არყის მწარმოებელთა ნაწილი ოჯახის საჭიროებისათვის სახმარ არაყს, მისი ნაწილი კი სასაქონლო არაყს ამზადებდა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მოთხოვნაა: "თუ სულ არა, იმ სასმელის გამოხდა მაინც თავისუფალი უნდა იყოს, რომელსაც მწარმოებელი თავის საკუთარ ოჯახში ხმარობს და ბაზარში გასაყიდად არ გააქვს".

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მრავალი ჩივილი და განცხადება მოწმობს, რომ საქართველოს სოფელი დიდ გარდატეხას განიცდიდა. აშკარად შეინიშნებოდა ერთი სახის წარმოების მეორე სახის წარმოებად გარდაქმნის პროცესი. აქციზის სისტემის შემოღებამ, წერდა გაზეთი "დროება", სულ ერთიანად მოსპო წვრილ-წვრილი ქარხნები არყისა და გააძლიერა დიდ-დიდი ვაჭრული ქარხნები...[44] გადასახადებისა და ფორმალიზმის გამო ბევრმა დაკეტა თავიანთი ქარხნები და მიანება თავი არყის გამოხდას[45].

საქართველოს პრესაში, პერიოდიკაში, ლიტერატურაში თუ საარქივო მასალებში დაცული ეს მონაცემები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ საქართველოში მოისპო წვრილი ქარხნები და გაძლიერდა ვაჭრული ქარხნები, რომ ბევრმა არყის მწარმოებელმა მიანება თავი არყის ხდას. ნიშნავს თუ არა იმას, რომ საქართველოს სოფლებში, მართლაც, მოისპო არყის წარმოება? – არა. საქართველოს სოფლებში მრავლად გავრცელებული ოჯახური წარმოება კი არ მოისპო, არამედ იცვალა სახე და შეიქმნა ე.წ. "ვაჭრული" ქარხნები..რას ნიშნავს ეს? საქართველოს სოფელში არსებული ძველი პატრიარქალური, ფეოდალური მეურნეობისათვის დამახასიათებელმა ოჯახურმა წარმოებამ ვერ გაუძლო ახალი დროის – კაპიტალისტური წყობისათვის დამახასიათებელ მოთხოვნებს, ამიტომ მოთხოვნის შესაბამისად, ოჯახური წარმოების გარდაქმნა მოხდა, წვრილი ვენახის მფლობელი ქარხნების წარმოებამ თანდათან სასაქონლო ხასიათი მიიღო.

------------

44 "Кавказ", 1881, გვ. 77-78.

45 "დროება", 1864, № 2, გვ. 2.

კაპიტალისტური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ფულადი ურთიერთობების ზრდა იწვევდა ფულზე მოთხოვნილების ზრდას. სხვადასხვა ვალის, გადასახადის, თუ საყიდლებისათვის (ნატურით ანაზღაურების მოსპობის გამო) გლეხს სულ უფრო და უფრო მეტი ფული ჭირდებოდა. გლეხი ცდილობდა, რომ თავისი მეურნეობიდან ერთი ან რამდენიმე ოჯახის მოთხოვნილების საჭიროებისათვის დამზადებული პროდუქტის ოდენობა გაეზარდა და იგი, ფულადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, გაეყიდა. ამას დაერთო საქციზო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებული ათასგვარი ფორმალობანი და საქციზო თანხის გადახდა, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა გლეხურ მოსახლეობას. არყის გამოხდის ნებართვის აღებისათვის გაწეული გზისა და წარმოების ხარჯები რომ აენაზღაურებინა, გლეხი იძულებული იყო გამოხდილი არყით ოჯახის მოთხოვნილებაც დაეკმაყოფილებინა და გაეყიდა კიდეც. ე.ი. არაყი საკუთარი მოთხოვნილების საგნიდან, საქონლად იქცა. ამდენად ოჯახისათვის საჭირო სასმელი არყის წვრილმა მწარმოებელმა შეიცვალა სახე და წვრილ საქონელმწარმოებლად იქცა. გლეხთა იმ ნაწილმა, რომელმაც ვერ აუღო ალღო ახალი დროის მოთხოვნებს, სრულიად მიანება თავი არყის წარმოებას. საქართველოს სოფელში დამკვიდრდა წვრილი სასაქონლო მეურნეობისათვის დამახასიათებელი არყის შინამრეწველური და სამრეწველო ხასიათის წარმოება.

რა იყო ამის მიზეზი? ამ გარდაქმნის ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, კაპიტალისტური ურთიერთობების მთელი სიგრძე-სიგანით შემოჭრა იყო, ურთიერთობებისა, რომელიც ვერ ეგუებოდა ფეოდალურ-ბატონყმური წესისათვის დამახასიათებელ კარჩაკეტილ მეურნეობას და ფართო სასაქონლო ურთიერთობათა განვითარების გზას ხსნიდა. ისმის კითხვა – ამ შემთხვევაში, კერძოდ, არყის წარმოების გარდაქმნის პროცესში რა როლს თამაშობდა საქციზო სისტემა? იგი, როგორც ჩვენ საბჭოთა ისტორიოგრაფიაშია მიღებული, აბრკოლებდა სპირტისა და არყის წარმოებას (პ. გუგუშვილი, მოჩალოვი), თუ პირიქით, ხელს უწყობდა მის განვითარებას. ჩვენი აზ-

რით, მე-19 ს. II ნახევარში კაპიტალისტური ურთიერთობების,სასაქონლო ურთიერთობების ზრდა ქვეყნის შიგნით მომხდარი ეკონომიკური ძვრები დიდ გავლენას ახდენდა საქართველოს სოფელზეც. სოფელში შემოჭრილი კაპიტალისტური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი მოვლენები სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებდა.კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვა-განვითარებასა და ზრდას საქართველოს არყის წვრილი წარმოების განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე საქციზო სისტემის გავრცელებაც. მართალია, საქციზო კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარების ძირითადი მიზანი მთავრობის ფისკალური ინტერესებიდან გამომდინარეობდა, მასში მრავალი ხარვეზი იყო დაშვებული, მაგრამ საქციზო სისტემის გატარებამ, მსგავსად საგლეხო რეფორმისა, ობიექტურად დააჩქარა ნატურალური ფეოდალური მეურნეობის მსხვრევისა და ახალი – კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბების ბუნებრივი პროცესი. ამით მან პროგრესული როლი ითამაშა. მართალია, ჩვენში ახალი საქციზო სისტემის გავრცელების გარეშეც, მე-19 ს. I ნახევარშიც მიმდინარეობდა სასაქონლო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ზრდის პროცესი. ადრე თუ გვიან, ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების გზით წავიდოდა, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ხაზს ვუსვამთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ საქციზო სისტემამ სოფლად არყის წარმოებაში კაპიტალისტური წარმოების შექმნის პროცესი დააჩქარა. ის, რაც ჩვენში შედარებით მდორე და ნელა მიმდინარეობდა, უფრო სწრაფად განხორციელდა.

ვაჯამებთ რა ნაშრომში მოტანილ მოსაზრებებს, შემდეგი ხასიათის დასკვნები გამოგვაქვს:

1. მე-19.ს. ცარიზმის მიერ სასმელების დაბეგვრაზე შემოღებული საგადასახადო სისტემა სახელმწიფოს ფისკალური ინტერესებიდან გამომდინარეობდა. იგი მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებას იმდენად უწყობდა ხელს, რამდენადაც ეს უკანასკნელი შემდგომში სახელმწიფო შემოსავლის გაზრდის წყაროდ გადაიქცეოდა, ამიტომ მე-19 ს. I ნახევარში,

1873 წლამდე მთავრობა შეღავათებს აძლევდა და არ ბეგრავდა ღვინო-არყის წარმოებას. გადასახადი შემოღებული იყო მხოლოდ სასაქონლო წარმოებზე და ქალაქებში გასაყიდად შეტანილ სასმელზე. 1873 წლიდან გავრცელებული სააქციზო კანონმდებლობით ყურძნის ღვინის წარმოება-გასაღება ყოველგვარი გადასახადისაგან გათავისუფლდა. ხილისა და ყურძნისაგან დამზადებული არაყი, იმის გამო, რომ რუსეთში ნაკლებად გავრცელებულ პროდუქტს წარმოადგენდა, უმნიშვნელო გადასახადით დაიბეგრა, სამაგიეროდ, რუსი მრეწველობის მიმართ პროტექციონისტული პოლიტიკის გამო ამიერკავკასიაში პურის სპირტის წარმოებას 1873 წლის კანონმდებლობით მცირე უმნიშვნელო შეღავათი მიეცა, 1876 წლიდან კი იმპერიაში არსებულ გადასახადის დონეს გაუთანაბრდა.

2. რუსეთის მთავრობის მიერ რუსი მრეწველების მიმართ გატარებული შეღავათიანი პოლიტიკის გატარებამ ამიერკავკასიისათვის სავალალო შედეგი გამოიღო, მან თითქმის მოსპო პურის სპირტის წარმოება ამიერკავკასიაში.

3. სააქციზო სისტემის გავრცელებით გამოწვეულმა სიძნელეებმა, გადასახადებმა, ათასგვარმა ფორმალობებმა და მისი შესრულების სიმძიმემ დააჩქარა ამიერკავკასიის სოფლებში არსებული არყის ოჯახური წარმოების დაცემა.

4. საქართველოში და ამიერკავკასიის სოფლებში არსებული ყურძნის არყის ოჯახური თვითკმარი წარმოების ნაცვლად არყის წვრილი სასაქონლო კაპიტალისტური წარმოება და სასაქონლო ურთიერთობა განვითარდა.

5. სააქციზო სისტემის გავრცელებით ობიექტურად დაჩქარდა ნატურალური - ფეოდალური მეურნეობისათვის დამახასიათებელი ოჯახური, თვითკმარი მეურნეობისა და არყის წარმოების მსხვრევის ბუნებრივი პროცესი. ძველის თანდათანობითი გადაქმნის და ახლის ჩამოყალიბების პროცესი ჩვენში მე-19 ს. I ნახევარშიც მიმდინარეობდა, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ახალმა სააქციზო სისტემამ ხელი შეუწყო მის შედარებით სწრაფ

მსხვრევასა და კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებას, ამით მან პროგრესული როლი შეასრულა.

5. სააქციზო სისტემის გატარებით მეფის რუსეთის მთავრობამ ამიერ-კავკასიის მწარმოებლების, ვაჭრებისა და მომხმარებლებისაგან მაქსიმა-ლური მოგება ამოქაჩა, რამაც სასმელებიდან მიღებულ სახელმწიფო შემო-სავლის არსებითი ზრდა გამოიწვია.

6. რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ ამიერკავკასიაში არყის პროდუქ-ტების წარმოება-გასაღებაზე შემოღებული საგადასახადო სისტემის არსი სახელმწიფოსათვის მაქსიმალური მოგების მიღება იყო, იგი საქართველო-სა და ამიერკავკასიაში ცარიზმის მიერ გატარებული კოლონიური პოლიტი-კის გამოვლინებას წარმოადგენდა.

М. Мирианашвили

## ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО 1873 ГОДА

### Резюме

В статье на основе анализа первоисточников исследовано акцизное законодательство 1873 года, его влияние на спирто-водочное производство Грузии.

ლ. ქ ვ ა რ ი ა ნ ი

# XIX ს. II ნახევარში რუსეთისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენებზე თბილისიდან ექსპონირებული ნივთები

საქართველოს რუსეთთან შეერთება დიდი ისტორიული მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ქვეყანამ ირანისა და თურქეთის მრავალსაუკუნოვან მტრულ გარემოცვას თავი დააღწია და XIX ს. 30-იანი წლებიდან მშვიდობიანი განვითარების გზას დაადგა.

აღნიშნულ პერიოდში რუსეთი ამიერკავკასიაში ძირითადად ომებით იყო დაკავებული, ხოლო მისი პოლიტიკური დაპყრობის შემდეგ ცარიზმმა და მისმა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ძირითადი ყურადღება მხარის ეკონომიურ ათვისებაზე გადაიტანეს. ცარიზმი ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოს თავის კოლონიად თვლიდა. პირველი, ვინც ნათლად ჩამოაყალიბა მეფის რუსეთის პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ, ფინანსთა მინისტრი კანკრინი იყო. 1827 წ. აპრილში მან რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ამიერკავკასიის სამეურნეო ათვისების პროექტი წარადგინა, სადაც აღნიშნულია, როგორ და რა მიზნების პოზიციიდან უნდა უყურებდეს რუსეთის მთავრობა აღნიშნულ მხარეს. მეფის მოხელე მოითხოვდა გაეზარდათ მხარის სახალხო დოვლათი: განევითარებინათ მიწათმოქმედება, მეაბრეშუმეობა და ტექნიკური კულტურები, რაც რუსეთის მრეწველობას შეუქმნიდა მდიდარი ნედლეულის ბაზას. მეფის მინისტრის ეს პროექტი ნიკოლოზ I-მა იმავე წელსვე დაამტკიცა.

კანკრინის შეხედულებას მხარი დაუჭირა საქართველოს მთავარმართებელმა პასკევიჩმა: "საქმეა, საჭირო იყოს ქარხნებისა და ფაბრიკების დაარსებლობისათვის (ამიერკავკასიაში – ლ.ქ.) ზოგიერთი პრივილეგიების მინიჭება: რადგან ჩემთვის აშკარაა იმ საკითხის უმეტობა, რაც საქართველოში ფაბრიკებისა და ქარხნების (განსაკუთრებით ზოგიერთთა) შესაქმ-

ნელად ნახალისების სარგებლიანობას შეეხება. გარდა არ უნდა ვუყურებ-დეთ საქართველოს, როგორც კოლონიას, რომელიც ჩვენს ფაბრიკებს მიაწვდიდა ნედლეულს (აბრეშუმს; ბამბას და სხვა), ხოლო რუსეთისაგან მიიღებდა მანუფაქტურულ ნაწარმს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში ასეთი მანუფაქტურების დაარსებით ბუნებრივად ხომ არ შესუსტდება მისი დამოკიდებულება რუსეთზე"[1].

ჩვენს მიერ მოყვანილი კანკრინისა და პასკევიჩის შეხედულებებიდან კარგად ჩანს ის როლი, რომელიც საქართველოს უნდა ეთამაშა მეტროპოლიის მრეწველობის წინსვლის საქმეში: იგი რჩებოდა სოფლის მეურნეობის ქვეყნად და რუსეთს ნედლეულს მიაწვდიდა, სამაგიეროდ სამრეწველო საქონელს მეტროპოლიისაგან მიიღებდა, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა მის დამოკიდებულებას რუსეთზე. ამავე აზრის იყვნენ სენატორები - კუტაისოვი, მეჩნიკოვი და განი. ეს უკანასკნელი მოითხოვდა საქართველოში "მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარებას, ფაბრიკებისა და მანუფაქტურების დაარსება იქ შეასუსტებს სოფლის მეურნეობის წინსვლას, რაც ზიანს მიაყენებს რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას"[2]. კავკასიის, კერძოდ ს.ქართველოს, ეკონომიკური რესურსები ნაკლებად იყო ცნობილი რუსეთისათვის, წინა საუკუნეებში მოწყობილ ექსპედიციებს არ შეეძლო სრული წარმოდგენა შეექმნა ცარიზმისათვის მხარის ავ-კარგზე, ისინი ცალმხრივ ხასიათს ატარებდნენ და ზოგჯერ არასწორ დამახინჯებულ ცნობებსაც შეიცავდნენ.

კავკასიის ეკონომიკური მონაცემებით დაინტერესება რუსეთში განსაკუთრებით XIX ს. შუა წლებიდან ძლიერდება. სწორედ ამ დროიდან შეუდგა ცარიზმი ამ მხარის ეკონომიკურ ათვისებას. მას სჭირდებოდა ნედლეულის ბაზა. ამისათვის საჭირო იყო კავკასიის ეკონომიკური რესურსების გამოვლენა მისი ხარისხისა და რაოდენობის დადგენა.

---

1 Акты, т.УП, с.140.

2 Колониальная политика Российского царизма в Азербайджане в 20-60-ых гг. XIX в., ч.I. М.-Л., с.314.

ზემოაღნიშნული პოლიტიკის განსახორციელებლად, რაც ითვალისწინებდა ეკონომიკურ ათვისებას, ფინანსთა სამინისტრომ ამიერკავკასიაში გამოგზავნა სპეციალური ექსპედიცია ლეკოპინტოვის, ზუბარევისა და სხვათა შემადგენლობით. კომისიამ "შეისწავლა" მხარე და 1836 წელს გამოაქვეყნა 4 ტომიანი ნაშრომი "

", სადაც განვითარებულია შეხედულება, რომ რუსეთის მთავრობა ამიერკავკასიას უნდა უყურებდეს, როგორც კოლონიას და ამ თვალსაზრისიდან უნდა გამომდინარეობდეს იქ მისი ყოველგვარი მოქმედებათ[3].

ცარიზმის რეაქციონერ მოხელეთა გარდა საქართველოს ეცნობოდნენ და მასზე წერდნენ რუსეთის იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ამ მხრივ, გამოირჩევა გრიბოედოვისა და საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ზავილეისკის მიერ შედგენილი "რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის დაფუძნების პროექტი"[4], რომელშიც გადაცემული შეხედულებანი მხარის ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნის თაობაზე გაცილებით პროგრესულია, ვიდრე ყველა ის შეხედულება, რაც ამ საკითხზე ოფიციალურ მოხსენებებში, ბარათებში, შრომებში და სხვ. გამოითქვა. ხსენებული პროექტის ავტორებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგების გარდა, მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების - ფაბრიკებისა და ქარხნების აშენება, უცხოეთიდან მანქანების შემოტანა, ახალი გზების გაყვანა, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა და სხვა.

წლების მანძილზე დაკვირვებების შემდეგ რუსეთის მთავრობამ მიიღო პირველი ზომები საქართველოში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მისი ისეთი დარგების განვითარებისათვის, რომლებიც მეტროპოლიის მრეწველობას საჭირო ნედლეულს მიაწვდიდა. ატარებდნენ ცდებს საქართველოში ბამბის, ინდიგოს, შაქრის ლერწმის, თამბაქოს და სხვა კულტურების დანერ-

-----------

3 Обозрение Российских ... ч.I, 1836, с.I3.

4 რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, თბ., 1949, გვ. 67-90.

გეისათვის, ეძებდნენ გზებს სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებისათვის და სხვა.

1833 წელს თბილისში ჩამოყალიბდა "სოფლის მეურნეობისა და მანუფაქტურული მრეწველობის წამახალისებელი საზოგადოება". ამას მოჰყვა "მეაბრეშუმეობისა და სავაჭრო მრეწველობის გამავრცელებელი საზოგადოება ამიერკავკასიაში", მაგრამ მეფის მოხელეების მექრთამეობისა და გულგრილობის შედეგად ამ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია და ეს "საზოგადოებები" მალე დაიშალა.

საქართველოში ვორონცოვის მმართველობის დროს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით 1850 წელს დაარსებულ იქნა "ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება", რომელიც სცემდა სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურას, ჰქონდა თავისი ჟურნალი (ЗКОСХ), აწყობდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს ისტორიის ძრიად მნიშვნელოვანი პერიოდია. "ეს არის კაპიტალიზმის ხანა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, როცა ეროვნულ ძალთა აღორძინების ნიადაგზე განვითარდა და დასრულდა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაცია, რამაც დიდი როლი შეასრულა თვითმპყრობელობასთან და შემდეგ უცხოელ ინტერვენტებთან სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში"[5].

70-იანი წლებიდან საქართველოში ფართო მასშტაბით გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინიგზების მშენებლობა, განვითარდა სამთამადნო მრეწველობა, საფუძველი ჩაეყარა კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას. ყოველივე ეს სამრეწველო გადატრიალებას ნიშნავდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად უმაგალითო სისწრაფით გაფართოვდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარი, გაიზარდა სავაჭრო მიმოქცევა და ფულის ტრიალი, ჩნდება მრავალი საკ-

---------

5 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, წიგნი II, გვ. 3, თბ., 1959.

რედიტო დაწესებულება. ვაჭრობაში ჩაება საქართველოს ყველაზე მიყრუებული კუთხეებიც კი: "ასე შეაკავშირა კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოს სხვადასხვა კუთხე ერთ მთლიან და დაუკავშირა ის მსოფლიო ბაზარს"[6].

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ დაიბრუნა თავისი ისტორიული მიწა-წყალი: აჭარა, ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი-ოლთისი. შემოერთების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის იმ პროცესმა, რომელიც იმ დროს კაპიტალიზმის განვითარების შემდეგ საქართველოში მიმდინარეობდა, მისი ახლად შემოერთებული ნაწილიც მალე ჩაითრია. ამის შემდეგ თურქეთის უღლისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე 80-90-იან წლებში მნიშვნელოვნად ვითარდებოდა მრეწველობა და სავაჭრო-სასაქონლო მიწათმოქმედება. ბათუმისა და ყარსის ოლქებში ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი რკინიგზის ხაზების გაყვანამ თბილის-ბათუმისა (1883 წ.) და თბილის-ყარსს (1889 წ.) შორის[7].

ერთი სიტყვით, XIX ს. მეორე ნახევარი მთელ საქართველოში ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში დიდი სოციალურ-ეკონომიკური ძვრებით აღინიშნა. მართალია, სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური განვითარების პროცესი უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე მრეწველობაში, მაგრამ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს სოფლის მეურნეობაშიაც მძლავრად შეიჭრა კაპიტალისტური ურთიერთობა. დაიწყო მისი დარგობრივი დიფერენციაცია, სასაქონლო ხასიათი მიიღო სოფლის მეურნეობის პროდუქციამ, გაიზარდა მწარმოებლის დაინტერესება მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქციით და სხვა. ეს პროცესი განსაკუთრებით გაღრმავდა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში XIX საუკუნის 70-იანი

-----------

6 საქართველოს ისტორია, ტ. II., ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1962, გვ. 82.

7 იქვე, გვ. 92.

წლების დასაწყისიდან 90-იანი წლების ბოლომდე. ამ პერიოდის "საქართველოს მიწათმოქმედების ისტორია არსებითად ბატონყმური საწარმოო ურთიერთობის ბურჟუაზიული ურთიერთობით შეცვლის ისტორიაა"[8].

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფეოდალური სისტემა სულ უფრო და უფრო სწრაფად უთმობდა ადგილს კაპიტალისტურ სისტემას. როგორც ვ.ი. ლენინი აღნიშნავდა, "რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს - ძველებური ფეოდალური კარჩაკეტილობის ნაშთს, - ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის"[9].

წინამდებარე სტატიის მიზანია შევისწავლოთ კაპიტალისტურ ხანაში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ამსახველი გამოფენები, რომლებიც ეწყობოდა როგორც ადგილობრივ, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. გავარკვიოთ მათი განვითარების ხასიათი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში.

XIX საუკუნის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენების შესახებ სპეციალური გამოკვლევა არ არსებობს არც რევოლუციამდელ და არც საბჭოურ ისტორიოგრაფიაში.ჩვენს მიერ ხსენებული გამოფენების შესწავლა პირველი ცდაა და რა თქმა უნდა არ იქნება დაზღვეული ზოგიერთი ხარვეზისაგან.თემას ძირითადად ვსწავლობდით საქართველოს,ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის სათანადო ფონდების მასალების საფუძველზე.გამოვიყენეთ ქართული და რუსული პერიოდული გამოცემები,სტატისტიკური კრებულები,ისტორიკოსებისა და ეკონომისტების შრომები საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების შესახებ.

მსოფლიოში პირველი სამრეწველო გამოფენა მოეწყო საფრანგეთში 1797 წ. სენ-კლუს სასახლეში ფრანგი მრეწველის მარკიზ დე-ავეზუს თაოსნობით,

---

8 საქართველოს ისტორია, ტ. VI, ბერძენიშვილის რედ.,თბილისი, 1962, გვ. 64.

9 ვ.ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

მეორე გამოფენა – 1798 წლის[10] მეზონ-დორსეიში, სადაც წარმოდგენილი იყო ძვირფასი მანუფაქტურის ნიმუშები. ამ გამოფენამ საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში უკვე რეგულარულად ეწყობოდა გამოფენები საფრანგეთში (1801, 1896, 1819, 1823 წწ.), გერმანიაში (მიუნხენში 1818 წ.) ბერლინსა და მიუნხენში (1824 წ.), ბელგიაში (1820 წ.), სამრეწველო გამოფენები მოეწყო აგრეთვე პეტერბურგში (1829 წ.), მოსკოვში (1835 წ.), ვენაში (1841 წ.), ესპანეთში (1841წ. ინგლისში (1851 წ.), კავკასიაში, კერძოდ, თბილისში (1850 წ.)[11].

საზოგადოებამ იმთავითვე კარგად დაინახა აღნიშნული გამოფენების უდიდესი მნიშვნელობა – აქ წარმოდგენილი სიახლენი, მიღწევები, გამოცდილება დიდი წარმატებით ინერგებოდა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში.

რუსეთი, როგორც აგრარული ქვეყანა, განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს. პირველი ცდა ასეთი გამოფენის მოწყობისა 1843 წელს ქ. ოდესაში ეკუთვნის სახელმწიფო ქონების სამინისტროს, 1844 წელს გაიხსნა ორი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ოდესასა და ველიკო იაროსლავსკის გუბერნიაში, აღნიშნულმა ღონისძიებებმა დასაბამი მისცეს შემდგომში რუსეთში სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს.

საქართველოში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების კვალდაკვალ მეფის მთავრობა დროდადრო აწყობდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების პროდუქციის გამოფენებს, რომელთა მიზანი იყო, ერთი მხრივ, უკეთ გაეცნოთ ვაჭარ-მრეწველთათვის მხარის ეკონომიკური მონაცემები, ხოლო, მეორე მხრივ, წაექეზებინათ მეურნეობის ის დარგები, რომელთა განვითარება საჭირო იყო ნედლეულით მეტროპოლიის მომარაგებისათვის.

ამ გამოფენებმა გარკვეული როლი ითამაშეს საქართველოს სამეურ-

10 ლენინგრადის ცენტრ. ისტ. არქივი, ფ. 370, საქ. 15, ფ. 3.
11 იქვე.

ნეო განვითარებაში. ისინი თავიანთი მეურნეობის გაუმჯობესებით სტი-
მულს აძლევდნენ მწარმოებლებს, ათვითცნობიერებდნენ მათ, აწვდიდნენ
ცნობებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სხვა სიახლეთა შესახებ,
წარმოდგენას უქმნიდნენ უცხოეთ თუ თავისი მეზობელი მეურნის საქმია-
ნობა-მიღწევებზე. გამოფენებზე თანდათან მატულობდა ადგილობრივ მეწა-
რმეთა მონაწილეობის როლი. თუ თავდაპირველად გამოფენაზე ვიწრო მასშ-
ტაბით იყო წარმოდგენილი ადგილობრივი ნაწარმი, შემდეგში თანდათან
იზრდებოდა როგორც წარმოდგენილი ექსპონატების რიცხვი, ისე მონაწილე მე-
ურნეთა რაოდენობაც. მათი წარმატებით დაინტერესებული იყვნენ, როგორც
მთავრობის ოფიციალური წრეები, ასევე კერძო მეწარმეები. ადგილობრივი
თუ ცენტრალური პრესა ხშირად აქვეყნებდა წერილებს გამოფენების შესა-
ხებ. საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა ამ გამოფენებს მთავრობის წარმომად-
გენელთა მიწერ-მოწერაშიც.

ყველაფერი ეს უდაოდ მოწმობს იმას, რასაც ანიჭებდა ამ გამოფე-
ნებს იმდროინდელი საზოგადოება. ეს საკითხი საინტერესოა ჩვენთვისაც,
ვინაიდან მისი შესწავლა ხელს შეუწყობს საქართველოში კაპიტალისტური
მეურნეობის წინსვლა-განვითარების ისტორიის გაშუქებას.

გამოფენების ისტორია კავკასიაში ვორონცოვის მმართველობასთან არის
დაკავშირებული. იგი კავკასიაში სხვადასხვა დროს მოღვაწე რუს მოხე-
ლეთაგან უფრო განათლებული და გამოცდილი, თანაც მოქნილი ადმინისტრა-
ტორი იყო; სწორედ ამიტომ შესძლო მან ყველაზე უკეთ იმ მიზნების გან-
ხორციელება, რომელთაც მეფის ხელისუფლება ისახავდა ამიერკავკასიის
მიმართ. ვორონცოვი საქართველოში მფარველობდა მემამულეებსა და თავად-
აზნაურობას, ამავე დროს იცავდა ვაჭარ-მრეწველთა და სავაჭრო-სამრეწ-
ველო კაპიტალის ინტერესებსაც. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს რუსეთ-
თან შეერთების შემდეგ ქვეყანამ დაისვენა ირანელ და თურქ დამპყრობელ-
თა წინაამდეგ გაუთავებელი ომებისაგან. მშვიდობიანობას თან მოჰყვა
ქვეყნის ეკონომიური აღორძინება. საქართველოში დაიწყო ვაჭრობის, მრე-
წველობის და სოფლის მეურნეობის განვითარება. ვორონცოვი უკეთ ათვი-

სების მიზნით ხელს უწყობდა ქვეყნის ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას. მან საზღვარგარეთიდან გამოიწერა სხვადასხვა სახის გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები: გუთნები, სალეწი და სანიავებელი მანქანები, ხორბალი, ქერის, ბრინჯისა და სხვა კულტურათა ჯიშების თესლი და სხვა[12].

ქვეყნის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გზების საკითხს. 1846 წელს გაიხსნა საზღვაო გზა, რომელიც კასპიის ზღვაზე ერთმანეთთან აკავშირებდა ასტრახანს, ამიერკავკასიის ნავსადგურებსა და ირანს, ხოლო 1848 წელს შავ ზღვაზე რეგულარული მიმოსვლა იწყეს გემებმა ოდესასა და კავკასიის დასავლეთ სანაპიროების ნავსადგურებს შორის, რის შედეგადაც აღდგა კავკასიის სატრანზიტო გზა[13].

XIX ს. II ნახევრის საქართველოს ეკონომიკურ-საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული როლი მიეკუთვნა კავკასიის, კერძოდ საქართველოს, მონაწილეობას სოფლის მეურნეობისა და ტექნიკურ მიღწევათა გამოფენაში, რომლებიც ეწყობოდა რუსეთში თუ მის ფარგლებს გარეთ. ეს, რა თქმა უნდა, კანონზომიერი შედეგი იყო ქვეყანაში მიმდინარე რთული ეკონომიკურ-სოციალური პროცესებისა: საგლეხო რეფორმის შე"დეგად სოფლის მეურნეობის დარგობრივი დიფერენციაციის გაღრმავება, რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით სავაჭრო ურთიერთობათა გაფართოება, სამრეწველო საწარმოთა ზრდა და სოფლის მოსახლეობის ლტოლვა ბურჟუაზიული ქალაქისაკენ და სხვა.

რუსეთში მიმდინარე მძლავრი კაპიტალისტური ძვრები გავლენას ახდენდა კავკასიის სინამდვილეზეც, ითრევდა მას საერთო ეკონომიკურ-სოციალურ მოძრაობაში. ამ გავლენის ერთ-ერთი ფაქტორია XIX ს. II ნახევარში კავკასიის (საქართველოს) ხშირი მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში, რომელთაგან რამდენიმეს შევეხებით.

-----------

12 "Кавказ", 1882 г., № 21, л.3.

13 "Кавказ", 1882 г., № 21, л.3,

1852 წ. კავკასიამ მონაწილეობა მიიღო სრულიად რუსეთის გამოფენაზე, რომელიც მოსკოვში გაიხსნა[14]. კავკასიიდან გამოფენაზე გაგზავნილი ექსპონენტებისა და გამოფენილი ნიმუშების რაოდენობა უცნობია, ცნობილია მხოლოდ, რომ ამ გამოფენაზე ჯილდო მიიღო 15 ექსპონენტმა, ამათგან დაჯილდოვდა 4 ქართველი, 2 სომეხი და 1 მუსულმანი. დანარჩენი 8 ჯილდო კი წილად ხვდა ადგილობრივ მონაწილეებს. დიდი ყურადღება მიიქცია და 1 ხარისხის ჯილდო დაიმსახურა აბრეშუმმა (რებროვისა და რაიკოსისა), ბამბამ, თამბაქომ, გამხმარმა ხილმა და სხვა. მეორე ხარისხის ჯილდოები მიენიჭათ თავად ანდრონიკაშვილის და თავად აფხაზის კახურ ღვინოებს[15].

1862 წ. ლონდონში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც კავკასიაც იყო მიწვეული, მაგრამ არ არის ცნობილი, მიიღო თუ არა მან მონაწილეობა[16].

იმპერატორის ნებართვით მოსკოვის საიმპერატორო მამულის მართვის საზოგადოებამ 1864 წ. სექტემბერში მოსკოვში გახსნა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა, სადაც მონაწილეობს რუსეთის მთელი იმპერია, მათ შორის კავკასიაც. კავკასიიდან საგამოფენოდ წარმოდგენილი იყო ღვინო, აბრეშუმი, ბამბა[17], თამბაქო, ენდრო, სიმინდი, ხორბალი, ლობიო, ბოსტნეული, რკინა, ქვანახშირი და სხვა[18]. ამ გამოფენის შესახებ ლენინგრადის სასოფლო გაზეთის კორესპონდენტი წერდა: კავკასიიდან გამოგზავნილი ნიმუშები ბამბისა, რომელიც მოწეულია ამერიკული თესლისაგან – საუკეთესოა. ასევე საუკეთესოდ მიაჩნდა კორესპონდენტს დიდრონ შულოებად ამოხვეული და სხვადასხვა ფერად შეღებილი აბრეშუმის ნიმუშები[19].

-----------

14 ლენინ.ცენტრ.ისტ.არქ. ფ. 37, ანაწ. 5, ფ. 7.
15 იქვე.
16 გაზ. "გუთნის დედა", № 9 1862 წ. გვ. 73.
17 ლენინ.ცენტრ. ისტ. არქ. ფ. 37, ანაწ. 53, ფ. 8.
18 გაზ. "გუთნის დედა", 1864 წ. № 17 გვ. 74.
19 იქვე.

კავკასიიდან წარგზავნილ ექსპონატებს თითქმის ყველას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენიათ, მაგრამ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომელიმე მათგანმა დაიმსახურა თუ არა ჯილდო.

1869 წ. პეტერბურგში თითქმის ერთდროულად მოეწყო მესაქონლეობა-მეფრინველეობის და მებაღეობის გამოფენა. ამ გამოფენაზე კავკასია თუმცა მიწვეული იყო, მაგრამ მას მონაწილეობა არ მიუღია[20].

1869 წ. იტალიაში მოწყობილ მებაღეობის გამოფენაზე კავკასიიდან ექსპონირებული იყო ღვინო, ხილი და სასოფლო-სამეურნეო იარაღი[21].

1870 წ. ოდესაში სექტემბერში გაიხსნა ღვინისა და თამბაქოს გამოფენა, სადაც კავკასიიდან ექსპონირებული იყო კახური ღვინო და თამბაქო. აქ საუკეთესო ღვინის წარმოდგენისათვის ორ მემამულეს მიუღია ჯილდო და პრემია, ერთს წითელი ღვინისათვის - დიდი ვერცხლის მედალი და 25 მან., მეორეს - თ. ანდრონიკაშვილს (სოფ. გორადახტი) თეთრი კახური ღვინისათვის პატარა ვერცხლის მედალი[22].

1879 წელს პეტერბურგში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა კავკასია. გაზეთ "დროებაში" გამოქვეყნდა სულხანოვის წერილი. იგი განსაკუთრებით ეხებოდა კავკასიიდან გამოგზავნილ ექსპონატებს და წერდა, რომ 1870 წლის ჩათვლით რუსეთში მოწყობილი იყო 14 გამოფენა: 50-იანი წლებიდან კავკასია მონაწილეობას იღებდა თითქმის ყველა გამოფენაზე რუსეთსა თუ საზღვარგარეთ და თავისი ექსპონატებით იმსახურებდა გარკვეულ მოწონებასა და ჯილდოებს. 1870 წლის გამოფენაზე კავკასიამ ყველაზე გვიან გამოიტანა საჩვენებლად თავისი ექსპონატები, რის მიზეზიც იყო ის, რომ აღნიშნული წლის 13 აპრილს თბილისიდან გაგზავნილი ნივთები ადგილზე ძლივს მივიდა მაისში[23]. პავილიონის მოწყობაც კი არ იყო დამ-

-----------

20 ლენინ.ცენტრ.ისტ.არქ. ფ. 37, ანაწ. 53. ფ. 1.

21 იქვე.

22 სასოფლო გაზეთი, 1870 წ. № 25, გვ. 13.

23 "სასოფლო გაზ." 1870 წ. № 13, გვ. 5-6.

თავრებული, რომ უამრავი დამთვალიერებელი მიაწყდა, ეს კი ხელს უშლიდა ექსპონატების სათანადო წესრიგით დალაგებას[24]. გამოფენაზე ექსპონირებული იყო კახური ღვინოები, თამბაქო, ყველი, აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, ენდრო, თივთიკი, გიშრის კრიალოსნები, ხიზილალა და მრავალი სხვა. განცვიფრებაში მოიყვანა ყველა საქართველოში დამზადებულმა შვეიცარიულმა ყველმა, რომელიც ბევრად სჯობდა რუსეთში დამზადებულს. ასევე დიდი მოწონება ხვდა ოსურ ყველსაც. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი აილანდის აბრეშუმი სრულიად ახალი იყო მეაბრეშუმეობით დაინტერესებულ პირთათვის და მეფაბრიკეებისათვის. იგი საქართველოში გააშენა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მდივანმა სიტოვცკიმ. აილანდის ჭიამ და მისგან დამზადებულმა პარკებმა ისეთი დიდი ყურადღება და მოწონება დაიმსახურა, რომ პეტროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორმა გოსოვმა თავის მიერ წაკითხულ ლექციაში თქვა: აილანდის ჭია "ფრიად სასარგებლო და საჭიროა".

1870 წ. გამოფენაზე პირველად იყო ექსპონირებული თიხის ჭურჭელი, ქართული სპილენძის ლანგრები, რომელიც პირველსავე დღეს გაიყიდა. ასევე განცვიფრებაში მოყავდა დამთვალიერებელი გამოფენაზე გამოტანილ ქართული წყლით სავსე რუმბს. აი რას წერს ამის შესახებ "სასოფლო გაზეთი", "იმას მუდამ ეხვევა აურებელი ხალხი, ქალი და კაცი; ზოგი ფეხს ცემენ, ქალები ზონტიკის წვერებით თითქოს უხიჩინებენ. იმართება ამაზედ მოუთავლავი საუბარი და ეს ქართული ხელოვნება დიდათ უკვირთ. ასე რომ მნახველები თანდათან უფრო და უფრო ემატება. ერთი სიტყვით, ამათი რუმბზედ განცვიფრების გარდმოცემა შეუძლებელი საქმეა. ვინ დაიჯერებს, რომ ზოგნი უფრო რუმბის სანახავად მოდიოდნენ მეორედ"[25].

ორი წლის შემდეგ 1872 წელს მოსკოვში მოეწყო პოლიტექნიკური გა-

-----------

24 "სასოფლო გაზ." 1879 წ. № 13, გვ. 5-6.

25 იქვე.

მოფენა. აღნიშნულ გამოფენას უნდა აესახა რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობის სურათი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ასეთი მნიშვნელობის გამოფენაში საქართველოს, საერთოდ კი კავკასიის მონაწილეობა ხაზს უსვამდა იმ დაინტერესებას, რასაც რუსეთის მრეწველ-მწარმოებლები იჩენდნენ კავკასიის ეკონომიკური რესურსების მიმართ. გამოფენაზე ექსპონატები წარმოდგენილი იყო კავკასიის გუბერნიების მიხედვით. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან გაგზავნილი საგამოფენო მასალა ბევრად აღემატებოდა კავკასიის სხვა გუბერნიების ექსპონატებს, რაც ერთხელ კიდევ ნათელყოფს საქართველოს წამყვან როლს, ამიერკავკასიის ეკონომიკურ განვითარებაში.

ცნობა 1872 წლის პოლიტექნიკური გამოფენის თაობაზე გამოქვეყნდა გაზეთ "კავკაზში". ის იუწყებოდა, რომ გამოფენას ექნებოდა ორი განყოფილება: ბუნებრივ-ისტორიული (რომელშიც შევიდოდა ბუნებისმცოდნეობა, ანთროპოლოგია და ეთნოგრაფია) და პოლიტექნიკური[26]. საგამოფენო კომიტეტი გაზეთის საშუალებით იტყობინებოდა, ვის ჰქონდა უფლება გამოფენაში მონაწილეობის, რა მიზნებს ისახავდა იგი და აღნიშნავდა ამ გამოფენაზე რუსეთის იმპერიის განაპირა რაიონების სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის ჩვენების მნიშვნელობას: "განსაკუთრებით სასიამოვნო იქნება, წერდა გაზეთი, თუ გამოფენაზე საპატიო ადგილს დაიკავებენ შორეული მხარეები, სადაც უხვად არის მდიდარი ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ან ხელუხლებელნი არიან ან პირველყოფილი წესებით თუ მუშავდებიან[27]. ცნობაში აღნიშნული იყო, რომ კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრე უკვე იპყრობდა მრავალი მკვლევარისა თუ მწარმოებლის ყურადღებას და შორს არ იყოს ის დღე, როცა დაინტერესებული პირები ახლოს გაეცნობოდნენ მას, დასახავდნენ მისი გამოვლენა-გამოყენების გზებს. ოღონდ ასეთი შესწავლა და გამოვლინება არ-

---

26 "Кавказ", 1872, № 15, л.4.

27 სცსია, ფ. 5, ან. 1, საქ. 1623, ფ. 1.

გილობრივი ბუნებრივი რესურსებისა არ უნდა მომხდარიყო ზედაპირულად, ზერელედ, არამედ უნდა დადგენილიყო სრული და სისტემატური სურათი სინამდვილისა, თავისი დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით მომგებია-ნობისა თუ ზარალის თვალსაზრისით. ასეთი სრული სურათის დადგენა შე-იძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ მასში აღინუსხებოდა შედარებით სრული სია კავკასიის ბუნებრივი სამრეწველო ნედლეულისა, აღნიშნული მხარის დამახასიათებელი თავისებურებანი, ნედლეულის დამუშავების ადგილობ-რივი მეთოდები, შედგება მოდელები, რუკები და სურათები, შეიკრიბე-ბოდა ეთნოგრაფიული ყოფის დამახასიათებელი ნიმუშები, საგნები და სხვა.

გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტი სასურველად თვლიდა, კავკა-სიის ადმინისტრაციას ეზრუნა, რათა გამოფენაზე კავკასიისათვის გაე-ხსნათ პავილიონი და ცალკეულ ექსპონატთა ნაწილი სხვადასხვა განყო-ფილებასთან ერთად გამოეფინა.

კავკასიის ადმინისტრაციამ კარგად იცოდა ადგილობრივ მწარმოებელ-თა და სოფლის მეურნეთა, აგრეთვე, რუსეთის მსხვილ მრეწველთა და ვა-ჭართა მიზნები და მოთხოვნილებანი, რასაც ემსახურებოდა 1872 წ. გა-მოფენა. ამიტომ მან შეიმუშავა ბევრი ღონისძიებები, კერძოდ შექმნა "პოლიტექნიკურ გამოფენაზე კავკასიის მონაწილეობისა და მასში ამ მონა-წილეობის შინაარსისა და მოცულობის საკითხთა განმხილველი კომისია"[28]. კომისიის წევრებად აირჩიეს 7 კაცი, თავმჯდომარედ დაინიშნა ი. ას-ტაფოვი.

კომისიის შექმნისა და გამოფენაზე მონაწილეობის თაობაზე ბარონმა ნიკოლაიმ აცნობა პოლიტექნიკური გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ს. გოლიცინს[29].

-------------

28 სცსია ფ. 5 ანაწ. 1, საქ. 1643, ფურც. 3.
29 იქვე. ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 1623, ფურც. 4.

1871 წ. მაისში კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველომ დამატებით მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულარი, რომელშიც მითითებული იყო 1872 წ. მოსკოვის პოლიტექნიკური გამოფენის მოწყობის მიზნები. პირველი - გამოფენაზე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, უპირველეს ყოვლისა, სამამულო ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც ქმნიდა პერსპექტივას მისი გადამუშავება-წარმოებისათვის; მეორე - წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ამ გადამუშავების ადგილობრივი წესები და მეთოდები. განსაკუთრებული ყურადღება კავკასიის მხრიდან უნდა მიქცეოდა სოფლის მეურნეობას, მებოსტნეობა-მეღვინეობას, მეთამბაქოეობას, მეაბრეშუმეობას. ამასთან აღნიშნული იყო დადგენილებაში, რომ საგამოფენო კომიტეტი აწესებდა ჯილდოებს, ადრესებს, მედლებს (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს) და სხვა ჯილდოებს.

კავკასიის საგამოფენო კომისიამ მოსკოვის პოლიტექნიკურ გამოფენაზე გასაგზავნი ექსპონატების მოსამზადებლად, მწარმოებელ მეურნეთა მისაზიდად გაატარა გარკვეული ღონისძიებანი. კერძოდ, მან პირველ რიგში მიმართა საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტს, რომლისგანაც საგამოფენო კომისიას შეეძლო ცნობების მიღება სოფლის მეურნეობის, მეტყეობის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობის, თევზჭერის, სამონადირეო, წვრილი და ხელით წარმოების, სამშენებლო საქმის, სამთობის და სხვათა შესახებ.

კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი რადე გაიგზავნა მოსკოვს სპეციალური მივლინებით კავკასიის განყოფილების გამოფენის მოსაწყობად, გამოცდილების მიღებისა და მასალათა გაცნობის მიზნით.

კომისია ხშირად იხილავდა გამოფენასთან დაკავშირებულ საკითხებს. მაგ., მან განიხილა არქიტექტორ ჩიჟოვის პროექტი გამოფენაზე არქიტექტორის განყოფილების (ძირითადად საეკლესიო არქიტექტურის) მოწყობის შესახებ.

1871 წ. 26 ივნისს კომისიამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1. კავკასიის განყოფილების მოსაწყობად საჭირო ასიგნებათა მიღება 2600 მან. ოქროთი (რაც მეტად რთული და საჭირო საკითხი იყო), იმ დაბრკოლებათა საკითხი, რაც დაკავშირებული იყო ექსპონატების რკინიგზით გადატანასთან[30].

კომისიის სხდომაზე აღნიშნული თანხა საკმაოდ დიდი იყო და მისი მიღება ბევრ სიძნელეს უკავშირდებოდა. პირველ რიგში კომისიამ დახმარებისათვის მიმართა გუბერნიების უფროსებს, კერძო მრეწველებსა თუ მეურნეებს. კომისიის ინტენსიურ მუშაობაზე ამ მხრივ მეტყველებს ის მიმოწერა, რაც გაიმართა საგამოფენო კომისიასა და გუბერნიებს შორის მოსკოვში 1872 წ. გამოფენაზე კავკასიის განყოფილების გახსნის თაობაზე, თუმცა ზოგჯერ ამ მონდომებასაც არ მოჰქონდა სასურველი ნაყოფი.

1871 წლის ივლისის თვეში კომისიამ რამდენიმე წერილი მიიღო (ქუთაისის, ერევნის გუბერნიებიდან, ყუბანის ოლქიდან და სხვა), რომლებითაც ადგილობრივი ადმინისტრაცია აცნობებდა, რომ მათ არ გააჩნდათ სახსრები სათანადო ექსპონატების შესაძენად.

გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად კომისიამ წერილობით მიმართა თბილისის, ქუთაისის, ბაქოს, ერევნის და სხვა გუბერნიებს, აგრეთვე გერმანული კოლონიების მცხოვრებთ და შავი ზღვის ოკრუგს. წერილებს ერთვოდა სია იმ ნიმუშებისა, რაც საჭირო იყო 1872 წ. გამოფენაზე გასაგზავნად ამა თუ იმ გუბერნიიდან. აგრეთვე წერილობითი მიწერ-მოწერა მათ შორის ეხებოდა ნიმუშთა შერჩევის პრინციპებს, მათს კლასიფიკაციას, სახსრების განაწილებას, გადაგზავნას და სხვა.

1871 წ. ნოემბერში საგამოფენო კომისიამ მიიღო რა მხედველობაში ის სირთულენი, რის შესახებაც არა ერთგზის იტყობინებოდა სხვადასხვა გუბერნიებისა თუ ოლქების ადმინისტრაცია, განიხილა საკითხი, რათა

-----------

30 სცსია ფ. 5, ანწ. 1, საქ. 1622, ფ. 5.

მთავრობას გუბერნიების უფროსებისათვის გამოეყო თანხა გამოფენის ნიმუშების შესაძენად და გადასაგზავნად თბილისში. ამავე სხდომამ მოისმინა წერილი საქართველოს ეგზარქოსისა; წერილში ნათქვამი იყო, რომ კავკასიის გამოფენის პროგრამაში შეტანილიყო ძველი ქართული ქრისტიანული კულტურის ამსახველი მასალები[31].

აღნიშნული სხდომის მონაცემები ცხადყოფენ, რომ ექსპონატთა შესაძენად და თბილისში გასაგზავნად სახსრები არ აღმოაჩნდა თითქმის არც ერთ ამ საქმით დაინტერესებულ პირს. თვით ზემოთ დასახელებული ეგზარქოსიც იძულებული იყო ბარონ ნიკოლაისათვის ეცნობებინა, რომ მას გამოფენის მასალის მოსამზადებლად არ გააჩნდა ფულადი საშუალება. ამასთან ეგზარქოსი, იმეორებდა რა არქიტექტორ ჩიჟოვის მონაცემებს, ნიკოლაის უმტკიცებდა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა და დამთვალიერებელთა რა ცხოველ ინტერესს გამოიწვევდა ქართულ-სომხური ქრისტიანული ისტორიის დამახასიათებელი ნიმუშების ჩვენება მოსკოვში.

ზემოთ მოტანილი მასალიდან აშკარად ჩანს, რომ მოსკოვის პოლიტექნიკურ გამოფენაზე კავკასიის მონაწილეობა საფრთხის წინაშე იდგა სახსრების უქონლობის გამო. ამიტომ იყო, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა თხოვნით მიმართა ალექსანდრე II-ს, რომელიც იმხანად კავკასიაში იმყოფებოდა ვიზიტად. მეფისნაცვალი აცნობინებდა მეფეს, რომ 27 ათასი (27000) მანეთი, რაც საჭირო იყო მოსკოვის გამოფენაზე კავკასიის განყოფილების მოსაწყობად, მას არ შეეძლო გამოეყო. ამავე დროს იგი უხსნიდა მეფეს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა რუსეთისათვის კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოფენას და ამით რუს მრეწველ-მეურნეთა დაინტერესებას. ალექსანდრე II-მ დააკმაყოფილა მეფისნაცვლის თხოვნა და სახელმწიფო ხაზინიდან ერთდროულად გამოეყო 20 ათასი, მან., ხოლო შემდეგ დანარჩენ თანხას კომისია მიიღებდა თანდათანობით[32].

საგამოფენო კომისიამ მიიღო თუ არა საჭირო სახსრები, შეუდგა

---

31 სცსია ფ. 241, აღწ. 3, ფურც. 50, გვ. 7.

32 იქვე, გვ. 8.

კავკასიის სხვადასხვა გუბერნიებიდან მოწოდებული მასალების შესწავ-ლა-შერჩევას მოსკოვში გასაგზავნად. ამავე დროს არქიტექტორმა კომი-სიამ საჭირო ჩათვალა, წინასწარ მოეთხოვა მოსკოვის კომისიისათვის, რათა კავკასიის საექსპოზიციო მასალა გამოფენილიყო როგორც სხვადასხ-ვა განყოფილებაში, ისე ცალკე, რისთვისაც საჭირო იყო 120 კვ. ფართობი. მოსკოვის კომისიამ რაკი ვერ შეძლო ცენტრალურ საექსპოზიციო დარბა-ზში (მანეჟზე) კავკასიისათვის გამოეყო ადგილი, საჭირო გახდა ცალკე პავილიონის აგება.

ბოლოს და ბოლოს სამხარეო და ცენტრალური საგამოფენო კომისიების მოლაპარაკებათა შედეგად კავკასიის განყოფილებას გამოეყო 60 კვ. მ ფართობი[33].

1872 წ. მარტში თბილისის კომისიამ განიხილა შემდეგი საკითხები: მოსკოვში საექსპოზიციო მასალის გადატანისა და სხვა ხარჯებისათვის საჭირო ასიგნებათა, მოსკოვში სათანადო პირთა მივლინების და სხვა საკითხები. ამავე დროს კომისიის გადაწყვეტილებით თბილისში სოფლის-მეურნეობის საზოგადოების შენობაში მოწყობილიყო მოსკოვში გასაგზავნი მასალის გამოფენა, რათა იგი კავკასიის მეფისნაცვალს დაეთვალიერე-ბინა.

1871 წ. 30 მაისს საზეიმოდ გაიხსნა მოსკოვის პოლიტექნიკური გა-მოფენა, რომელიც პეტრე I-ის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა.

გამოფენას ჰქონდა 26 განყოფილება, რომელთაგანაც თითოეულს თა-ვისი ქვეგანყოფილება ახლდა. იგი განლაგებული იყო კრემლის ტერიტო-რიაზე და მის გარშემო. წარმოდგენილი იყო რუსეთის იმპერიიდან 10 000 და უცხოური 2000-მდე ექსპონატი[34].

მართალია, ბურჟუაზიული შინაარსის გამოფენა მიზნად ისახავდა სა-სოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო ნაწარმის რეკლამირებას, მაგრამ მან მაინც გამოავლინა მრავალი პროცესის ტექნოლოგია, ფართო მნახველ სა-

----------

33 სცსია, ფ. 24, ანაწ. 3, საქ. 50, გვ. 8.
34 სცსია, ფ. 241, ანაწ. 3, საქ. 247, გვ. 9.

ზოგადოებას გააცნო იმდროინდელი რუსეთის მეცნიერების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიღწევები. თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილი იყო ვაგზალი ლიანდაგზე მოძრავი შემადგენლობით, საჰაერო გემის ნიმუში, ელექტროენერგიაზე მომუშავე საკერავი მანქანა, ტელეგრაფის აპარატი და მრავალი სხვა.

აღნიშნული გამოფენის ერთ-ერთი დადებითი მხარე ისიც არის, რომ მრავალი საგამოფენო ექსპონატი საფუძვლად დაედო ბუნების მეტყველებას, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების მიერ შექმნილ მუზეუმს, რომელიც გაიხსნა 1872 წ. 30 ნოემბერს[35].

პოლიტექნიკური გამოფენის მუშაობას ფართოდ აშუქებდა რუსული პრესა. კავკასიაში მის შესახებ ცნობებს ბეჭდავდა ძირითადად გაზეთი "კავკაზი". იგი მკითხველს აუწყებდა, რომ კავკასიის განყოფილებაში ფართოდ იყო წარმოდგენილი მესაქონლეობა, მებრეშუმეობა, ბოტანიკა, ზოოლოგია. გაზეთისავე ცნობით, პავილიონის კედლები მორთული იყო ხალიჩებით, ტყავებით, ძველი იარაღით, რუკებითა და გრაფიკული გეგმებით.

ვიტრინებს ამშვენებდა მინერალებისა და დენდროლოგიური კოლექციები, ბამბის, შალის, აბრეშუმის ნიმუშები, ხორბლის ჯიშები. იარაღი, ფიტულები. აქვე იყო სპილენძის ჭურჭელი, მეთუნეობის ნაწარმი. მინერალური წყლებისა და ღვინის ნიმუშები. "სასოფლო გაზეთიც" ფართოდ აღწერდა მოსკოვის გამოფენის მუშაობას.

როგორც ირკვევა პოლიტექნიკური გამოფენის მომწყობი კომიტეტი იუწყებოდა, გამოფენის მონაწილეთა დიდი ნაწილი დაჯილდოვდა, კავკასიიდან წარმოდგენილი 1136 ექსპონატიდან ჯილდო მიიღო 188.

გამოფენა დაიხურა 1872 წ. 1 სექტემბერს მან სამი თვის განმავლობაში 750 ათასი დამთვალიერებელი მიიღო, რაც იმ დროისათვის მეტად დიდი ციფრია.

ამავე წელს რუსეთში დაიწყო მზადება 1873 წლის ვენის მსოფლიო

-----------

35 სცსია, ფ. 241, ანაწ. 3, საქ. 247, ფ. 9.

გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად, რის გამოც კავკასიიდან გაგზავნილი ექსპონატების დიდი ნაწილი ადგილზე დარჩა და შემდეგ ვენაში გაიგზავნა.

ფინანსთა სამინისტროს ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტი 1875 წლის 9 ოქტომბერს აცნობებდა კავკასიის მეფისნაცვალს, რომ ამერიკის შტატების დამოუკიდებლობის 100 წლისთავის საიუბილეოდ 1876 წ. ქ. ფილადელფიაში (პენსილვანიის შტატი) მოეწყობოდა საერთაშორისო გამოფენა სამრეწველო და სამხატვრო ნაწარმისა – ამ გამოფენაზე მიწვეული იყო რუსეთი, ხოლო რუსეთის იმპერიიდან კავკასია. ამ უკანასკნელს სთხოვდნენ გაეგზავნებინა გამოფენაზე გასაგზავნი ექსპონატები[36]. გენერალ-მაიორი ასტაფიევის აზრით, კავკასიიდან გამოფენაზე უნდა გაეგზავნილიყო თიხის ჭურჭელი, ხალიჩები, ფოტო და კარტოგრაფიული მასალები, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ნივთები. როგორც შემდგომი ცნობები მოწმობენ, ამ გამოფენაზე კავკასიამ ძალიან ცოტა ექსპონატი გაგზავნა.

1878 წ. პარიზში მოეწყო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა რუსეთი და კავკასია. გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად შეიქმნა სპეციალური დამხმარე კომიტეტი, რომელმაც თავისი სამუშაო ინსტრუქცია შეიმუშავა.

1881 წ. მოსკოვში ეწყობოდა რუსეთის სამრეწველო გამოფენა, სადაც, კავკასიაც იღებდა მონაწილეობას. კავკასიის მეფისნაცვალი 1880 წ. 20-21 ივნისს მიმართავდა ა/კავკასიის ყველა გუბერნიის გუბერნატორს, რათა საქმიანი დახმარება გაეწიათ დამხმარე კომიტეტისათვის. გამოფენის საქმეების მოსაგვარებლად 1880 წ. 6 ივნის თბილისში დაარსდა დამხმარე კომიტეტი, რომელიც ამიერკავკასიაში შეაგროვებდა გამოფენაზე გასაგზავნ ექსპონატებს. კომიტეტის თავმჯდომარე დაინიშნა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი საიდუმლო მრჩეველი პრიბილი, ნიკოლოზ ივანეს ძე.

------------

36 საქ. ცენტრ. ისტ. არქ. ფ. 241, ანაწ. 3. საქ. 80, გვ. 1-2.

მის შემადგენლობაში წევრებად შევიდნენ: სამთო საქმის სამმართველოდან სამთო ინჟინრები გრიგოლ გრიგოლის ძე წულუკიძე, კავკასიის სამშენებლო-საგზაო კომიტეტისა და კავკასიის სასწავლო ოლქიდან ინჟინერი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე კორიეევი, სამედიცინო ნაწილის სამმართველოდან იაკობ იაკობის ძე ვერლინი, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებიდან - ზაქარია ალექსანდრეს ძე ჯორჯაძე და ალექსანდრე იასეს-ძე ელიოზოვი.

კავკასიის რუსული ტექნიკური საზოგადოებიდან - ინჟინერ-კაპიტანი დიმიტრი თედორეს ძე ჟარინცევი, კავკასიის ბუნებისმეტყველების მოყვარულთა საზოგადოებიდან კავკასიის მუზეუმის დირექტორი რადე. სოფლის მეურნეობის ინსპექტორი დანიელ კონსტანტინეს ძე მორიზი და სხვ.

კომიტეტმა საექსპოზიციო მასალის შესაძენად სახელმწიფოსაგან მოითხოვა 50000 მან., ხოლო მათ გადასაგზავნად მოსკოვში 2000 მან.

1880 წლისათვის გამოფენაში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი უდრიდა 50-ს. ამათგან დავასახელებთ ზოგიერთს:

1. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკი - თეთრი და წითელი ღვინო
2. ზაქარია ანდრონიკაშვილი - თეთრი და წითელი ღვინო
3. აბესაძემ ზუგდიდიდან - თამბაქო
4. ფინ-ბახი - სპირტი, არაყი და აბრეშუმის პარკი
5. ტოლე - სტეარის სანთელი და საპონი
6. ეზნაუროვი - თამბაქო და პაპიროსი
7. გრებნერი - ტყავი
8. ადელხანოვი - ტყავის ნაწარმი
9. ბორტაშევსკი - ნავთობის ნიმუშები
10. მადერი - ხილის წყლები
11. ვეტცელი - ლუდი
12. ზეტცელი - ავეჯი
13. ყორღანოვი - თბილისის სამი ხედი

დამხმარე კომიტეტი ვარაუდობდა, რომ მეურნეობის ყველა დარგი თანაბარი მოცულობით ვერ იქნებოდა წარმოდგენილი გამოფენაზე (მეტნაკლები განვითარების გამო - ღ.ქ.), რადგანაც ექსპონატების გადატანა მოსკოვამდე შორი გზის გავლას გულისხმობდა.

კავკასიის ექსპონატებზე განცხადების წარდგენის ვადა I ოქტომბრიდან გადატანილ იქნა I დეკემბრამდე. ასევე გადაიდო გამოფენის გახსნის ვადაც. 1881 წ. დანიშნული გამოფენა გადატანილ იქნა 1882 წლისათვის[37].

მოსკოვში გამოფენის კავკასიის განყოფილების უფროსად დაინიშნა ხატისოვი, ხოლო მის მოადგილედ აგრონომი ვასილევი.

მოსკოვის გამოფენა 1882 წ. 15 მაისს გაიხსნა და გაგრძელდა 15 სექტემბრამდე.

გამოფენაზე კავკასიიდან წარმოდგენილი იყო სასოფლო=სამეურნეო, სატყეო, სამთო, მანუფაქტურული და ხელოსნური მრეწველობა, სასწავლო საქმე და მხატვრული შემოქმედება. განსაკუთრებული ყურადღება კავკასიის ღვინოებს დაუმსახურებიათ. საერთოდ გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა კავკასიური ექსპონატი დამთვალიერებელთა დიდ ყურადღებას და მოწონებას იმსახურებდა და ბევრი ჯილდოც დაიმსახურა. გამოფენაზე თავიანთ ნაწარმზე ოქროს მედლები და სახელმწიფო ღერბის გამოხატვის უფლება მიიპოვეს ბაგრატიონ მუხრანსკიმ - კავკასიური ღვინოებისათვის (დამზადებისა და ხელსაყრელი თანხისათვის), ძმებმა ნობელებმა - ბაქოდან, ნავთის კარგი ხარისხისათვის.

ვერცხლის მედლები მიიღეს:

1. თავადმა ჯორჯაძემ - ღვინის კარგი დაყენებისათვის (წინანდალი);
2. კარხანოვი - ამერიკული ჯიშის ბამბის საუკეთესო გავრცელებისათვის კავკასიაში;
3. ძმები ნუსნუსოვები - კარგი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილისათვის;

-------------

37 საქ. ცენტრ. ისტ. არქ. ფ. 241, აღწ. 3, საქ. 248, ფ. 5.

4. სიჭინავა (ქუთაისის გუბერნია) – კარგი აბრეშუმისათვის[38].

ბრინჯაოს მედლები:

1. ჭოლე – თბილისი, სტეარინის სანთლისათვის;
2. რეიერი – თბილისი-ამერიკული სისტემის პიანინოსათვის;
3. შაცალოვი – თბილისი-კავკასიის რელიეფური რუქისათვის;
4. გეიდიკე – შავი ზღვისპირეთიდან თამბაქოსათვის;
5. ჩბელინსკი – შავი ზღვისპირეთიდან – თამბაქოსათვის;
6. ადელხანოვი და – თბილისი – კარგად დამუშავებული ფეხსაცმლის საპირეებისათვის;
7. ვეტცელი – თბილისი, მაღალხარისხოვანი ლუდისა და საერთოდ მისი ნაწარმოების განვითარებისათვის;
8. მღებროვი – თბილისი, ზეთებისათვის.

ამას გარდა, მრავალმა მონაწილემ ბაქოს, ერევნის და სხვა გუბერ-ნიებიდან მიიღეს ბრინჯაოს მედლები.

საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

1. გრებნერი – თბილისი – თიხის საფინისათვის;
2. მადერი – თბილისი ხილის ლიმონადისათვის ასევე მონაწილეთა დიდმა ნაწილმა მიიღო ფულადი პრემიები, დიპლომები და სხვ.[39]

1884 წ. 28 აგვისტოს კავკასიის მთავარმართებლის კანცელარია აცნობებდა თბილისის გუბერნატორს, რომ ბელგიის ელჩმა თბილისში აცნობა მათ, რომ 1885 წ. მაისში ანტვერპენში მოეწყობა საერთაშორისო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობისათვის იწვევდნენ კავკასიას. ამ გამოფენაში კავკასიას მიუღია მონაწილეობა და გენერალ-ლეიტენანტ – ბაგრატიონ მუხრანსკის და ჯორჯაძეს მიუღიათ 2 მედალი წარდგენილი საუკეთესო ღვინოებისათვის.

-----------

38 საქ. ცენტრ. არქ. საქ. 241, ანაწ. 3, საქ. 248, გვ. 15.
39 იქვე. ანაწ. 3, საქ. 230, გვ. 20.

1904 წლის 18 აპრილს სენ-ლუიში (ჩრდილოეთ ამერიკაში) გაიხსნა მსოფლიო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მეფის რუსეთი.

რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, თავის მხრივ, აღნიშნულ გამოფენაზე მონაწილეობა შესთავაზა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას. მართლაც ამ გამოფენაზე მონაწილეობა მიუღიათ კავკასიის მრეწველებს და მის გახსნამდე გარკვეული სახსრებიც გაუგზავნიათ სენ-ლუის გამოფენის გენერალური კომიტეტის სახელზე. ამის შემდეგ კომიტეტს 1904 წ. 12 იანვარს გამოფენის კომისარი პ.სტაროცელსკი აცნობინებდა: საექსპონატო ვიტრინებისა და საჭირო ტერიტორიის მოწყობისათვის ტელეგრაფით 950 მანეთი გაუგზავნიათ კომიტეტის სახელზე შემდეგ კავკასიელ მრეწველებს.

1. დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილს, კონიაკის ქარხნის მეპატრონე თბილისში (250 მან.);
2. ალექსანდრე აგაფონის-ძე მელიქ-აზარიანცი, სპილენძის სადნობი ქარხნის მეპატრონეს (500 მან.)[40];
3. მანგანუმის მწარმოებლებისაგან - ქუთაისიდან (250 მან.);
4. მატვეი ლეოპოლდის-ძე სოსინი- მექანიკური ქარხნის მეპატრონე (მინერალური საღებავი) (125 მან.);
5. ალექსანდრე თეოდორის-ძე ბარონი ფონ-კუჩენბახი, ყველის ქარხნის მეპატრონე (25 მან.).

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, სულ შეგროვილია 1150 მან. ამ თანხიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგამოფენო კომიტეტს 1903 წ. თავად მ. ხილკოვის მიერ ტელეგრამით გადაეგზავნა 960 მან. არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ აგრონომი ტარანწიევი კავკასიიდან სენ-ლუის გამოფენის მომწყობთაგან ითხოვდა ზუსტ ცნობებს იმის შესახებ, როდის იყო უკანასკნელი ვადა ბამბის ნიმუშების გაგზავნისა, თან არწმუნებდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ მნახველთა დიდ ინტერეს

---

40 ლენინ. ცენტრ. არქ. ფ. 22, ანაწ. 1, გვ. 1178.

გამოიწვევდა კავკასიიდან გაგზავნილი ბამბა[41].

ასეთია ძირითადად იმ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენების ისტორია, რომლებიც ეწყობოდა XIX-XX ს. დამდეგს კავკასიის მონაწილეობით.

ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის დროზე ამ გამოფენებმა ძალიან დიდი როლი ითამაშეს მხარის ეკონომიკური სახსრების გამოვლენისა და მათი ემდგომი დამუშავება-ათვისების საქმეში. მიუხედავად მეფის ხელისუფლების მიზნებისა - გამოიყენოს ეს გამოფენები კავკასიის ეკონომიური ათვისებისათვის, ობიექტურად მათ ხელი შეუწყვეს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების შემდგომ განვითარებას, გააცნეს მეურნეები მოწინავე ტექნიკის, ასტიმულირებდნენ მეურნეობის ცალკეულ დარგების შემდგომ სრულყოფას და განვითარებას. სწორედ ამიტომ არის აღნიშნული გამოფენის შესწავლა კაპიტალისტური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.

Л.Квариани

## ЭКСПОНИРОВАННЫЕ ИЗ ТБИЛИСИ ПРЕДМЕТЫ НА СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ И ПРОМЫШЛЕННЫХ ВЫСТАВКАХ В РОССИИ И ЗА РУБЕЖОМ ВО ВТОРОЙ ПОЛОВИНЕ XIX В.

Р е з ю м е

В статье исследуются материалы о сельскохозяйственных и промышленных выставках в России и за рубежом во второй половине XIX в., в частности об участии грузин на Московской сельскохозяйственной и промышленной выставке в 1864 г.; на Петербургской скотоводческо-птицеводческой, а также садоводческой выставках в 1869 г.; Ялтин-

---------------

41 ლენინ. ცენტრ. არქ. ფ. 22, ანაწ. 1, გ. 1118.

ской скотоводческой выставке в 1869 г.; на Одесской винодельческой и табаководческой выставках в 1870 г.; на Петербургской сельскохозяйственно-промышленной выставке в 1870 г.; на Московской политехнической выставке в 1872 г.; на Парижской выставке в 1878 г.; на Московской промышленной выставке в 1882 г.; на выставке в Сен-Клу в 1904 г.

В статье даны сведения о предметах, экспонированных из Грузии, перечислены участвовавшие на выставках фирмы, показано, что указанные выставки объективно способствовали процессу дальнейшего развития разных областей промышленности и сельского хозяйства, поскольку широкая общественность знакомилась с новейшей техникой, а это стимулировало и расширяло масштабы внедрения этой техники.

ქ. მ უ შ კ უ დ ი ა ნ ი

# თბილისის ხის დამამუშავებელი მრეწველობა და მუშათა მოძრაობა 1903 წ.

ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით რუსეთის იმპერიაში 1884 წლიდან დაწესდა საფაბრიკო ინსპექცია. იგი ჯერ ფინანსთა სამინისტროს, 1905 წლიდან კი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ექვემდებარებოდა. 1903 წ. 30 მაისის კანონით მას უნდა ეხელმძღვანელა აგრეთვე ადგილობრივი საგუბერნიო მითითებებით[1].

ინსპექციას მეთვალყურეობა უნდა გაეწია ახლად გამოცემული საფაბრიკო კანონების გატარება-შესრულებისათვის სამრეწველო დაწესებულებებში. ცნობილია, რომ საფაბრიკო კანონების გამოსვლა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდით იყო გამოწვეული. საფაბრიკო ინსპექცია თავისი არსებობის პირველსავე დღეებიდან მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველ ორგანოდ გადაიქცა. მას ძირითადად ევალებოდა თვალყურის დევნება მეფაბრიკეებისა და მუშების ურთიერთდამოკიდებულებაზე, დროულად ზომების მიღება მათ შორის მოსალოდნელი დავისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, წარმოშობილი უთანხმოების ადგილზე გამორკვევისა და ორივე მხარის მშვიდობიანად მორიგების გზით[2]. საფაბრიკო ინსპექტორი ფაქტიურად პოლიციის ფუნქციებს ასრულებდა, რომელსაც არ უნდა დაეშვა გაფიცვები. მისი ნამდვილი არსი დაგვანახა ვ.ი. ლენინმა თავის ნაშრომში "ახალი საფაბრიკო კანონი", სადაც ამხილა საფაბრიკო ინსპექტორების საქმიანობა, როგორც პოლიციის მსახურებისა და მეფაბრიკეთა დამქაშებისა. მიუხედავად ამისა, ლენინს საფაბრიკო ინსპექციის დაწესება მაინც წინგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნდა იმ მიზნით, რომ "მუშები ამით ისარგებლებენ, რათა ამხანაგების მეტ რიცხვს გააც-

------------

1 გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864–1917 წ., თბ., 1976, გვ. 529.

2 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXI-B, 1975, გვ. 51.

წინ თავიანთი მდგომარეობა, კანონები მუშათა შესახებ, გაიცნონ ის, თუ როგორ ექცევა მთავრობა და მისი მოხელეები მუშებს... რუსეთის ყველა ფაბრიკა-ქარხნის მუშების ერთნაირი წესებისადმი დაქვემდებარება მოწინავე (პეტერბურგის, მოსკოვის და სხვა) მუშებთან ერთად, რა თქმა უნდა ხელს შეუწყობს მუშათა მოძრაობას[3].

1899 წ. საქართველოდან თავდაპირველად ბათუმის მხარე და სოხუმის ოლქი შეიყვანეს ხარკოვის საოლქო საფაბრიკო ინსპექციის მეთვალყურეობის ქვეშ. 1901 წლიდან მასში შევიდა ქუთაისის და თბილისის გუბერნიების სამრეწველო საწარმოები.

თბილისის გუბერნიაში საფაბრიკო ინსპექციამ თავისი მოქმედება ფაქტიურად 1902 წლიდან დაიწყო, როცა აქ მუშათა რევოლუციური ბრძოლები ახალი ძალით გაიშალა. სამრეწველო კრიზისის მიუხედავად მებრძოლი მუშათა კლასის რიგები შესამჩნევად შეივსო და გაიზარდა. მუშათა მოძრაობა გაძლიერდა და გაფიცვებმა თითქმის ყველა საწარმო მოიცვა, მათ შორის ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის დარგები[4]. მუშათა რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის საქმეში აქტიურად ჩაერია საფაბრიკო ინსპექცია, რომელიც მუშათა მდგომარეობის ადგილზე გამორკვევის გზით აპირებდა არა მარტო აღეკვეთა, არამედ ძირშივე მოესპო "ეს მავნე მოვლენა".

თბილისის გუბერნატორი თავის ერთ-ერთ მიმართვაში მიუთითებდა რა რევოლუციურ მოძრაობაში სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის დიდ როლზე, იძულებული იყო აშკარად ეღიარებინა მუშების უკიდურესად მძიმე მდგომარეობა. იგი წერდა: "ამ პროპაგანდას ასეთი დიდი გავლენა არ ექნებოდა, სოციალისტური მოძღვრების ბოროტი თესლი რომ არ მოხვედრილიყო ასე შესაფერის ნიადაგში, შემზადებულში საფაბრიკო და სარეწაო მუშათა ცხოვრების ისეთი პირობებით, რომელშიც მუშები მუდმივ უკმაყოფი-

-----------

3 ვ.ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., გამ. IV, ტ. 2, 1954, გვ. 362.
4 საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, 1957, გვ. 40.

ლებაში ყავთ. მუშებს ყოველგვარი მსხვერპლის გაღების ფასად არსებული მდგომარეობიდან თავის დაღწევის მეტწილი სურვილი აქვთ"[5]. ადგილობრივმა ხელისუფლებამ საფაბრიკო ინსპექციასთან ერთად გადაწყვიტა მუშათა ყოფის, სამუშაო პირობების გამორკვევის გზით შეემუშავებინა მათი მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებანი ისეთნაირად, რომ ამით "არსებითად არ დარღვეულიყო და არ დაზიანებულიყო მეფაბრიკეებისა და საერთოდ მრეწველების მდგომარეობა". სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა გამოკვლევა: "По вопросу об исследовании быта рабочих фабричных и промысловых центрах Закавказского края 1903-1905 гг."[6] ეს მასალა სანდო ცნობებს გვაწვდის და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მაშინდელი მრეწველობისა და სამრეწველო მუშების მდგომარეობის შესახებ. აქედან ჩვენ შევეხებით მხოლოდ ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის ამსახველ მასალებს. მას ავსებს საფაბრიკო ინსპექციის საარქივო ფონდებში დაცული საბუთები, რომელთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა თბილისის გუბერნიის უფროსი ინსპექტორის ა. პისარენკოს მიერ შედგენილი 1903 წლის ანგარიში[7]. ამ საბუთების მიხედვით თბილისის გუბერნიის 66 სამრეწველო საწარმოში აღრიცხულია 3935 კაცი. წინა წელთან შედარებით მათი რაოდენობა 378 მუშით შემცირდა, რადგან საბრუნავი კაპიტალის სიმცირისა და გარედან შემოტანილი ფაბრიკული მზა ნაწარმის კონკურენციის შედეგად ზოგიერთი საწარმო დაიხურა. ქ. თბილისიდან საფაბრიკო ინსპექციას მხოლოდ ფაბრიკულ-ქარხნული ტიპის 27 საწარმო დაექვემდებარა. მათ შორის აღრიცხულია 7 სახერხი ქარხანა და ერთი ავეჯის ფაბრიკა. როგორც ორთქლის ძალით მომუშავე, ასევე ხელის სახერხების მთლიანი რაოდენობა 1902 წელს 43-მდე აღწევდა, 487 მუშით და 560 000 მან. წარმოების თანხით[8].

-----------

5 სსცია, ფონდი 12, აღწერი 16, საქმე 168, ფ. 1.

6 იქვე.

7 ЦГИАУ, ф.2090, оп.I, д.88.

8 Кавказский календарь на 1905 г., с.78.

1903 წლის საფაბრიკო ინსპექციის მეთვალყურეობაში მყოფი ორთქლის ძრავით მომქმედი თბილისის სახერხი ქარხნების მიერ დამზადებული პროდუქციის ღირებულებისა და მუშათა რაოდენობის გასათვალისწინებლად მოგვაქვს ჩვენს მიერ მიღებული შვიდივე ქარხნის მაჩვენებლების ჯამური მონაცემი, რომლის მიხედვით მათში გაერთიანებული იყო 90 მუშა და წლიური პროდუქციის ღირებულება 315 000 მან. შეადგენდა[9]. გარდა ამისა, ავეჯის ფაბრიკაში დასაქმებული იყო 20 კაცი და წლიურად 18 000 მანეთის პროდუქციას უშვებდნენ.

სახერხი ქარხნების ერთი ჯგუფი მოხერხებულად იყო განლაგებული მადათოვის კუნძულზე, რომელიც მდ. მტკვარზე დაცურებული ხე-ტყით კარგად მარაგდებოდა[10]. აქ მომუშავე, დაახლოებით 20 კაციანი, სახერხები წლების განმავლობაში წარმატებით მუშაობდნენ და ქალაქს საჭირო მასალით ამარაგებდნენ. მაგალითად, ერთერთი სახერხი, რომელიც მადათოვის კუნძულზე 1900 წელს გაიხსნა[11], 1902 წლის, როგორც ფაბრიკულ-ქარხნული

------------

9

თითოეული ქარხნის მაჩვენებლები შემდეგი იყო:

| მუშათა რაოდენობა | დამზადებული პროდუქციის ღირებულება |
|---|---|
| 20 | 87 500 მანეთი |
| 21 | 55 000 " |
| 12 | 77 200 " |
| 10 | 25 000 " |
| 10 | 16 000 " |
| 9 | 30 000 " |
| 8 | 25 000 " |

10 მადათოვის კუნძული კონსტანტინე ბაგრატიონმუხრანსკის მამულებში შედიოდა. თბილისის გუბერნიაში იგი ყველაზე მსხვილ მიწისმფლობელად ითვლებოდა. მას 35 ათას დესეტინამდე მიწის ფართობი ეკუთვნოდა. მადათოვის კუნძულს მან ქვის კედელი შემოავლო, ააგო რამდენიმე სახლი, ქვისაგან სახერხი ქარხნები და სხვადასხვა დამხმარე ნაგებობანი Газ."Кавказ", 1895, № 71, с.2.

11 სსცია, ფ. 204, საქ. 1142; Адресная книга фабрично-заводской и ремесленной промышленности всей России 1905 г. под ред. А.В.Погожева. СПб., с.161.

საწარმო, საფაბრიკო ინსპექციას დაუქვემდებარეს. მას გააჩნდა 25 ძალის ორთქლის ქვაბი, 2-ჩარჩოიანი და 3-წრიული დაზგა[12]. 1903 წ. ქარხანაში მუშაობდა 21 კაცი და დაამზადა 55 000 მან. პროდუქცია[13], 1908 წელს – 72,800 მანეთისა[14]. ქარხანა წარმატებით აგრძელებდა მუშაობას და 1910 წელს მის მიერ დამზადებული პროდუქციის ოდენობა 80 000 მანეთამდე გაიზარდა[15].

რაც შეეხება ხელოსნურ წარმოებას, ზემოთ დასახელებული წყაროს მიხედვით 1903 წ. თბილისის ხელოსანთა საერთო რაოდენობა 12 650 კაცს აერთიანებდა, ხელოსანთა სიმრავლით მეპურეებისა და ზეინკლების შემდეგ დურგლები მიდიოდნენ და მათი რიცხვი 1 032-მდე აღწევდა (364 ოსტატი, 270 – ქარგალი, 398 მოწაფე). ხის დამმუშავებელი დარგის სხვა ხელოსნებიდან თბილისში მუშაობდა: ხურო – 505, მეკასრე – 134, მებორბლე – 27, ეტლების დამამზადებელი – 157, ზანდუკის დამამზადებელი – 31[16].

XX ს. დამდეგს ქალაქის მშენებლობის გაფართოებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გამრავლდა აგურის საწარმოები და სახერხები. მანქანური წარმოების დანერგვის მიუხედავად, ხელის ხერხების დიდი რაოდენობა მუშაობდა. 1900 წელს თბილისში 55 ხელის სამხერხაო მოქმედებდა 178 ათასი მან. წლიური ბრუნვით და 292 მუშით. როგორც ვხედავთ, თითო საწარმოზე 5–6 მუშა მოდიოდა. გარდა ამისა, ქალაქში ხის დამმუშავებელი მრავალი სახელოსნო იყო: ავეჯის – 13, სადურგლო – 144, პარკეტის – 1, ფირფიცრის – 3, კასრების – 29 და ა.შ.[17]. ეს საბუთი შეიძლება სიზუს-

---

12 ЦГИАУ, ф.2090, д.288, л.29.
13 ЦГИАУ, ф.2090, д. 93, л.15.
14 Список фабрик и заводов в Российской империи, под редакцией В.Е.Варзора, 1912, СПб., с.189.
15 ЦГИАУ, ф.2090, д.288, л.29.
16 სსცია, ფ. 12, აღ. 16, საქ. 168, ფ. 101.
17 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს., ტ. V, 1962, გვ. 327.

ჯეს მოკლებულია, მაგრამ წარმოდგენას მაინც გვიქმნის თბილისის ხელოსნურ წარმოებაზე. განსაკუთრებით რიცხვმრავალი იყო და ზრდის ტენდენციას ამჟღავნებდა სადურგლო სახელოსნოები, რაც 1903 წლის მონაცემებიდან კარგად ჩანს. აქ მომუშავე შეგირდების რაოდენობა 400-მდე აღწევდა.

მოტანილი რაოდენობრივი მაჩვენებლები მოწმობს, რომ თბილისის ხის დამმუშავებელ მრეწველობაში მთლიანად (ფაბრიკულ-ქარხნულსა და ხელოსნურში) საკმაოდ მრავალრიცხოვანი მუშახელი იყო გაერთიანებული.

სამრეწველო საწარმოთა აღწერების მიხედვით სახერხ ქარხნებში სამუშაო დრო 8–9 საათია ნაჩვენები, ავეჯის ფაბრიკაში – 10 საათი[18]. აქვე მითითებულია, რომ თითქოს ზედმეტი მუშაობა არ მიმდინარეობდა. იგივეს იმეორებს საფაბრიკო ინსპექტორი პისარენკო, რომელსაც სამუშაო დროის ხანგრძლივობის საკითხი მოწესრიგებულად მიაჩნია. ამავე ანგარიშში ქვემოთ ნათქვამია, რომ საკმაოდ გავრცელებულია დამატებითი მუშაობა, რითაც მუშების წლიური შემოსავალი იზრდება. ცხადია, კანონი სამუშაო დროის შესახებ (1897 წ. 2 ივნისი) არ ეხებოდა საზეგანაკვეთო მუშაობას, რომლის შესახებაც ვ.ი. ლენინი აღნიშნავდა: "ამიტომ სინამდვილეში მეფაბრიკე ოდნავადაც არ არის შეზღუდული თავის "უფლებაში" მუშები უზომოდ დიდხანს ამუშაოს, თუნდაც 24 საათს დღე-ღამეში"[19]

თბილისის საწარმოთა მუშებისათვის სამუშაო დროის ხანგრძლივობა ფაქტიურად განუსაზღვრელი იყო და საწარმოს მეპატრონე მას თავისი სურვილისამებრ აწესებდა.

სახერხი ქარხნებისა და საავეჯოს მუშების ხელფასი შესასრულებელი სამუშაოს სიდიდეზე და მის ხასიათზე იყო დამოკიდებული. თვიურად საშუალო ხელფასები ასე ნაწილდებოდა:

უფროსი მხერხავი იღებდა – 25–45 მანეთს
უმცროსი " " – 20–35 "

-----------

18 სსცია, ფ. 12, ანაწ. 16, საქ. 168, ფ. 88.
19 ვ.ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., გამოც. IV, ტ. 2, 1954, გვ. 343.

დამხმარე მხერხავი იღებდა - 17-19 მანეთს
შავი მუშა " " - 14-16 "
მემანქანე " " - 40-60 "
ცეცხლფარეში " " - 20-25 "

ავეჯის ფაბრიკის მომუშავენი თვეში იღებდნენ: უფროსი ხელოსანი- 50 მან.; ქარგალი - 30-35 მან., მოწაფე - 7 მან. 50 კაპ. (დღეში - 30 კაპ). ხელფასი ყოველი კვირის ბოლოს ეძლეოდათ[20]. საფაბრიკო ინსპექტორი იძულებული იყო ეჩვენებინა არსებული მდგომარეობა და აღენიშნავდა: "მუშის ხელფასი არ აღწევს იმ დონემდე, რომ მან ოჯახი უზრუნველყოს პურით, საარდბყოფით და სკოლით. ცხადია, ლაპარაკი გართობა-დასვენებაზე არ შეიძლება. მუშის ხელფასის დონე მხოლოდ იმ არსებით მოთხოვნას აკმაყოფილებს, ურომლისოდაც ცხოვრება შეუძლებელია"[21]. ხელფასი მუშას საკუთარი თავისა და ოჯახის გამოსაკვებადაც არ ყოფნიდა.

ავეჯის ფაბრიკაში განსაკუთრებით მძიმე სამუშაო პირობები იყო. მუშები შრომობდნენ ბნელ, უჰაერო, ტექნიკურად გაუმართავ ვიწრო შენობაში, სადაც ელემენტარული ჰიგიენური წესებიც კი არ იყო დაცული. სივიწროვე და უჰაერობა ზამთარში, როცა კარ-ფანჯარა იხურებოდა, უფრო მეტად იგრძნობოდა. შრომის ასეთი პირობები მუშების ჯანმრთელობაზე დამღუპველად მოქმედებდა[22]. ამ მხრივ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ სახერხების მუშები. სამუშაოს ხასიათისა და ადგილობრივი კლიმატური პირობების წყალობით, მათ მუშაობა სუფთა ჰაერზე უხდებოდათ, რადგან სახერხების უმეტესობა მოთავსებული იყო აგურის ოთხ ბოძზე დაყრდნობილი გადახურული ფარდულის ქვეშ.

როგორც ფაბრიკაში, ასევე სახერხებში მუშებს ძალიან ცუდად, უხეშად ექცეოდნენ, ამას მოწმობს მათი მრავალრიცხოვანი საჩივრები. მუ-

------------

20 სსცია, ფ. 12, ანაწ. 16, საქ. 168, ფვ. 88.
21 ЦГИАУ, ф.2090, д.88, л.9.
22 სსცია, ფ. 275, საქ. 28, ფვ. 5
ფ. 275, საქ. 69, ფვ. 23.

შრომის პროცესში უსაფრთხოების არავითარი წესები არ იყო გათვალისწინებული და დაცული. ამის გამო ხშირი იყო მუშების ფიზიკური დასახიჩრება და სიკვდილიანობა[23]. თბილისის სამრეწველო საწარმოებში უსაფრთხოების შესამოწმებლად საფაბრიკო ინსპექტორს, პისარენკოს აღუძრავს შუამდგომლობა გუბერნატორთან, რომელმაც პისარენკოს თავმჯდომარეობით გამოყო ტექნიკური კომისია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით პისარენკო კარგად გრძნობდა ამ ღონისძიების უშედეგობას. იგი ამის შესახებ თავის ანგარიშში პირდაპირ აცხადებდა: "როცა კანონით თავს მყარად არ ვგრძნობ, ძნელია ფაბრიკანტებისა და მექარხნეების კომერციულ ანგარიშებთან და გულგრილობასთან ბრძოლა. ამავე დროს მუშების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების უგულვებელყოფა, საექიმო დახმარების არ არსებობა და მათი ასეთი მძიმე მდგომარეობა, მუშების სამართლიან აღშფოთებას იწვევს"[24]

მუშებისათვის საექიმო დახმარება სრულიად მოუწესრიგებელი იყო. ავადმყოფ მუშას, რომელიც საექიმო დახმარებას საჭიროებდა, საწარმოს მეპატრონე სამუშაოდან ითხოვდა და ბედის ანაბარად ქუჩაში ტოვებდა. ავადმყოფობის დროს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდნენ ოჯახის მარჩენალი მუშები[25].

მუშების მცირე ნაწილი ქარხნის ახლოს საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობდა. ეს ბინები როგორც მოწყობილობით, ისე ჰიგიენური პირობებით სავსებით არადამაკმაყოფილებელი იყო, მეტი წილი სხვენში ან ბნელ, ვიწრო საკუჭნაოში იყო მოთავსებული, რომელსაც მიწის იატაკი და გაჭვარტლული ჭერი ჰქონდა. მუშების უმრავლესობა, განსაკუთრებით ოჯახის პატ-

----------

23 ЦГИАУ, ф.2090, д.I32, л.38,39, д.I07, л.5,д.65, л.I4.
ფ.275, საქ. 176, ფ. 24, 81, 98, 113.
ფ. 276, საქ. 54.

24 ЦГИАУ, ф.2090, д.88, л.I4.

25 სსცია, ფ. 12, ან. 16, საქ. 168, ფვ. 106.

როწები, ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ნაქირავებ, კერძო ბინებში ცხოვრობდნენ[26], რომელსაც ქირაობდნენ აულაბარში, ნავთლუღში, ხარფუხსა და ნაძალადევში. მაგ. ხარფუხში ოჯახის პატრონს, მუშას შეეძლო ბინის დაქირავება თვეში 3 მან. 50 კაპ. – 4 მან. 50 კაპიკამდე. იგი ფაქტიურად წარმოადგენდა ერთ ოთახს სამზარეულოსა და ონკანის გარეშე. ოთახში რკინის ღუმელს გასათბობად და საჭმლის დასამზადებლად დგამდნენ. ამგვარ ოთახში ხშირად 5–6 მარტოხელა მუშა ცხოვრობდა. მათი საცხოვრებელი ძალიან უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ყველგან უწესრიგოდ ეყარა ლეიბები, საბნები, ბალიშები, მაგიდაზე – საჭმლის ნამცეცები. იატაკი ჭუჭყიანი იყო. ოთახი არ ლაგდებოდა და მუშების სამუშაოდან დაბრუნებამდე დაკეტილი იყო. თითო მუშას თვეში ბინის ქირა 60 კაპ-მდე უწევდა. ნაძალადევშიც იგივე ფასები იყო, მაგრამ უარესი სახლები. ზოგიერთი ოთახის დაქირავება თვეში 2 მანეთადაც შეიძლებოდა, მაგრამ ძალიან ცუდი პირობები იყო. აულაბარში შედარებით უკეთესი ბინები იყო და მათი ფასი 6 მანეთამდე აღწევდა[27].

მუშას ბინის ქირა და კვება დღეში დაახლოებით 90 კაპ-მდე უჯდებოდა. თვეში – 20–25 მან-მდე. ხშირად მათი ცოლები მრეცხავებად მუშაობდნენ და ამ გზით 40 მანეთამდე დამატებით შემოსავალს იღებდნენ. უცოლო კაცი საჭმელზე დღეში სულ ცოტა 45 კაპიკს ხარჯავდა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ სახელოსნოს შეგირდები. ისინი, როგორც წესი, სახელოსნოში ცხოვრობდნენ, რომელიც არ თბებოდა და ყოველთვის ცივი და ნესტიანი იყო. შეგირდს თუ ლოგინი არ გააჩნდა, პირდაპირ იატაკზე იძინებდა. მისი დღიური ხელფასი 20–30 კაპ. შეადგენდა. სამუშაო დღე განუსაზღვრელი იყო. ამას ემატე-

---

26 სსცია, ფ. 12, ან. 16, საქ. 168, გვ. 88

27 იქვე, გვ. 110.

მორა ოსტატის უხეში მოპყრობა, უმიზეზო ცემა-ტყეპა. "Это одна из причин того, что во всех стачках и беспорядках,имевших место в г.Тифлисе, ученики-подростки играли одну из видных преобладающих ролей, являясь всегда застрельщиками всех беспорядков" - ნათქვამია წყაროში[28].

საფაბრიკო ინსპექტორი, პისარენკო ყურადღებას ამახვილებს რა მუშებსა და მეფაბრიკეებს შორის უკმაყოფილების გამომწვევ ძირითად მიზეზებზე, ამავე დროს იძულებულია აღიაროს და თვალნათლივ აჩვენოს ის აუტანელი პირობები, რომელშიაც მუშები იმყოფებოდნენ. მუშათა საჩივრები ხშირი იყო სამუშაოდან ვადაზე ადრე დათხოვნის, ხელფასის დაკავებების ან დაგვიანებისა და საერთოდ მათ მიმართ უხეში; ცუდი მოპყრობის გამო[29].

ხელფასის დაკავების ან დაგვიანების შემთხვევაში მუშას შეეძლო სასამართლოსათვის მიემართა. პისარენკო თვით აღნიშნავს ამ კანონის უვარგისობას; "მუშას ესმის, რომ გამომუშავებული ხელფასის მიღება არის არსებითი და სამართლიანი მოთხოვნა. მას კი სასამართლოში აგზავნიან, სადაც მის საჩივარს მომრიგებელი მოსამართლე ერთი ან მეტი წლის შემდეგ განიხილავს. ამგვარი წესი მუშას სასტიკად აღიზიანებს"[30]. პისარენკო ამგვარი საჩივრების ადგილზე სასწრაფოდ განხილვა-გადაწყვეტას მოითხოვდა.

საწარმოს მეპატრონე მუშებს მათ მიერ ბრძოლით მოპოვებულ, ისედაც მცირე შეღავათებს ხელიდან აცლიდა. მეპატრონე არღვევდა ანგარიშსწორების სწორად წარმოების წესებს, არღვევდა კანონს მცირეწლოვანთა შრომის გამოყენებასთან დაკავშირებით, არ იცავდა მუშის დაქირავების წესებს. არსებული კანონები ისედაც მეტად ბუნდოვანი იყო და ხვრელს ტოვებდა მეფაბრიკეთა სასარგებლოდ.

-----------

28 სსცია, ფ. 12, აღ. 16, საქ. 168, ფ. 103.
29 ЦГИАУ, ф.2090, д.288, л.22, 30, 49.
30 იქვე.

1903 წლიდან საქართველოს მოძრაობა კიდევ უფრო გაიშალა. მუშათა მზა-რდმა რევოლუციურმა მოძრაობამ დღის წესრიგში დააყენა ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნის აუცილებლობა. 1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვებს რსდმპ თბილისის კომიტეტი ხელმძღვანელობდა. ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან ერთად გაფიცვებში სახელოსნოების მომუშავენიც მონაწილეობდნენ. ივნისის ბოლოს და ივლისის დასაწყისში ორგანიზებული გაფიცვა ჩაატარეს ქალაქის მშენებლობაზე მომუშავე მუშა-ხელოსნებმა. პუშკინის ქუჩაზე შეკრებილი 400-მდე ხელოსანი - ხუროები და ქვის მთლელები ერთხმად მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების გათავისუფლებას, სამუშაო დღის შემცირებას, ხელფასის გადიდებას. თბილისის ხელოსანთა სამმართველოს უფროსმა მოითხოვა პოლიციის ზედამხედველობის დაწესება ხუროების მამასახლისზე - გიგო როსტომაშვილზე[31].

1903 წ. 12 ივლისიდან თბილისში მუშათა გაფიცვებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო, გაიფიცნენ სახერხი ქარხნების მუშებიც[32]. ისინი მოითხოვდნენ სამუშაო დღის შემცირებას, ხელფასის გაზრდას, შესვენების საათების გამოყოფას, სამუშაო შენობის გაუმჯობესებას, სამედიცინო დახმარებას, სასკოლო საქმის მოწესრიგებას.

პოლიციისა და საფაბრიკო ინსპექციის ჩარევა მუშათა მოძრაობას ვერ აჩერებდა. მეფის ხელისუფლება რევოლუციის თავიდან ასაცილებლად, შეეცადა გამოსავალი იმით მოეძებნა, რომ გადაესინჯა მუშათა შესახებ კანონმდებლობის მუხლები და მცირეოდენი დათმობის გზით ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინა მუშათა შრომის პირობები. საფაბრიკო ინსპექტორი იძულებული იყო თავის ანგარიშში გაენცხადებინა ის ფაქტი, რომ ამ მცირე დათმობით ვერაფერს ვერ მიაღწევდნენ, რომ მუშათა გაფიცვების მიზეზი მუშების მდგომარეობის თანდათანობით გაუარესებაში იმალებოდა. მუშათა კლასის აღმავალ ბრძოლებს, მათ სწრაფვას უკეთესი მომავლისათვის ვეღარაფერი შეაჩერებდა.

-----------

31 სსცია, ფ. 17, საქ. 4862, გვ. 4.
32 იქვე, საქ. 4873, გვ. 6.

К.Д.Мушкудиани

# ДЕРЕВООБРАБАТЫВАЮЩАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ И ПОЛОЖЕНИЕ РАБОЧИХ В ТБИЛИСИ В 1903 Г.

## Р е з ю м е

С начала XX века отмечается рост забастовочного движения. Социал-демократические организации Грузии руководили революционной борьбой рабочих. В забастовках участвовали и рабочие деревообрабатывающей промышленности.

С 1902 г. в Тбилиси начала действовать фабричная инспекция, которая фактически выполняла полицейские функции. В архивных фондах фабричной инспекции хранятся материалы и о деревообрабатывающей промышленности Тбилиси, о положении в ней рабочих. По этим данным изучено состояние рабочих и их забастовочная борьба, направленная против капиталистов и царизма. Рабочие требовали: 8-часовой рабочий день, прибавку зарплаты, улучшение условий труда, введение медицинской помощи и т.д. Всеобщими забастовками 1903 г. руководил Тбилисский комитет РСДРП.

მ. ჩუბინიძე

# ადელხანოვის ტყავისა და მაუდის საწარმოთა მუშების მდგომარეობა და რევოლუციური ბრძოლა XX ს. დასაწყისში

რეფორმის შემდგომ ხანაში საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბებამ დაქირავებული მუშახელის სწრაფი ზრდა გამოიწვია. მანქანური წარმოების მასიურ დანერგვას კი ჩვენში სამრეწველო პროლეტარიატის შექმნა მოჰყვა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა მუშათა კლასი, რომელსაც ისტორიამ უდიდესი მნიშვნელობის საქმე დააკისრა – გამხდარიყო მშრომელი და დაჩაგრული მასების რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი, კლასი, რომელსაც უნდა მოესპო ადამიანთა ექსპლუატაციაზე დამყარებული წყობილება და ახალი კომუნისტური საზოგადოება აეშენებინა[1]

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებისა და მასთან დაკავშირებით მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაშუქებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის ცალკეული დარგების ჩასახვა-განვითარების შესწავლას, მათ შორის ტყავის დამმუშავებელი წარმოების ისტორიის შესწავლას, მასში დაქირავებული მუშების მდგომარეობის, შრომის პირობების და რევოლუციური ბრძოლის ჩვენებას. მრეწველობის ეს დარგი სხვებთან შედარებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წარმოების სიდიდითა და მრავალრიცხოვანი მუშახელით.

ტყავის დამმუშავებელი მრეწველობის დაწინაურება რეფორმის შემდგომ პერიოდში თვალნათლივ შეიმჩნევა. წვრილ საწარმოთა გვერდით ჩნდება მანუფაქტურული წარმოება, რომელსაც ცვლის მანქანური წარმოება. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კაპიტალისტ გ. ადელხანოვის ტყავის, მაუდისა და ფეხსაცმლის წარმოება.

-------------

1 საქართველოს ისტორია, თბ., 1958, ტ. I, გვ. 563.

ადელხანოვის ტყავის დამმუშავებელი ქარხანა 1875 წ. გაიხსნა თბილისში. 80-იან წლებში ჩატარებული შემოწმების შემდეგ ინჟინერ-ტექნოლოგი ს. გულიშამბაროვი ამ ქარხნის შესახებ წერდა: "Завод этот поставлен превосходно и смело может быть назван вполне европейским заводом"[2].

1885 წელს ადელხანოვმა ტყავის ქარხანასთან გახსნა ფეხსაცმლის დამამზადებელი სახელოსნო, რომელიც მალე მსხვილ მექანიკურ საწარმოდ იქცა, სადაც 150-მდე კაცი მუშაობდა. შემდგომ წლებში წარმოება კიდევ უფრო გაფართოვდა და ტექნიკური სიახლენი დაინერგა.

1895 წ. ადელხანოვის წარმოებას ქუჩის ფაბრიკაც მიემატა. 1899 წლის მონაცემებით აქ სხვადასხვა ეროვნების 300-მდე მუშახელი იყო დასაქმებული.

1896 წლიდან, როცა ზემოთ აღნიშნული საწარმოები ადელხანოვის მიერ დაარსებულ "კავკასიაში ტყავისა და ქუჩის წარმოების სააქციო საზოგადოებაში" გაერთიანდა, ტყავის დამმუშავებელი ქარხნის წლიური ბრუნვა და მუშათა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. 1900 წ. 215 მუშამ 740 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადა[3].

XIX ს. ბოლოს აღნიშნულმა სამრეწველო გაერთიანებამ თბილისის მსხვილ საწარმოთა შორის წამყვანი ადგილი დაიკავა. შემდგომ წლებში მისი მოქმედება კიდევ უფრო გაფართოვდა. თუ 1880 წ. აღნიშნულ წარმოებაში დასაქმებული მუშების რიცხვი 150 კაცს უდრიდა, 1903 წლისათვის – 910-მდე გაიზარდა; ე.ი. 23 წლის მანძილზე მუშათა რაოდენობა 6-ჯერ გაიზარდა[4].

ადელხანოვის ქარხნებში მომუშავეთა მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. აუტანელი სამუშაო პირობები და მწვავე ექსპლუატაცია მუშებს

------------

2 С.Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисокой губ., 1888, с.99-100.

3 გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი, 1864–1917, თბ., 1976, გვ. 265.

4 საისტორიო მოამბე, N 10, 1959, გვ. 213.

უკიდურეს მდგომარეობაში აგდებდა.

1903 წლის ოფიციალური მონაცემებით ადელხანოვის ქარხნებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა ზამთარში 10 საათს, ზაფხულში 11 საათს შეადგენდა[5]. სამუშაოზე დაგვიანებისათვის ჯარიმები იყო დაწესებული. ცხადია, მუშებს დადგენილ დროზე მეტ ხანს ამუშავებდნენ. ამას მოწმობს გაზ. "ბრძოლის" და "ლისტოკ პროლეტარიატის" მონაცემები, რომლის მიხედვით ამ წარმოებაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა 14-15 საათს უდრიდა[6]. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა მომდევნო წლებში.

მაგ., 1914 წ. საფაბრიკო ინსპექციის მიერ ერთ-ერთი საწარმოს შემოწმების შემდეგ გამოირკვა, რომ სამუშაო დღის ხანგრძლივობა 13-14 საათს უდრიდა[7]. სამუშაოს სიმძიმის მიუხედავად მუშებს მეტისმეტად მცირე ხელფასი ეძლეოდა. 1900 წ. ტყავის ქარხნის მუშების თვიური ხელფასი მერყეობდა 14-დან 26 მანეთამდე, ქალის ხელფასი 12-17 მანეთამდე, ხოლო მოზარდისა - 5-7 მანეთამდე[8].

1902-1906 წლების მონაცემების მიხედვით ქარხანაში მომუშავეების: მთრიმლავის, გამომყრელის, გამწყობის, მეინკლის საშუალო დღიური ხელფასი 70 კაპიკიდან 1 მან. 80 კაპიკამდე მერყეობდა. განსაკუთრებით დაბალ ხელფასს იღებდნენ მოზარდები და ქალები. მოზარდის დღიური ხელფასი 27 კაპიკიდან 57 კაპიკამდე მერყეობდა, ქალის ანაზღაურება საშუალოდ 60-72 კაპიკს შეადგენდა[9].

---------------

5 საისტორიო მოამბე № 10, 1959, გვ. 104.

6 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოება და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 385.

7 სსცა, ფ. 275, აწ. 1, საქ. 219, ფურც. 5; გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 528.

8 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 23.

9 საისტორიო მოამბე, № 10, 1959, გვ. 200.
1902-1906 წწ. დღიური ხელფასის განაკვეთები:

ადელხანოვის ტყავის და ქეჩის ქარხნებში განსაკუთრებით ფართო გამოყენება ჰქონდა მოზარდთა და ქალთა შრომას. ინდივიდუალური მონაცემე-ბით მოზარდთა დასაქმება წლების განმავლობაში მნიშვნელოვან რაოდენო-ბას შეადგენდა. მაგ., 1902 წ. მათი რიცხვი 100-ს უდრიდა, 1903 წ. - 126-ს, 1904 წ. - 104-ს შეადგენდა[10].

მაშინ, როცა მოზარდებისა და ქალების სამუშაო დღის ხანგრძლივობა მამაკაცთა სამუშაო დღეს უტოლდებოდა, ქალთა და მოზარდთა ხელფასის გა-ნაკვეთი სრულასაკოვან მუშების ხელფასზე გაცილებით დაბალი იყო.

სამუშაოების სირთულესთან ერთად ხელფასის სიმცირე მუშების სა-მართლიან აღშფოთებას იწვევდა. სწორედ ხელფასის დაკლება იყო 1899 წლის 3 ივლისს ადელხანოვის ქარხნის მუშების გაფიცვის მიზეზი. ამის შესახებ გაზეთ "ივერიის" გამოუქვეყნებელი კორესპონდენცია, რომელიც ცენზურამ დაკავა, შემდეგ ცნობას გვაწვდის: "აგერ ეს მეორე კვირა გადის, რაც ადელხანოვის ჩექმის ქარხნის მუშებმა საქმეს თავი დაანე-ბეს. მიზეზი თავის დანებებისა შემდეგია: დღემდის მეჩექმე ხელოსნები

------------

ტყავის ქარხანა

| | | |
|---|---|---|
| მთრიმლავი | - 67 კაპიკიდან - | 1 მან. 60 კაპიკამდე |
| გამწყობი | - 70 " | 1 მან. 80 " |
| გამომშრელი | - 70 " | 1 მან. 60 " |
| მეინჯალი | - 70 " | 1 მან. 60 " |
| მოზარდი | - 27 " | 0 მან. 57 " |

ქეჩის განყოფილება

| | | |
|---|---|---|
| მეინჯალი | - 1 მან. 60 კაპიკიდან - | 1 მან. 80 კაპიკამდე |
| მ უ შ ა | 80 " | 1 მან. [illegible] " |
| ქ ა ლ ი | 52 " | 72 " |

ფეხსაცმლის განყოფილება

| | | |
|---|---|---|
| ოსტატი, ხელოსანი | - 80 კაპიკიდან - | 1 მან. 60 კაპიკამდე |
| დამამზადებელი | - 1 მანეთიდან - | 1 მან. 80 კაპიკამდე |
| ქ ა ლ ი | 60 კაპიკიდან | 72 კაპიკამდე |
| მოზარდი | 35 კაპიკიდან | 82 კაპიკამდე |

10 საისტორიო მოამბე, № 10, 1959, გვ. 216.

თითო წყვილის ფეხსაცმელზე ამ შაურს იღებდნენ მექარხნისაგან, ხოლო უკანასკნელ ხანებში... წყვილზე რჩება ოსტატებს სულ 39 კაპ. რასაკვირველია, ამგვარი მცირე საფასურის აღებით ცხოვრება მეტად ძნელია. საშუალოდ ხელოსანს შეუძლია ერთი წყვილი გააკეთოს და რასაკვირველია 7 შაურით ცხოვრება მეტად ძნელია ჯერ ერთი კაცისათვის და აბა, ადელხანოვის ქარხანაში მომუშავე ხელოსნები კი მეტი წილი შეუღლებული და ცოლ-შვილიანი არიან"[11].

როცა საგაფიცვო მოძრაობა ჯერად შემდ. დროეჩული და ერთსულოვანი არ იყო და მეპატრონე ხედავდა მის წარუმატებლობას, ამ უკანასკნელს მუშები ყოველთვიური ანაზღაურებიდან სანარდო გარიგებაზე და დღიურ ხელფასზე გადაჰყავდა, რითაც ექსპლუატაციის დონეს აძლიერებდა. მაგ., ადელხანოვმა ფეხსაცმლების ფაბრიკაში დღიურ ხელფასზე მომუშავე 78 კაციდან მუშას გამოუცხადა: "სამუშაოზე უკლებლივ ყველა მუშები მიღებული იქნებიან, მაგრამ მიიღებენ არა დღიურ ხელფასს, არამედ უკვე დამტკიცებული ტარიფით გათვალისწინებულ დღიურ ხელფასს"[12].

მოზარდთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მიუხედავად, ადელხანოვის ქარხანასთან არავითარი სასწავლებლის მსგავსი არ არსებობდა. ამის შესახებ წყაროში ვკითხულობთ: "ადელხანოვის ფაბრიკაში, სადაც ბევრი მცირეწლოვანი მუშაობს და თვით მშობლებსაც კი ხშირად მოჰყავთ თან ბავშვები და აჩერებენ მათ ფაბრიკის დახუთულ და მოწამლულ ატმოსფეროში. ქალაქის სკოლებს არ შეუძლიათ მიიღონ სწავლის ყველა მსურველი და ძალიან ხშირად მუშათა ბავშვები წერა-კითხვის უცოდინარნი რჩებიან და ადრიან ბავშვობიდანვე შედიან ფაბრიკულ ცხოვრებაში, რაც უკიდურესად მავნე გავლენას ახდენს როგორც მათს ჯანმრთელობაზე, ისე მორალურ ვითარებაზედაც"[13]..

-------------

11 საისტორიო მოამბე, № 9, 1956, გვ. 195.

12 გ. მ ა რ ჯ ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 510.

13 საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ისტორიდან (XIX ს.), 1980, გვ. 95.

ტყავის დამმუშავებელ ქარხანაში მუშათა შრომის პირობები ისეთი მძიმე იყო, რომ ამის შესახებ თვით თბილისის გუბერნატორი 1903 წ. ანგარიშში მეფეს წერდა: "სამუშაო სადგომები უმეტესწილად არადამაკმაყოფილებელია... ადელხანოვის ჩულეულის ფაბრიკის ქვედა სართული სავსებით უვარგისია მუშაობისათვის. აქ ბნელა, რადგანაც ელექტრონის განათება, მაგრამ გაუთავებელი აორთქლებისაგან ამ შენობაში არაფრის დანახვა არ შეიძლება. საშინელი სინესტეა და, საერთოდ მუშაობისათვის ეს შენობა უვარგისია, განსაკუთრებით იმის გამო, რომ აქ დაუმონტირებია მრავალი მანქანა და ახალ მუშას ადვილად შეუძლია მოჰყვეს მანქანაში. იმავე მეპატრონის ტყავეულის ქარხნის შენობაც არაფრად არ ვარგა მუშაობისათვის – იქ გაწუწებული სიბნელის მეოხებით. ფეხსაცმლის ფაბრიკის შენობებში ფრიად სივიწროვეა. მუშები აქ მეტად მჭიდროდ არიან მიჯრილნი. ჰაერი ცუდია და ისიც მოწამლული, როგორც მუშათა სუნთქვით, ასევე საქონლის სუნით; ამ მხრივ განსაკუთრებით უვარგისია ქვედა სართული"[14].

ფეხსაცმლის ქარხნის მძიმე სამუშაო პირობების შესახებ წერდა გაზ. "ელვა": "აქ ერთობ დიდი სიბინძურეა. ეს ადგილი არის მტკვრის პირად, სარდაფში. ძირს ცემენტია დაგებული. შიგ საშინელი სინესტე დგას და ადამიანის ჯანმრთელობას მალე სპობს. ქარები, რევმატიზმი აქ ჩვეულებრივია. დილით რომ კაცი შედის გული უწუხდება, თავბრუ ეხვევა სანამ ერთი ნახევარი საათი გაივლიდეს, დახუთულ ჰაერს შეეჩვეოდეს... მუშები ნახევარზე მეტი დაავადებულია... სახარაზო განყოფილებაში მუშაობს 100-ზე მეტი კაცი; თუმცა ასეთს პატარა შენობაში ბევრი 20–40 კაცი თუ დაეტევა"[15].

მუშების ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა ანტისანიტარულ პირობებში მუშაობა. შრომის პროცესში ჰიგიენის ელემენტარულ დაცვაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სამუშაო შენობის ჰაერი ტყავის დამ-

-----------

14 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 385.
15 გაზ. "ელვა", 1906, № 25.

მუშავებელი სხვადასხვა ნივთიერებებით და ტყავის ანაორთქლით იყო მოწამლული. შენობა არ ნიავდებოდა, რაც მუშების ჯანმრთელობაზე დამღუპველად მოქმედებდა. მომუშავეთა უმრავლესობა ასეთი პირობების გამო დაავადებული იყო. გაზ. "ბრძოლა" მათ შესახებ წერდა: -მუშები აქ მუშაობენ ფეხზე მდგარი, მუხლებამდე კირიან წყალში; შედეგი - რევმატიზმის მწვავე ფორმები... 30 წლის ასაკამდე სრული სიბერე".

ქარხანაში მანქანებზე მომუშავეთა სიმრავლის და შენობის სივიწროვის გამო ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის არავითარი პირობა არ არსებობდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, "აქ თავმოყრილია მრავალი მანქანა და ახალ მუშას ადვილად შეუძლია მოჰყვეს მანქანაში". ასეთ მდგომარეობას თან ახლდა უბედური შემთხვევები, რასაც ქარხანაში ხშირი ადგილი ჰქონდა. ამას მოწმობს მუშათა უამრავი საჩივრები. მაგ., 1904 წ. 21 მარტს მატყლის საჩეჩი მანქანის წმენდა-დაზეთვის დროს მუშა ტასო ჯავახოვა ჩაითრია მანქანამ, რომელიც უგონოდ, თავგატეხილი და მძიმედ დასახიჩრებული გაიყვანეს საამქროდან[16]. ამ შრომის პროცესში დაზიანებული, ავადმყოფი მუშებისათვის არავითარი საექიმო დახმარება და მკურნალობა არ არსებობდა. სხვა საწარმოთაგან განსხვავებით, მართალია, ადელხანოვის ქარხანასთან არსებობდა ამბულატორიული ხასიათის საექიმო დახმარება, აფთიაქი, მაგრამ სინამდვილეში მას ფორმალური ხასიათი ჰქონდა და მუშებს პრაქტიკულად არავითარ მკურნალობას არ უწევდა.

მუშათა მძიმე სამუშაო და ეკონომიურმა პირობებმა, კაპიტალისტების თვითნებობამ, ცარიზმის კოლონიურმა ჩაგვრამ საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა კიდევ უფრო გააძლიერა.

1898-1900 წლებში საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის

------------

16 საისტორიო მოამბე, № 10, 1959, გვ. 216.

შეერთების შემდეგ ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ დაიწყო მუშათა ორგანიზებული და შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ეტაპი. რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ მუშებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის სწორი გზები მისცა.

1898–1900 წლების პერიოდში, როდესაც საქართველოს მუშათა მოძრაობა ახალ, უფრო მაღალ ეტაპზე ავიდა, მუშა რევოლუციონერთა პირველმა თაობამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთების საქმეში[17].

XX ს. დამდეგიდან საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციურმა ბრძოლებმა კიდევ უფრო ორგანიზებული და ფართო ხასიათი მიიღო.

1900 წლის აგვისტოს საყოველთაო გაფიცვებს თბილისში დასაწყისი მისცა რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშების დიდმა გაფიცვამ, რომელშიც 4 000-მდე მუშა მონაწილეობდა[18]. გაფიცვას სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ხელმძღვანელობდა. ამ გრანდიოზულმა გაფიცვამ დიდი გავლენა მოახდინა თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშებზე. მღელვარება და გაფიცვები დაიწყო ქალაქის თითქმის ყველა მნიშვნელოვან საწარმოში. მათ შორის გაიფიცნენ ადელხანოვის ქარხნის მუშები. გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა, მათი მოთხოვნები ნაწილობრივ დააკმაყოფილეს[19]. გაზეთმა "ბრძოლამ" დადებითი შეფასება მისცა ადელხანოვის ქარხნის მუშების რევოლუციურ გამოსვლებს და აღნიშნა, რომ სხვებთან ერთად ისინიც "არა ნაკლებ მედგრად იბრძოდნენ, გამხნევებულნი"[20].

1901 წლის სამრეწველო კრიზისით გამოწვეულმა მდგომარეობამ მასობრივი საპირველმაისო გამოსვლა გამოიწვია, რომელმაც ბიძგი მისცა საგაფიცვო მოძრაობის ახალ ტალღას თბილისში. ხელფასის სიმცირე, უსას-

---

17 საქართველოს ისტორია, ტ. II, 1962, გვ. 187.
18 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, 1972, გვ. 152.
19 საისტორიო მოამბე, № 9, 1956, გვ. 219, 224.
20 გაზ. "ბრძოლა", 1901, № 2-3.

რულო ჯარიმები, სამუშაო დღის სიგრძე, ანტისანიტარია, უბინაობა – კიდევ უფრო აძლიერებდა მუშათა ბრძოლებს. მუშათა გაფიცვებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო და თბილისის ყველა სამრეწველო საწარმო მოიცვა.

1901 წლის 22 აპრილს ჩატარებული დემონსტრაცია საქართველოში მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისს მოასწავებდა. ლენინური ისკრა ამის შესახებ აცხადებდა: "ის ამბავი, რომელიც კვირას, 22 – აპრილს მოხდა თბილისში, ისტორიულ ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის. ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა"[21].

1902 წლის მანძილზე ადელხანოვის საქციო საზოგადოების ტყავის დამამუშავებელ ქარხნებში კიდევ უფრო გახშირდა და გაძლიერდა საგაფიცვო ბრძოლები.

1902 წლის 29 აგვისტოს მუშაობის მძიმე პირობებისა და ხელფასის სიმცირის გამო მუშები გაიფიცნენ და მუშაობა შეწყვიტეს. ქარხნის ადმინისტრაცია იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და მუშებისათვის გაცდენილ დღეებზე ხელფასი აენაზღაურებინა, ამის შემდეგ მუშები შეუდგნენ მუშაობას[22]. ამავე წლის 7 ოქტომბერს გაფიცვა ტყავის ქარხანაში დაიწყო. პროტესტის ნიშნად გაფიცულებმა სამუშაო ადგილი დაარბიეს. მალე მათ ფეხსაცმლის განყოფილების მუშებიც შეუერთდნენ და გაერთიანებული მუშები დემონსტრაციის სახით გავიდნენ თბილისის ქუჩებში. პოლიციის დახმარებით მუშათა მღელვარება ჩაახშეს[23].

1903 წლის მუშათა საყოველთაო ბრძოლებში, რომელსაც უკვე რსდმპ თბილისის კომიტეტი ხელმძღვანელობდა, ადელხანოვის ქარხნის მუშები აქტიურად მონაწილეობდნენ. 1903 წ. ივნისში თბილისის პოლიცმეისტერი გუბერნატორისადმი წარდგენილ პატაკში შეშფოთებული იტყობინებოდა, რომ ადელხანოვის ქუჩის ფაბრიკის მუშების 2 ივნისის გაფიცვის შედეგად შე-

-----------

21 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, 1972, გვ. 160.
22 საისტორიო მოამბე, N 10, 1959, გვ. 74.
23 იქვე, გვ. 128.

წყდა ქუჩის წარმოება, რაც ბუნებრივია, გამოიწვევდა ფეხსაცმლის წარმოების შემცირებასაც[24].

გაფიცვა ივლისის თვეშიც გაგრძელდა. ივლისის საყოველთაო გაფიცვებში ადელხანოვის საწარმოთა ყველა მუშა მონაწილეობდა. გარდა იმისა, რომ მათ დამოუკიდებელი მოთხოვნები ქონდათ, მუშები სოლიდარობას უცხადებდნენ თბილისის სხვა ქარხნებში (მექანიკური, თამბაქოს, რკინიგზის სახელოსნოების და სხვა) გაფიცულ მუშებს და აცხადებდნენ, რომ ისინი არ დაიწყებდნენ მუშაობას მანამ, სანამ მუშათა საერთო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდებოდა და სხვა ქარხნების მუშებიც არ შეუდგებოდნენ მუშაობას[25]. როგორც ვხედავთ, მუშათა გაფიცვები საკმაოდ მაღალ დონეზე ტარდებოდა და ორგანიზებულ, შეგნებულ ხასიათს ატარებდა.

1905-1907 წწ. რევოლუციამ საქართველოში მძლავრი ხასიათი მიიღო. თბილისის მუშათა კლასის გამოსვლებს მხარში უდგნენ ადელხანოვის საწარმოთა მშრომელებიც[26].

1905 წლის დასაწყისში თბილისში გაფიცულ ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან ერთად იყვნენ ბოზარჯიანცისა და ადელხანოვის ქარხნის მუშებ . მიუხედავად იმისა, რომ სხვა საწარმოთა მუშებმა იანვარში გაფიცვა შეწყვიტეს და ძველი პირობებით შეუდგნენ მუშაობას, ადელხანოვისა და ბოზარჯიანცის ფაბრიკის მუშები 2 თებერვალს კვლავ განაგრძობდნენ გაფიცვას. მათ ადმინისტრაციას შემდეგი მოთხოვნები წაუყენეს: სამუშაო დროის შემცირება, ხელფასის გაზრდა, მუშათა ჩხრეკის გაუქმება და გაფიცვის მონაწილეობის დროს ხელფასის ანაზღაურება. გაფიცვა დიდხანს გაგრძელდა, მასში 900-ზე მეტი მუშა მონაწილეობდა[27].

გაფიცვებით შეშინებული ქარხნის მეპატრონე აქტიურ მუშებს სამუშაოდან ითხოვდა. 1906 წ. სექტემბერში ქუჩის ქარხნიდან გაათავისუფლეს

-----------

24 საისტორიო მოამბე, N 10, 1959, გვ. 128.

25 იქვე, გვ. 150.

26 უკრაინის ცსა, ფ. 2090, საქ. 128, ფურც. 87, 102.

27 იქვე, ფურც. 92-95.

90 კაცი, ტყავის ქარხნიდან – 70. მუშათა რევოლუციური აღმავლობის შიშით ადმინისტრაციამ სამუშაოდან გასტუმრებულ მუშებზე წინასწარ გასცა 3 თვის ხელფასი, რამაც სულ 12 000 მან. შეადგინა.

სამუშაოდან მუშათა გათავისუფლება მუშათა ახალი მღელვარების მიზეზი გახდა. 1907 წ. ადელხანოვის ქეჩის ქარხნიდან დაითხოვეს 41 მუშა, ფეხსაცმლის ქარხნიდან – 28. ამან მუშათა შორის უკმაყოფილება გამოიწვია. ქეჩის ქარხნის 152 და ფეხსაცმლის განყოფილების 400 მუშამ ქარხნის ადმინისტრაციას მოსთხოვა სამუშაოზე აღედგინა გათავისუფლებული მუშები ან მათთვის 3 თვის ხელფასი აენაზღაურებინა[28].

მუშები ქარხანაში გათავისუფლებულ მუშებთან ერთად გამოცხადდნენ, ადმინისტრაციას მოსთხოვეს 3 წლის სტაჟიანი მუშებისათვის აენაზღაურებინათ 3 თვის ხელფასი, ხოლო უფრო მეტი სამუშაო სტაჟის მქონე მუშებისათვის ყოველ ნამუშევარ წელზე – ერთი თვის ხელფასი. ადმინისტრაციამ მუშათა მოთხოვნაზე უარი განაცხადა და უწესრიგობის თავიდან აცილების მიზნით ქარხანა დახურა. საქმის გასარკვევად გამოცხადდა საფაბრიკო ინსპექციის უფროსი – პისარენკო. მან გათავისუფლებულ მუშებს თხოვა დაშლილიყვნენ, მაგრამ მათ მოთხოვნაზე უარი განაცხადეს, მოლაპარაკება გრძელდებოდა შემდეგ დღეებშიც, მუშაობა ქარხანაში დიდი ხნის განმავლობაში არ აღსდგა.

ჩვენ მიერ მოტანილი მონაცემები თვალნათლივ ასახავს თბილისის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო წარმოების მუშათა მძიმე მდგომარეობას და მათ შეუპოვარ საგაფიცვო ბრძოლებს. ადელხანოვის ტყავის დამმუშავებელი ქარხნების მრავალრიცხოვანი მუშები საქართველოს მუშათა კლასის, მებრძოლი პროლეტარიატის ერთ ნაწილს, მის ერთ-ერთ რაზმს შეადგენდნენ. ისინი თავის თანამოძმეებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ და თავისი წვლილი შეჰქონდათ რევოლუციის საბოლოო გამარჯვების საქმეში.

1905–1907 წლების რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მან უდიდესი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური

------------

28 უკრაინის ცსა, ფ. 2090, საქ. 128, ფურც. 96.

რევოლუციის მომზადებაში, რის შესახებაც ვ.ი. ლენინი ამბობდა: "1905 წლის "გენერალური რეპეტიცია" რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა"[29].

М.Ш.Чубинидзе

## ПОЛОЖЕНИЕ И РЕВОЛЮЦИОННАЯ БОРЬБА РАБОЧИХ КОЖЕВЕННЫХ И ВОЙЛОЧНЫХ ПРЕДПРИЯТИЙ АДЕЛЬХАНОВА В НАЧАЛЕ XX В.

### Резюме

В дореволюционной Грузии происходила концентрация производства, создавались крупные акционерные общества. Среди них своей активной деятельностью выделялось "Акционерное общество кожевенного и войлочного производства на Кавказе Г.Г.Адельханова", в распоряжении которого был ряд предприятий: кожевенный завод, войлочная фабрика и отделение готовой обуви. Многочисленные рабочие, занятые на этих предприятиях, особо жестоко эксплуатировались. Тяжелые производственные условия, минимальная зарплата, продолжительность рабочего дня, частые штрафы и отсутствие врачебной помощи вызывали недовольство среди рабочих.

В начале XX века под руководством социал-демократии развернулось массово-организованное забастовочное движение. В 1900 г. бастовали рабочие фабрики Адельханова. В последующие годы, наряду с расширением стачечной борьбы, во всеобщее движение включились и рабочие кожеобрабатывающих заводов. В рабочем движении активно участвовали 900 рабочих с предприятий Адельханова. Их борьба особенно усилилась в бурный период революции 1905-1906 годов.

Рабочие кожевенных и войлочных заводов составляли один из отрядов рабочего класса Грузии. Они активно участвовали во всеобщей революционной борьбе и вносили свой вклад в дело окончательной победы революции.

-------------

29 ვ.ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 1.

ნ. ს ე ს ა ძ ე

# სოციალ-რეფორმიზმი მონოპოლიების სამსახურში

უმუშევრობა კაპიტალისტური წარმოების წესის მუდმივი თანამგზავრია.

სამრეწველო სარეზერვო არმიის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებანი აღმოაჩინა და ყოველმხრივ დაასაბუთა კ. მარქსმა. მან დაამტკიცა, რომ უმუშევრობა წარმოადგენს კაპიტალის საყოველთაო კანონის მოქმედების შედეგს, კაპიტალის გაფართოებული კვლავწარმოების პირობას.

ანვითარებდა რა მარქსისტული თეორიის ამ აზრს, ვ.ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ "ჭარბმოსახლეობა... წარმოადგენს კაპიტალისტური მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას, ურომლისოდაც იგი ვერც იარსებებდა და ვერც განვითარდებოდა"[1].

მართლაც, კაპიტალისტური წარმოების დიალექტიკის მიხედვით თუ ჭარბი მოსახლეობა აუცილებელი პროდუქტია კაპიტალისტური დაგროვებისა, ეს "ჭარბი" მოსახლეობა, თავის მხრივ, ხდება კაპიტალისტური დაგროვების ბერკეტი, კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობისა და განვითარების პირობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ უმუშევრობის ზრდა საფრთხეს უქმნის კაპიტალიზმის სოციალურ-პოლიტიკური სისტემის არსებობას – მეორე მხრივ და გასაგები ხდება თუ რატომ ქმნის ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერება უმუშევრობის მრავალ კონცეფციასა და თეორიას, შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის "რეგულირებისა" და "დაძლევის" სხვადასხვა პროგრამებს (უმუშევრობის კეინსური თეორია, ნეოკლასიკური თეორია, უმუშევრობის სოციალურ-ინსტიტუციონალური თეორია და ა.შ.).

აღნიშნული თეორიები აშკარად თუ ფარულად ალამაზებენ კაპიტალიზმს, ასრულებენ მის სოციალურ დაკვეთას – დაიცვან კაპიტალისტური წარმოების

-----------

1 ვ.ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 210.

წესი, მიჩქმალონ მისი წინააღმდეგობანი.

უკანასკნელ ათწლეულში, მთელი რიგი კრიზისული ფაქტორის ზეგავლენით დასაქმების დაბალი დონე მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ქრონიკული გახდა და თითქმის აღარ რეაგირებს ბურჟუაზიულ იდეოლოგთა მიერ შემოთავაზებულ მასტიმულირებელ ღონისძიებებზე. საკმარისია, ითქვას, რომ თუ 1970 წ. აშშ-ს შრომისუნარიან მოსახლეობაში დაუსაქმებელი იყო 3 %, 1980 წ. უმუშევართა რიცხვი უკვე 8 % (8083 ათასი კაცი) შეადგინა, იაპონიაში შესაბამისად – 1 და 2,3 % (1130 ათასი კაცი), საფრანგეთში 0,9 და 4,8 (1408 ათასი კაცი)[2].

1980 წლის აპრილში უმუშევართა რიცხვი გფრ-ის შრომისუნარიანი მოსახლეობის 4,6 % შეადგინა, მაშინ როცა იგი 1790 წელს 0,7 % უდრიდა[3].

შექმნილ ვითარებაში მძიმე პრაქტიკული და თეორიული კრახი განიცადა უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის ბურჟუაზიულმა პროგრამებმა, კერძოდ კი კეინსისეულმა "რეცეპტებმა" – ერთობლივი მოთხოვნილების გლობალური რეგულირების მეთოდმა, რომლითაც ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ დასაქმების დონეზე, 70-იან წლებში ინფლაციური პროცესების მნიშვნელოვანი გაძლიერების პირობებში, კეინსისეულ ღონისძიებათა ფართო მასშტაბით გატარების ცდებმა და, პირველ რიგში, საბიუჯეტო დეფიციტის გზით სახელმწიფო ხარჯების გაზრდამ ინფლაციის ტემპების კიდევ უფრო დიდი მატება გამოიწვია.

კეინსისეული თეორიისა და ამ თეორიის ბაზაზე შემუშავებული პრაქტიკული ღონისძიებების სავალალო შედეგებმა გააძლიერეს კეინსისეული შეხედულებების კრიტიკა თვით ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ.

ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ 70-იანი წლების შუახანებში გაძლიერდა ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების ინტერესი სოციალ-რეფორმისტული ეკონომიკური თეორიისადმი, რომელმაც წინ წამოსწია ეკონომიკურ

---

2 IPW-Berichte, N1, 1981, S. 65.

3 Wirtschaft und Statistik, Stuttgart, 1978, N 5, S. 286.

პრობლემათა, უპირველეს ყოვლისა, დასაქმების პრობლემის გადაჭრის თავისებური გზა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ეკონომიკური პოლიტიკის ტრადიციული მიმართულებებისაგან.

"გლობალური რეგულირების" სოციალურ-რეფორმისტული კონცეფცია ნაკლებად არის შესწავლილი საბჭოთა ეკონომიკურ მეცნიერებაში[4], ამიტომ აღნიშნული კონცეფციის კრიტიკა კვლავაც რჩება აქტუალურ ამოცანად. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის "გლობალური რეგულირების" კონცეფციის კრიტიკული განხილვის ცდაა წინამდებარე სტატია.

სოციალ-დემოკრატებმა უარყვეს დასაქმებისა და ეკონომიკის არაპირდაპირი რეგულირების კეინსური პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება, შეიმუშავეს მთელი რიგი პროგრამები, რომლებშიც დასაქმების პრობლემის გადაჭრა დაუკავშირდა როგორც კაპიტალდაბანდების წახალისების პოლიტიკას, ასევე წინა პლანზე წამოიწია სოციალურმა, სტრუქტურულმა პოლიტიკამ, პოლიტიკამ შემოსავლების სფეროში, პოლიტიკამ ინფრასტრუქტურის სფეროში, აგრეთვე დაგეგმვის მეთოდებით ეკონომიკის მართვამ.

"გლობალური რეგულირების" კონცეფციის შემუშავებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის გფრ-ის ეკონომიკისა და ფინანსების ყოფილ მინისტრს კ. შილერს. იგი არ იზიარებდა როგორც საბაზრო ეკონომიკის ნეოლიბერალურ თეორიებს, ისე ცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპებს სოციალისტური ქვეყნების მაგალითის მიხედვით. შემუშავებულ იქნა ეკონომიკური განვითარების "მესამე გზა", რომელიც წარმოდგენილია გეგმაზომიერებისა და საბაზრო მექანიზმის ნაერთად.

გეგმაზომიერებისა და კონკურენციის ურთიერთკავშირის შესახებ წარ-

---

4 შეგვიძლია დავასახელოთ ამ საკითხისადმი მიძღვნილი რამდენიმე სტატია და ერთი მონოგრაფია: Паньков В.С. Эволюция экономических теорий западно-германской социал-демократии. "Вопросы экономики", 1976, № 5, с.113-123; Шепаев В.И. Экономическая платформа СДПГ "МЭИМО", № 6, 1975, с.55-56; Паньков В.С. Экономические теории социал-демократии. М., Мысль, 1980, с.223.

დგენა იქნებოდა ტრადიციული საპროგრამო დისკუსიის მსვლელობაში. ჯერ კიდევ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქ. დორტმუნდში მიღებულ მოქმედების პროგრამაში სოციალ-დემოკრატებმა გამოთქვეს აზრი სახალხო-სამეურნეო დაგეგმვისა და კონკურენციის კავშირის შესახებ. დაგეგმვაში იგულისხმებოდა ნაციონალური ბიუჯეტის ყოველწლიური შედგენა და მიმდინარე დაკვირვება მის შესრულებაზე, ხოლო კონკურენციაში – სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი კონკურენცია.

ორივე ამ პრინციპს (გეგმაზომიერება და კონკურენცია) სოციალ-დემოკრატები განიხილავენ, როგორც "ერთიანი ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ურთიერთშემავსებელ ნაწილებს[5].

"მესამე გზის" კონცეფციის არსი შემდეგი ფორმულით გამოხატა კ. შილერმა; "კონკურენცია – რამდენადაც შესაძლებელია და დაგეგმვა – რამდენადაც აუცილებელია", იგი საფუძვლად დაედო დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გოდესბერგის პროგრამის (1959 წ.) ეკონომიკურ ნაწილს. აღნიშნული მოსაზრება უფრო მეტად გაფართოებულ იქნა 1975 წ. მიღებულ დადგენილებაში: "სოციალ-დემოკრატების ეკონომიკური პოლიტიკის მიზანთა რეალიზაციისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოს ზეგავლენის, სტიმულირების, დაგეგმვისა და რეგულირების ყველა ხელსაყრელი ინსტრუმენტი". ბაზარს არ შეუძლია გადაწყვიტოს ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანები, როგორიცაა სრული დასაქმების, ვალუტის სტაბილურობის და მყარი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა[6].

ცხადია, დასავლეთ-გერმანელ სოციალ-დემოკრატთა იდეები ნაკლებად

-----------

5 Schiller K. Thesen zur praktischen Gestaltung unserer Wirtschafts politik aus sozialistischer sicht In: Die Wirtschaftsordung in christlicher und sozialistischer sicht. 1952. S 146.

6 „Ökonomisch-politischer orientierungsrahmen für die Jahre 1975-1985 in der vom Mannheimer Parteitag der SPD am 14 november 1975 Beschlossenen Fassung. hrsg Vorstand der SPD-Bonn. S. 41-43. c.u. (OR.-85)

რეალურია, რამდენადაც ხელუხლებელი რჩება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა საერთო საფუძველს.

სოციალ-დემოკრატთა "გლობალური რეფორმების" კონცეფციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შემოსავალთა სამართლიანი განაწილების პრინციპს. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკისა და იდეოლოგიის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს, სოციალ-დემოკრატებმა ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა დაუკავშირეს შემოსავლების სამართლიანი განაწილების პრინციპის რეალიზაციას. "სრული დასაქმება, ფასების შედარებითი სტაბილურობა აღარ მიიღწევა, თუ სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება შემოსავლებისა და ქონების სამართლიანი განაწილებისაკენ", წერდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წამყვანი თეორეტიკოსი ხ. ერენბერგი[7].

ამავე შეხედულებას იზიარებენ დასავლეთ-გერმანელი ეკონომისტები გ. ბომბახი, დ. შრედერი, გ. ცუბაილი და სხვანი, რომლებიც თვლიან, რომ ეკონომიკაში არსებულ სიძნელეთა მიზეზია არა დასახულ მიზანთა შეუთავსებლობა (ეკონომიკური ზრდის, ფულის სტაბილურობის, სრული დასაქმების უზრუნველყოფა), არამედ ეკონომიკური მიზნების რეალიზაციის საშუალებათა ნაკლებობა[8]. თითქოს შემოსავალთა სამართლიანი განაწილების პრინციპის გათვალისწინება გაზრდიდა ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს.

შემოსავლების სამართლიანი განაწილებისათვის ჩამოყალიბებულ იქნა შემოსავლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბანოვერის ყრილობის გადაწყვეტილებებსა და პროგ-

------------

7 Ehrenberg H. Zwischen Marx und Markt: Konturen einer infrastrukturorientieren und Verteilungs-wirksamen Wirtschaftspolitik 1974. S 340.

8 DR-8S: S 22.

რამში "1975-1985 წწ. ეკონომიკურ-პოლიტიკური ორიენტაციის ჩარჩოები" შემოსავლების პოლიტიკის ძირითად მიმართულებად აღიარებულ იქნა მუშათა საკუთრების შექმნა, რაც თითქოს "განაწილებაში სამართლიანობის თანდათანობით დამყარებას და, ამავე დროს, ეკონომიკური განვითარების სიმყარეს შეუწყობდა ხელს"[9].

სტრუქტურული და სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს აგრეთვე "გლობალური რეგულირების" კონცეფციის შემადგენელ ნაწილებს.

ხ. ერენბერგის მოსაზრებით, ახალი სოციალური პოლიტიკა მიზნად ისახავს რიგი სოციალური ამოცანების გადაწყვეტას. ინარჩუნებს რა უმუშევართა დახმარებისა და მათი ინტერესების დაცვის ფუნქციებს, იგი პერსპექტიულ ხასიათს იძენს, იგი ითვალისწინებს თითოეული დასაქმებულის უზრუნველყოფას შესაფერი სამუშაო ადგილით, შრომისუნარიანობის აღდგენის ღონისძიებებს, შრომის ჰუმანიზაციას, ეკონომიკური პროცესების დემოკრატიზაციას[10] და ა.შ.

სტრუქტურული პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია ინფრასტრუქტურის პროგრამის ღონისძიებებთან, სოციალ-დემოკრატებმა ჩააყენეს "მაგიური ოთხკუთხედის" მიზანთა მიღწევის სამსახურში. "ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისა და სამუშაო ადგილების სტაბილურობის უზრუნველყოფის წანამძღვარს წარმოადგენს აქტიური სტრუქტურული პოლიტიკა", წერდა ვ. ბრანდტი "ორიენტაციის" წინასიტყვაობაში[11].

სტრუქტურული პოლიტიკის დანიშნულებაა უზრუნველყოს პროგრესული დარგობრივი და რეგიონალური ძვრები ეკონომიკაში პერსპექტიულ დარგებში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

სოციალ-დემოკრატები უდიდეს ყურადღებას უთმობენ ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში განვითარების დაბალ დონეზეა, რითაც ამუხრუჭებს ეკონომიკურ ზრდასა და ამწვა-

------------

9 Orientierungs-rahmen ... 85' S. 28.

10 Ehrenberg H. Zwischen Marx und Markt. S. 247.

11 Orientierungsrahmen ... 85'. S. 5.

ვებს დასაქმების პრობლემას. ინფრასტრუქტურის განვითარება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქნა აღიარებული.

უნდა აღინიშნოს, რომ 1973 წლამდე დასავლეთგერმანელი სოციალ-დემოკრატები "მაგიური ოთხკუთხედის"[12] მიზანთა შორის უპირატესობას ეკონომიკურ ზრდას ანიჭებდნენ. ეკონომიკური ზრდა განიხილებოდა როგორც კაპიტალიზმის ყველა მანკიერების მოსპობის საშუალება.

1973 წ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰანოვერის ყრილობაზე ფართოდ დაისვა საკითხი ეკონომიკის ზრდის ტემპთა შემცირების შესახებ. რა იყო ამის მიზეზი?

ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირების აუცილებლობის საკითხის დასმას ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნებში გავრცელებულმა ინფლაციამ, რადგან აშკარა გახდა, რომ ეკონომიკური ზრდა არ აღმოჩნდა სრული დასაქმებისა და ფასთა სტაბილურობის ეფექტური უზრუნველყოფის უებარი საშუალება. ყოველივე ამას დაემატა 50-60-იან წლებში დასავლეთ გერმანიაში სამუშაო ძალის ნაკლებობა და ქვეყანაში უცხოელი მუშახელის მოზიდვის პრობლემა.

დასავლეთ გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა წინა პლანზე წამოსწიეს "დიფერენცირებული ზრდის" კონცეფცია. "დიფერენცირებული ზრდის" თეორია ითვალისწინებს ფუნქციონალურ კავშირს ეკონომიკურ ზრდასა და ხალხის ცხოვრების დონეს შორის.

აღნიშნული კონცეფციის პრინციპებმა დასრულებული ფორმა მიიღეს პროგრამაში "1975-1985 წწ. ეკონომიკურ-პოლიტიკური ორიენტაციის ჩარჩოები". ჩვენი მიზანია: სტიქიური განვითარების ნაცვლად უზრუნველ-

----------

12 40-იანი წლებიდან ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიზნებად აღიარებულ იქნა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, შრომისუნარიანი მოსახლეობის "სრული დასაქმება" ფასების სტაბილურობისა და გაწონასწორებული საგარესავაჭრო ბალანსის პირობებში - ანუ მიზანთა "მაგიური ოთხკუთხედი", როგორც მას ბურჟუაზიული ეკონომისტები უწოდებენ, მხედველობაში აქვთ რა ამ მიზანთა ეფექტური რეალიზაციის სიძნელე.

ყოთ შეგნებულად დიფერენცირებული და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ორიენტირებული საერთო ეკონომიკური ზრდა"[13].

დასავლეთ გერმანელ სოციალ-დემოკრატთა კონცეფცია იმითაცაა საინტერესო, რომ აქ წინა პლანზეა წამოწეული "ახალი დეფინიციები: "სრულფასოვანი დასაქმება", "დასაქმების ხარისხი", რომელიც უკავშირდება "ცხოვრების დონის"[14] კონცეფციას.

"ცხოვრების დონესთან" დაკავშირებული "დასაქმების ხარისხი" ეყრდნობა "სრულფასოვანი დასაქმების" იდეას. მუშათა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის ტრადიციული სოციალური გარანტიის (სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში ფინანსური უზრუნველყოფა) გარდა იგი მიზნად ისახავს სეზონური და კონიუნქტურული უმუშევრობის რისკის დაბალანსებას, მშრომელთა პროფესიულ ზრდას, შრომის პირობების გაუმჯობესებას.

როგორც ჩანს დასაქმების პოლიტიკის მიზანი განისაზღვრა აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა ერთობლიობით, რომელთა გადაწყვეტა თითქოს, უზრუნველყოფდა სრულ დასაქმებას, რაც მიუღწეველია კაპიტალიზმის დროს.

ყოველივე ამის შემდეგ ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ სოციალ-დემოკრატები მთელი ძალ-ღონით იბრძოლებდნენ ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის წინააღმდეგ, აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის მათ მიერ შემუშავებული პრინციპების განხორციელებისათვის. მაგრამ ეს არ მომხდარა. 70-იან წლებში გფრ-ში განხორციელებული დასაქმების პოლიტიკა გვიჩვენებს, რომ სოციალ-დემოკრატებმა ირჩიეს კაპიტულაციის, დათმობისა და კომპრომისების გზა.

1974-1975 წლებში ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავებისას სო-

----------

13 Orientierungsrahmen - 85', S. 37.

14 ცხოვრების დონის "ცნების ავტორად ითვლება დასავლეთ გერმანელი სოციალ-დემოკრატი ერჰარდ ეპლერი. "ცხოვრების დონე აერთიანებს ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საყოფაცხოვრებო, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს" - წერს ეპლერი.

სოც-დემოკრატები უმუშევრობას თვლიდნენ დროებით, კონიუნქტურული რიგის მოვლენად, რაც დაკავშირებული იყო წარმოების დაცემასთან და მოითხოვდა წმინდა კონიუნქტურულ "მკურნალობას". გფრ-ის ეკონომიკის მინისტრი ჰანს ფრიდრიხსი 1975 წელს აცხადებდა, რომ ჩვენ გვინდა გამოვაცოცხლოთ კონიუნქტურა და მივაღწიოთ უმუშევრობის დონის შემცირებას სახალხო მეურნეობაში მაღალი ინვესტიციების მეშვეობით, ამისათვის "სოციალური პროდუქტის მოხმარების სტრუქტურა უნდა შეიცვალოს კერძო და საზოგადოებრივი ინვესტიციების სასარგებლოდ"[15]. უნდა ითქვას, რომ გფრ-ის მთავრობა მორჩილად ეთანხმება ასეთ მოთხოვნას და ხელს უწყობს მას.

აღსანიშნავია, რომ ინვესტიციებისა და დასაქმების ურთიერთკავშირი არ არის ცალმხრივი, ინვესტიციები შეიძლება წარიმართოს როგორც წარმოების გაფართოებისაკენ (და ამ შემთხვევაში ნამდვილად გაიზრდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე), ისე, წარმოების მოდერნიზაციისაკენ (რაც იწვევს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირებას და მუშახელის გამოთავისუფლებას).

70-იან წლებში წარმოების რაციონალიზაციამ ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, შრომის ნაყოფიერების ზრდას ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან შედარებით (50-იან წლებში შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩამორჩებოდა ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდას, 60-იან წლებში იგი უმნიშვნელოდ გაიზარდა, 1970–75 წწ. კი შრომის ნაყოფიერების ზრდამ 2-ჯერ გადააჭარბა ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდას), ხოლო, მეორე მხრივ, სამუშაო ადგილების შემცირებას. "რაციონალიზაციის ტემპი წინ უსწრებს ეკონომიკური ზრდის ტემპს. ეს განსხვავება მთანთქავს ჩვენს სამუშაო

---

15 H. Friderichs. Mut zum Markt. Wirtschaftspolitik ohne Illusionen. Verlag Bonn Aktuell, M. B u. Stuttgart. 1974, St. 15.

ადგილებს", წერს დასავლეთ გერმანელი ეკონომისტი ჰ. კოლი[16]. 70-იანი წლების დასაწყისში თანაფარდობა სამრეწველო სიმძლავრეთა რაციონალიზაციასა და ახლად დანერგილ სამრეწველო სიმძლავრეებს შორის შეადგენდა 40:60, ანუ ინვესტიციათა მხოლოდ 60 პროცენტს შეეძლო დასაქმების გაფართოება. როგორც ვხედავთ, ინვესტიციების სტიმულირების პოლიტიკამ სასურველი ეფექტი ვერ გამოიღო.

ეხებოდა რა სოციალ-დემოკრატების არგუმენტებს ინვესტიციებსა და დასაქმებას ურთიერთკავშირის საკითხში გფრ-ის გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ჰ. ფეტერი აღნიშნავდა: იმის "მტკიცებას, რომ მონოპოლიების მაღალი მოგება და შესაბამისად ინვესტიციების მაღალი დონე უზრუნველყოფს დამატებით სამუშაო ადგილებს, სინამდვილემ უარყო. დასაქმებულთა რიცხვის შემცირება გამოიწვია არა ხელფასის ხარჯებმა, არამედ გასაღების ბაზრების შემცირებამ, რაციონალიზაციამ და შრომის ნაყოფიერების ზრდამ"[17].

სოციალ-დემოკრატთა მიზნები სოციალური პოლიტიკის სფეროში ასევე არ განხორციელდა. მთავრობას "განზრახული ჰქონდა განათლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების სისტემის სრულყოფა. 70-იან წლებში კი განათლებაზე ხარჯების ზრდა შენელდა. 1960-1970 წლებში განათლებაზე ხარჯების ზრდამ მიაღწია 450 პროცენტს, ხოლო 1970-1978 წლებში კი მხოლოდ 230 პროცენტს[18]. გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო კურსებმა თუმცა უმუშევართა მცირე ნაწილს შეუმსუბუქა მდგომარეობა, მაგრამ, რასაკვირველია, ვერ შეძლო საერთოდ უმუშევრობის ლიკვიდაცია.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გფრ მთავრობამ სოციალ-დემოკრა-

-----------

16 H. Kohl Arbeit für alle: Zukunftsbezogene Arbeits-politische interesse der Arbeitnehmer. Köln - Bund-Verlags. 1979. S. 17.

17 Handelsblatt, 6. X. 1977.

18 Statistisches Jahrbuch für die BRD. 1970 №4 1978 №5 S. 620, S. 788.

ტების ხელმძღვანელობით უმუშევრობის წინააღმდეგ ფაქტიურად არავითარი კარდინალური ღონისძიება არ განახორციელა.

70-იან წლებში შრომის ბაზარზე მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. შეიქმნა უმუშევართა მილიონიანი არმია, რომელიც შემდგომ წლებშიც არ მცირდებოდა.

ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვის ზრდასთან ერთად, 70-იან წლებში ადგილი ჰქონდა ფარულ უმუშევრობის ზრდასაც, რომლის მასშტაბებიც უკანასკნელ წლებში აჭარბებდა კიდეც ოფიციალური უმუშევრობის დონეს. თუ 1977 წლისათვის ოფიციალური უმუშევრობის ხვედრითი წილი შეადგენდა 4,8 პროცენტს, უმუშევართა ფაქტიურმა რიცხვმა შეადგინა დაქირავებული მუშა ძალის 10,2 პროცენტი". მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის. 1970-1976 წლებში უმუშევართა რიცხვი 25 წლის ახალგაზრდებს შორის გაიზარდა 52 %-ით და შეადგინა უმუშევართა საერთო რიცხვის 28,5 %[19].

1976 წლისათვის რეგისტრირებულ იქნა 38,8 ათასი უმუშევარი უმაღლესი განათლებით, ანუ 3,6-ჯერ მეტი. ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე უმაღლესი განათლების მქონე უმუშევართა წილმა შეადგინა 4,1 % 1978 წ[20].

დასავლეთ გერმანიის თანამედროვე სოციალ-რეფორმიზმის არსს ზედმიწევნით მიესადაგება ვ.ი. ლენინის აზრი: "რეფორმიზმი საერთოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი სჯერდება აგიტაციას ისეთი ცვლილებებისათვის, რაც არ მოითხოვს ძველი, გაბატონებული კლასის მთავარი საფუძვლების მოსპობას"[21].

-------------

19 R. Franzke. Studien und Berichte. Berufsausbildung und Arbeitsmarkt. Max-Plank-Institut für Bildungsforschung, B. 1978. № 98. S. 159.

20 Arbeitslosigkeit von Hoch und Fachhochschulabsolventen in der BRD. Imst Informationsbericht, N 22, Frankfurt a. M. 1977. Tabelle, 1 2. S. 34.

21 ვ.ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 187.

გფრ-ის ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა განვითარებამ 70-იან წლებში მკაფიოდ გამოავლინა მთავრობისეული რეფორმების სახელმწიფო მონოპოლისტური ხასიათი. ამასთან კრიზისის პირობებში რეფორმების უმრავლესი პროექტი მოიხსნა და შეიკვეცა.

ამრიგად, ამაო გამოდგა სოციალ-რეფორმისტების ყოველგვარი ცდა ახლებურად ემკურნალათ კაპიტალიზმისათვის. კაპიტალისტური ეკონომიკის უკრიზისო განვითარების უზრუნველყოფა და სრული დასაქმების მიღწევა არ შეუძლია არც ცალკეულ მთავრობას და არც მთლიანად სახელმწიფო-მონოპოლისტურ სისტემას.

უკანასკნელ წლებში კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურმა განვითარებამ მთლიანად დაადასტურა ეს აზრი.

ბურჟუაზიული და სოციალ-რეფორმისტული თეორიები კაპიტალიზმის პირობებში უმუშევრობის დაძლევის შესაძლებლობის შესახებ საბოლოოდ გააცამტვერა თანამედროვე კაპიტალიზმის მრავალმხრივმა და გაზრდილმა წინააღმდეგობებმა.

Н.Сесадзе

## СОЦИАЛ-РЕФОРМИЗМ НА СЛУЖБЕ МОНОПОЛИЙ

### Р е з ю м е

Статья представляет собой критику порочных сторон капитализма. В труде дана критика взглядов современных социал-демократов и социал-реформистов, которые ставят своей целью "подлечить" капитализм и приостановить экономический кризис избыточного производства, инфляцию и безработицу. В труде обосновано, что бескризисное развитие капиталистической экономики и достижения полной занятости не могут достигнуть ни отдельные правители и ни государственно-монополистические системы.

ნ. ქ ი ქ ო ძ ე

## ახალი ისტორიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განყოფილებასთან არსებობს ხელნაწერთა, იშვიათი ნივთებისა და უნიკალური ფოტოსურათების ფონდები. აქ დაცული მასალები XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისს, რევოლუციამდელ პერიოდს მიეკუთვნება.

განყოფილების ხელნაწერთა ფონდი შემოსულობას 1958 წლიდან ითვლის. ფონდი დღეს 9288 დოკუმენტს შეიცავს. იგი წლების განმავლობაში მდიდრდებოდა განყოფილების თანამშრომელთა მიერ თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში მოწყობილი ექსპედიციების დროს ჩატარებული მოძიებითი სამუშაოების, ახალი ისტორიის ამსახველი ხელნაწერი დოკუმენტების შესყიდვის და აგრეთვე შემოწირულობათა გზით.

ახალი ისტორიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში ინახება საქართველოს ცალკეული კუთხეებიდან შემოსული სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის ამსახველი მასალები, სასულიერო, სასამართლო ხასიათის დოკუმენტები, სხვადასხვა ტიპის ალბომები და სხვა.

ფონდში მრავლად არის დაცული საქართველოს სოფელში საგლეხო რეფორმის შემდეგ მომხდარი ცვლილებების ამსახველი ხელნაწერი დოკუმენტები: მიწის ნასყიდობის სიგელები, გარიგების და პირობის ხელწერილები, ყმობიდან გლეხთა განთავისუფლების აქტები და სიგელები, სხვადასხვა პირთა მამულების აღწერილობები, მათი შემოსავალ-გასავლის წიგნები, ადგილ-მამულების გამიჯვნის და მათი დაყოფების ხელშეკრულებები, სხვადასხვა ხასიათის მინდობილობები, ბათილობის წერილები და სხვა. ფონდში დაცულია თბილისის სათავადაზნაურო მიწათ-მომწყობი ბანკის ბალანსირების ფურცლები და ტალონები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ქართველი აგრონომების: ი.

გუნცაძის, ვ. რცხილაძის, გ. ჯაფარიძის პირადი არქივები, რომლებიც შეიცავენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ხელ-შესახებ მასალებს. აქვეა მ. ნაკაშიძის ჩაის ფაბრიკის ისტორიის ამსახველი საბუთები.

მე-19 საუკუნის საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ ფონდში დაცული ხელნაწერებიდან ყურადღებას იქცევს არამ ფორაქიშვილის მიერ შემოწირული მასალები ცნობილი ქართველი მრეწველის დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის ფირმის საქმიანობის, მისი ქარხნების აღწერილობების შესახებ. დ. სარაჯიშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებით გამოსული წიგნი "დ.ზ. სარაჯიშვილის სახსოვრად", მისი მეუღლის ეკ. სარაჯიშვილის ანდერძი, აქვეა დ. სარაჯიშვილის ვლადიკავკაზის სპირტსაწმენდი ქარხნის ხედები, ამავე ფირმის მიერ გამოშვებული სასმელების მრავალრიცხოვანი ეტიკეტები.

ფონდში დაცულია აგრეთვე კახეთის რკინიგზის მშენებლობის ამსახველი მასალები, ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მოსამსახურეთა წესდება, ხონის ხელოსანთა კოოპერაციის და ქუთაისის ელექტროფიკაციის შესახებ დოკუმენტური მასალები: ენფიაჯიანცის-თამბაქოს, ბინიათ-ოღლის-თამბაქოს, არანაიას-ღვინის, სესიევის-არყის, მეხტიევის - პაპიროსის, კოსტავას - ღვინის, ჭელიძის - ღვინის, სარაჯევის-კონიაკის, ბოზარჯიანცის - თამბაქოს და სხვა ქარხნების და მათი სავაჭრო დაწესებულებების საფირმო რეკლამები, იარლიყები, ეტიკეტები.

ფონდში მრავლადაა წარმოდგენილი თბილისის სახაზინო ბანკის მიერ გაცემული აქციები, სხვადასხვა სავაჭრო სახლის ანგარიშები, ფულის ნიშნები, ფულის მიღების ხელწერები, თამასუქები და ვექსილები, ტყიბულის ქვანახშირის მრეწველთა მიერ 1896 წ. გამოშვებული (150 მანეთი ოქროთი) ობლიგაციები, ლატარიის და საკრედიტო ბილეთები.

ფონდში დაცულია აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის სქემები. თბილისის, ქუთაისის, ფოთის და ბათუმის გეგმები, I მსოფლიო ომში ევროპის ჯარების მოქმედების და რუსეთ-თურქეთის ფრონტის ამსახველი რუკები.

სასულიერო ხასიათის დოკუმენტებიდან ყურადღებას იპყრობს გაბრიელ ეპისკოპოსის პირადი წერილები, აგრეთვე ბლოჩინ აბრამიშვილის პირადი არქივი, მღვდელ ტყეშელაშვილის წერილები, სასულიერო პირთა სხვადასხვა ხასიათის წერილები, საქართველოს ზოგიერთი ეკლესიის (ანჩის, ალავერდის, ციბაანის, ხონის, ნიკორწმინდის და სხვა) აქტები, საეკლესიო უწყისები, ეკლესიის შემოსავალ-გასავლის წიგნები, საეკლესიო საბჭოს შემადგენლობის, ეკლესიაში მომსახურე პირთა და აღსარების მთქმელთა სიები, ეკლესიისათვის შემოწირულობის აქტები, ეკლესიის მსახურთა მიერ გაცემული პირადობის, ქორწინების მოწმობები.

ფონდში დაცულ სხვადასხვა ხასიათის ალბომებიდან აღსანიშნავია: ვალდბოლსკის ჰერალდიკური ალბომი, რომელშიც XIX საუკუნის საქართველოს სათავადო-აზნაურო ღერბების 60 ნიმუშია წარმოდგენილი, ძველი სომხური ჰერალდიკური ალბომი, 1654—1916 წლების რუსეთის ომებში მონაწილე სამხედრო პირთა ალბომი, სხვადასხვა ეტიკეტების ალბომი.

ყურადღებას იპყრობს ფონდში დაცული სოლომონ II კუთვნილი ლოცვათა კრებული "დაუჯდომელი", ბარათაშვილისა და ჯამბაკურ ორბელიანის ხელნაწერი დოკუმენტი, ნინო ყიფიანის პირადი არქივი, მასში მრავლად არის სხვადასხვა პირთა მიერ ნინო ყიფიანისადმი რომიდან, ბრიუსელიდან, პარიზიდან მოწერილი წერილები, პეტრე მელიქიშვილის (28 ერთეული), ეპისკოპოს კირიონის (6 ერთეული), ნატო გაბუნიას, სუმბათაშვილ-იუჟინის და სხვათა იუბილეს აღსანიშნავად მიძღვნილი ადრესები, ავჭალის თეატრის პროგრამები, მოგონებები ნ. ლომოურზე, შ. ბაალიშვილზე, ა. კიკვიძეზე, გორის პროფესიული სკოლის მიერ გაცემული ატესტატები, კულინარული სკოლის დიპლომები და სხვა.

ასეთია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი ისტორიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდის ზოგადი აღწერილობა. იგი კარგ სამსახურს უწევს საქართველოს ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს ანჟამად ვმუშაობთ და გამოსაცემად ვამზადებთ ხელნაწერთა ფონდის სრულ კატალოგს.

Н.П.Кикодзе

# ФОНД РУКОПИСЕЙ ОТДЕЛА НОВОЙ ИСТОРИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ ИМ.АКАД.С.ДЖАНАШИА

## Резюме

При Отделе новой истории Государственного музея Грузии им. акад.С.Джанашиа АН ГССР существуют фонды рукописей, редких экспонатов и уникальных фотодокументов. Материалы этих фондов отражают историю, экономику и культуру Грузии XIX - начала XX вв.

В рукописном отделе хранится 9288 документов, которые содержат материалы о сельском хозяйстве, ремесле, промышленности и торговле в дореволюционной Грузии. В фонде имеются также материалы юридического и церковного характера, альбомы, личные архивы общественных деятелей и другие материалы.

Из рукописных материалов особо следует выделить документы, отражающие развитие капитализма в сельском хозяйстве и промышленности в Грузии в пореформенном периоде, а также те сдвиги, которые произошли впоследствии.

Рукописный фонд оказывает большую помощь научным работникам, заинтересованным вопросами дореволюционной истории Грузии.

В настоящее время в отделе ведется работа над составлением и подготовкой к изданию каталога материалов рукописного фонда Отдела новой истории Грузии.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


1. გ. ჩ ქ ო ნ ი ა - ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები თბილისში (XIX ს. II ნახევარი) 3

Г. Ч к о н и я - Банки и кредитные учреждения г.Тбилиси (II половина XIX века) 19

2. ლ. გ ე გ ი ა - ვერის უბნის აგურის ქარხნები XIX ს. თბილისში. 21

Л. Г е г и я - Кирпичные заводы Верийского квартала в Тбилиси 32

3. მ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი - 1873 წლის საქალაქო კანონმდებლობა 33

М. М и р и а н а ш в и л и - Законодательство 1873 г. 64

4. ლ. ქ ვ ა რ ი ა ნ ი - XIX ს. II ნახევარში რუსეთისა და საზღვარგარეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე თბილისიდან ექსპონირებული ნივთები 65

Л. К в а р и а н и - Экспонированные из Тбилиси предметы на сельскохозяйственных и промышленных выставках в России и за рубежом во II половине XIX в. 89

5. კ. მ უ შ კ უ დ ი ა ნ ი - თბილისის ხის დამამუშავებელი მრეწველობა და მუშათა მდგომარეობა 1903 წ. 91

К. М у ш к у д и а н и - деревообрабатывающая промышленность и положение рабочих в Тбилиси в 1903 г. 102

6. მ. ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე - თბილისის ადელხანოვის ტყავისა და ნაბდის საწარმოთა მუშების მდგომარეობა და რევოლუციური ბრძოლები XX ს. დასაწყისში 103

М. Ч у б и н и д з е - Положение рабочих и революционная борьба кожевенных и войлочных предприятий Адельханова в начале XX в. 114

7. ნ. ს ე ს ა ძ ე – სოციალ-რეფორმიზმი მონოპოლიის სამსა-
ხურში 115

Н. С е с а д з е – Социал-реформизм на службе
монополии 126

8. ნ. ქ ი ქ ო ძ ე – ახალი ისტორიის განყოფილების ხელნა-
წერთა ფონდი 127

Н. К и к о д з е – Фонд рукописей Отдела новой истории Государственного музея Грузии им.акад.С.Джанашиа 130

РАЗВИТИЕ ТОРГОВЛИ И ПРОМЫШЛЕННОСТИ И РОСТ ГОРОДСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА В ТБИЛИСИ XIX В.
(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2263

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტ. გ. ჯალაბაძე
ისტ. მეცნ. კანდ. ნ. ქანთარია

რედაქტორი შ. ლომსაძე
გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 12.3.1984; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.3.1984;

ქაღალდის ზომა 60×84 1/16; ქაღალდი ოფსეტის, ნაბეჭდი თაბახი 9.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.2;

უე 01041; ტირაჟი 700; შეკვეთა № 996;

ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19